



პრსენალი

საქართველოს
არმიის
ხელნაწი

№ 7 (76), 3 - 16 აპრილი, 2009. „ქვირის პალიზა“. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

**არმია
პოლიტიკის
გარეშე!**

**როგორ უნდა
დაიცვას თავი
მუვიდობიანმა
პოლიტიკებმა**

1425
2009

**ქართული
თვითმფრინავი
ბიზნესმენებისთვის**

**სროლები
სიგონათის
პოლიგონზე**

**ოპერაცია
„ანაკონდა“**

**ტანკები
ქალაქის ქუჩებში**





არგინა
რუსთაველზე
გმობლად
აღლუგზე უნდა
გამოჩნდეს

6



სროლები
სიმონეთის
პოლიგონზე

10



რა ცვლილებებია
აგვისტოს ომის შედეგად
თავდაცვის ეროვნულ
აკადემიაში

7

ქართული
ბიზნესთვითმფრინავები

30



არაღებულური
იარაღი
დემონსტრაციების
დასაუბლად

53



ვერტიკალური
გარღვევა

21

სარჩევნი

კალიფოსკოპი

4 ახალი ამბები

მოსაზრება

6 არმია პოლიტიკის გარეშე!

წკრთნა

7 რა ცვლილებებია აგვისტოს ომის შემდეგ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში

რეპორტაჟი პოლიგონიდან

10 სროლები სიმონეთის პოლიგონზე

115

რეპორტი

12 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა

სამხედრო მრეწველობა

14 აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობა ძალას იკრებს

საბრძოლო მხარეები

16 ოპერაცია „ანაკონდა“

ინოვაციური ტექნოლოგიები

21 ვერტიკალური გარღვევა

სიანლა შეიარაღებაში

34 რუსული სადარაჯო ხომალდი

35 გამოცდას გადის ამერიკული ჯავშანტრანსპორტიორი RG-33

რეპორტაჟი

36 უცნაური პისტოლეტები

პროფესიონალები

40 ფრანგი კომანდოსები ვიეტნამში

ფლოზის ისტორია

43 როგორ იქმნებოდა საქართველოს საზღვაო ძალები

ნარსულის გაქვითილები

48 ტანკები ქალაქებისათვის ბრძოლაში

კროსპორტი

52 არსენალტვორდი

არსენალის იარაღის მალაზია

53 არატექატური იარაღი დემონსტრაციების დასაშლელად

რედაქციის სკეპი

9 აპრილის მოახლოებასთან ერთად, სავარაუდოდ, მოიმატებს პროუკაციების რიცხვი კონფლიქტური ზონების საზღვრებთან.

ამის დასტური იყო 29 მარტს მომხდარი ინციდენტი, — ქარელის რაიონის სოფელ დვანთან ოსმა სეპარატისტებმა და რუსმა ოკუპანტებმა მიმართული მოქმედების ორი ნაღმი ააფეთქეს, რის შედეგადაც დაიჭრა 6 ქართველი პოლიციელი, ერთი კი დაიღუპა.

პროუკაციების გაზშირების მიზანია ქართული მხარის გამოწვევა და ორმხრივ ინტენსიურ სროლაში ჩართვა, რის შემდეგაც ოფიციალური მოსკოვი მსოფლიოს მოსდებს, რომ საქართველომ დაარღვია სარკოზიმედვედვის შეთანხმება და ისევ ომი წამოიწყო...

თუკი სეპარატისტებისა და ოკუპანტების შეიარაღებული პროუკაციების ფონზე პარალელურად თბილისის ცენტრშიც პოლიტიკური დაპირისპირება დაიწყება, მაშინ ვითარება ქვეყანაში კრიტიკული გახდება.

*ირაკლი ალადაშვილი
გიორგი შორაშოლიანი*

წერადლება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ ჯვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
30.03.2009

გაზეთ „ჯვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenalali@kvispalitra.com
ქრნალი გამოდის
ორ ჯვირაში ერთხელ
პარასკევს

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

26667

ჰოლანდიელებმა Bushmaster-ები მიიღეს

კომპანია Thales-ის ავსტრალიის ქვეყნოფილემამ ავღანეთში ჰოლანდიის კონტინგენტს მოდიფიცირებული ჯაგშანმანქანა Bushmaster-ები მიაწოდა. დადებული შეთანხმების ფარგლებში ნიდერლანდების არმია მიიღებს 9 ერთეულ გაუმჯობესებულ ტექნიკას, რომლის დანიშნულებაც თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების გაუვნებლებაა.

მწარმოებლის ცნობით, ჯაგშანმანქანა Bushmaster-ების პარტია აღჭურვილია სპეციალური მოწყობილობებით, რაც მის ეკიპაჟებს საშუალებას მისცემს, გააუვნებლონ თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები ისე, რომ მანქანის სალონი არ დატოვონ. თითოეული ჯაგშანმანქანის „ხელი“ აღჭურვილია კამერებითა და მეტალდეტექტორებით. ამ მოწყობილობებით მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი მებრძოლების უსაფრთხოება. ჯაგშანმანქანების მორიგი პარტიის მიწოდების დასრულების შემდეგ ჰოლანდიელთა მიერ შესყიდული ავსტრალიური ტექნიკის რიცხვი 58 ერთეულს მიაღწევს.

ნიდერლანდების თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ განზრახული აქვს კიდევ 9 ჯაგშანმანქანის შეძენა, რომლებიც გაიგზავნება ავღანეთის სამხრეთ რეგიონში, სადაც დისლოცირ-



ებულია ჰოლანდიური კონტინგენტი. 2008 წლის აგვისტოში ნიდერლანდებმა 14 მლნ დოლარად იყიდეს 13 ანალოგიური, ოღონდ სხვა მოდიფიკაციის მანქანა.

სამხედრო ექსპერტთა შეფასებით, ჯაგშანმანქანა Bushmaster-ი მობილურია და კარგად დაცული, უდაბნოს პირობებში საბრძოლო მოქმედებებისთვის კი მას მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავს. მანქანა მაღალი გამავლობით ხა-

სიათდება. 330 ცხ.დ. სიმძლავრის დიზელის ძრავა საათში 110 კმ-ის სიჩქარის განვითარებას უზრუნველყოფს. სვლის მარაგი ათას კილომეტრს შეადგენს.

შეიარაღების სახით Bushmaster-ზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს 5,56 და 7,62 მმ კალიბრის ტყვიამფრეველები ან მსუბუქი ქვემეხი. ზოგიერთი ჯაგშანმანქანა დაკომპლექტებულია დისტანციურად მართვადი საბრძოლო მოდულებით.

საფრანგებთან ერთად 24 სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი მიჰყიდა

საფრანგებთან ერთად 24 სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენი Eurocopter EC 635 მიჰყიდა. 25 მარტს პარიზში კონტრაქტს ხელი მოაწერეს თავდაცვის მინისტრებმა ერვე მორენმა და აბდულ კადირ ოეიდმა.

საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, კონტრაქტის დირეზულია 360 მლნ ევროს შეადგენს და პირველი გარიგებაა ერთადერთი საფრანგეთის შორის 1990 წლის შემდეგ. ფრანგი სპეციალისტები კონტრაქტის ფარგლებში მოამზადებენ ერთეულ პილოტებს და უზრუნველყოფენ

შვეულმფრენების ტექნიკურ მომსახურებას.

მორენის თქმით, საფრანგეთს განზრახული აქვს, დაუბრუნდეს იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობდა ამ ორ ქვეყანას შორის 1980 წლამდე. მაშინ ერთადერთი დიდი ნაწილი საფრანგეთში გადიოდა მომზადებას და ფრანგული იარაღით იყო აღჭურვილი.

გარიგება ნიკოლა სარკოზის ერთ-ერთი ვიზიტიდან ერთი თვის შემდეგ დაიდო. ეს იყო საფრანგეთის პირველი პირის პირველი ვიზიტი ერთადერთი ქვეყნის ურთიერთობის ისტორიაში. 1991 წლამდე საფრანგეთსა და ერთადერთი კარგი დიპლომატიური ურთიერთობა იყო, მაგრამ ერთადერთი ქვეყნის შემდეგ საფრანგეთის ინიციატივით ურთიერთობა შეწყდა და მხოლოდ 2003 წელს აღდგა.



ინდოეთმა უდიდესი სამხედრო გარიგება დადო

კომპანიამ Israel Aerospace Industries Ltd (IAI) ოფიციალურად განაცხადა, რომ 2009 წლის თებერვალში ინდოეთმა ისრაელთან გააფორმა უმსხვილესი თავდაცვითი გარიგება. ისრაელელი სპეციალისტები ინდური რაკეტსაწინააღმდეგო სისტემისთვის შეიმუშავენ საზღვაო და მიწისზედა შეიარაღების ნიმუშებს.

კონტრაქტის ღირებულება 1,4 მლრდ დოლარად ფასდება, რაც ექსპერტთა აზრით, ყველაზე ძვირად ღირებული სამხედრო გარიგებაა ორ ქვეყანას

შორის. ინდოეთი ისრაელის წარმოების შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის უდიდეს მყიდველად ითვლება. თანხის ნაწილი IAI-ს ანგარიშზე ტექნიკაზე მუშაობის პერიოდში დაირიცხება.

გარიგება გულისხმობს თანამშრომლობას სამხედრო ან საავიაციო სფეროში, რომლის თანახმად, ინდოეთი ისრაელს მიაწვდის თავდაცვით პროდუქციას და გაუწევს შესაბამის მომსახურებას. საკონტრაქტო თანხის დაახლოებით 30%-ს Israel Aerospace Industries-ი ინდურ თავდაცვით საწარ-

მოებში დააბანდებს.

ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის პროგრამის დირექტორის ვიჯაი კუმარ სარასვატის თქმით, ინდოეთს აქვს ეროვნული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვისთვის საჭირო ყველა კომპონენტი, გარდა რაკეტა-გზაგადაძვრელისა, რომლის გამოცდა ახლაც გრძელდება. რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შექმნას, როგორც კუმარმა აღნიშნა, დელი 2011 წლისთვის აპირებს, თუმც ისრაელთან თანამშრომლობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

F-22 RAPTOR-მა კატასტროფა განიცადა

კალიფორნიის სამხრეთ ნაწილში კატასტროფა განიცადა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ყველაზე თანამედროვე, მჭხუთე თაობის გამანადგურებელმა F-22 Raptor-მა. როგორც სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ჯონსონმა განაცხადა, თვითმფრინავი ადგილობრივი დროით 10.00 სთ-ზე საწვრთნელი ფრენისას ჩამოვარდა ავიაბაზა ედვარდსის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 56 კილომეტრის დაშორებით გამანადგურებლის პილოტი დაიღუპა.

მრავალმიზნობრივი გამანადგურებელი F-22 Raptor-ი მსოფლიოში ყველაზე თანამედროვე საბრძოლო თვითმფრინავია. არსებული მონაცემებით, ამ თვითმფრინავის ეს პირველი კატასტროფაა მას შემდეგ, რაც 2005 წელს ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში შევიდა.

F-22 Raptor-ების ექსპორტი კანონით აკრძალულია. ერთი თვითმფრინავის ღირებულება დაახლოებით 140 მლნ დოლარს შეადგენს.



ჯარში განვევას მოსკოვში 45 ათასი ახალგაზრდა დაემატა

მოსკოვში სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი 45 ათასი ახალგაზრდა ცხოვრობს, რომლებსაც ან არ შეატყობინეს დროულად სამსახურის გავლის აუცილებლობის შესახებ, ან იმალებიან, მაშინ, როცა უფლება აქვთ სამსახურის გადავადებისა. მოსკოვის სამხედრო ოლქის საორგანიზაციო-სამობილიზაციო სამმართველოს უფროსის ვიაჩესლავ მიროშნიჩენკოს განცხადებით, გაწვევის საქმე დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს. მისი თქმით, მოსკოვში გამუდმებით იზრდება გაწვევის გვემა. თუ 2009 წლის გაზაფხულზე არმიასა და

ფლოტში უნდა გაწვეულიყო 8782 მოსკოველი, უკვე შემოდგომისათვის ეს ციფრი 10 ათას კაცამდე გაიზრდება.

მიროშნიჩენკოს არ დაუზუსტებია, სახელდობრ, რა ზომას მიმართავენ გაწვევის სრულყოფილად ჩასატარებლად. როგორც მოსკოვის მერის მოადგილემ ლუდმილა შვეცოვამ განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ გაწვევის გვემის შესრულება აუცილებელია, სახელმწიფო ორგანოებმა არ უნდა დაუშვან გასაწვევთა უფლებების დარღვევა. მოსკოვის ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის თქმით კი 60

ათასი ახალგაზრდიდან, რომლებიც გაწვევას ექვემდებარებიან, 36% უვარგისია სამხედრო სამსახურისათვის.

როგორც ადრე იუწყებოდნენ, 2009 წლის საგაზაფხულო გაწვევის გვემა, რომლის თანახმადაც გასაწვევი იყო 305 ათასი კაცი, შეაფუთა სამართალდამცველები. ჯარისკაცთა დედების კავშირის კომიტეტებში განაცხადეს, რომ ამ გვემის შესასრულებლად, მთავრობას, ალბათ, არა მარტო წვევამდელებისთვის „ჩასაფრება“, არამედ არმიაში სტუდენტების გარეკვაც მოუხდება.

არმია პოლიტიკის გარეშე!

არც ხელისუფლებამ და არც ოპოზიციამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩარიონ შეიარაღებული ძალები შიდაპოლიტიკურ გარჩევებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული არმია დაჯარგავს საზოგადოების დიდი ნაწილის პატივისცემას...



არმია რუსთაველაზე მხოლოდ ალუმინზე უნდა გამოჩნდეს

საქართველოში ისევ დაძაბულობაა. ამჯერად შიდაპოლიტიკურ ორთაბრძოლას ემატება იმის რეალური შანსი, რომ რუსეთის სამხედრო დანაყოფებმა ისარგებლონ ჩვენი შიდაარეულობით და ოკუპირებული ტერიტორიებიდან (ცხინვალისა და ახალგორის რაიონიდან და გალიდან) სწრაფი შეტევა წამოიწყონ თბილისისა და ზუგდიდი-ქუთაისის მიმართულებით.

უახლოესი დღეები, ჩანს, მართლაც ძალზე დაძაბული იქნება.

თუკი თბილისის ცენტრში ხელისუფლებამ სცადა მომიტინგეთა ძალით დაშლა (როგორც 2007 წლის 7 ნოემბერს), ეს შეიძლება გამოიყენოს კრემლმა და თბილისისკენ საოკუპაციო ჯარები დაძრას „ქართველი ერისა და დემოკრატიის გადარჩენის“ საბაბით...

ძალზე ბევრი იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩაიფლის 9 აპრილს ოპოზიციის ფართომასშტაბიანი მიტინგი თბილისის ცენტრში და რა მოხდება შემდგომ დღეებში. თუკი ოპოზიციიდან ვინმე შეეცდება ძალით დაიკავოს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი, მაგალითად, პარლამენტი (როგორც „ვარდების რევოლუციის“ დროს, 2003 წლის ნოემბერში) ან სატელევიზიო ანბა, მაშინ ხელისუფლებას ეძლევა საბაბი, გამოიყენოს შსს-ს სპეცდანიშნულების დანაყოფები ამის აღსაკვეთად.

რა პოზიციას დაიკავენ საქართველოს შეიარაღებული ძალები ამ შიდაპოლიტიკური დაპირისპირების აგრესიულ ქმედებაში გადარდის შემთხვევაში?

სამწუხაროდ, უკვე გაჩნდა იმის ნიშნები, რომ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების თავისი მიზნებისთვის გამოყენებაზე არც ერთი დაპირისპირებული პოლიტიკური მხარე არ იტყოდა უარს.

ასეთ დროს ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელ მხარეს დაიკავენ შიდაპოლიტიკური დაპირისპირების დროს არმია.

ამის ბევრი მაგალითი გვაქვს მსოფლიოში, — ლათინურ ამერიკაში თუ აფრიკაში. თუმცა რაღა შორს წავიდეთ, ბოლო 18 წლის განმავლობაში ხომ ჩვენც ვიწვინეთ ეს ყველაფერი.

1991 წლის შემოდგომაზე საქართველოს პრეზიდენტ გამსახურდიას განუდგა თავდაცვის მინისტრი კიტოვანი, რომლის მხარეზეც გადავიდა ახალფორმირებული გვარდიის დიდი ნაწილი. მაშინაც რუსთაველის პროსპექტზე, ასევე სახელმწიფო ტელევიზიის წინ ბარიკადებზე ერთმანეთს ხელისუფლება და ოპოზიციური პარტიები სიტყვიერად უპირისპირდებოდნენ, მაგრამ 1991 წლის 22 დეკემბერს ეს სისხლისმღვრელ და სამარცხვინო თბილისის ომში გადაიზარდა, — რუსთაველის პროსპექტზე ხე-

ლისუფლების ერთგული გვარდიისა და შინაგანი ჯარების დანაყოფები და კიტოვანისა და „მხედრიონის“ ჯგუფები ერთმანეთს დაუნდობლად ესროდნენ...

1991 წლის დეკემბრის გადატრიალებაში დიდი როლი სწორედ ახალფორმირებულმა საჯარისო დანაყოფებმა შეასრულეს.

ხელისუფლების მეორე, ძალისმიერი შეცვლა 12 წლის შემდეგ განმეორდა, როდესაც „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედმა — სააკაშვილმა, ჟვანიასა და ბურჯანაძის ტრიომ მისივე დამფრთიანებელი შევარდნაზე საპრეზიდენტო „ტახტიდან“ ჩამოაგდო. დღეს უკვე აღარავისთვის არის საიდუმლო, რომ პარლამენტში შეჭრილი ზემოსხენებული ტრიოს მომხრეებს ქურობებში დამალული ჰქონდათ ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის ავტომატებიც. ღმერთმა დავეიფარა და 2003 წლის 22 ნოემბერს არ განმეორებულა 1991 წლის 22 დეკემბერი და პარლამენტში არავის უსვრია...

საგულისხმოა, რომ მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა თევზაძემ, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, თავი არ გამოიღო შევარდნის რეჟიმის დასაცავად და არც არმია გამოუყვანია რუსთაველის პროსპექტზე. ამან გადაგვარჩინა 1991 წლის დეკემბრის ტრაგიკული მოვლენების განმეორებისგან.

კიდევ ერთი დიდი საშიშროება, რომ თბილისის ცენტრში მასობრივი სისხლისღვრა გამართულიყო არმიის მონაწილეობით, 2007 წლის 7 ნოემბერს იდგა. მაგრამ ამ დროისთვის ხელისუფლებამ ოპოზიციის მიტინგის დასაშლელად (ხშირად გადამეტებული სისასტიკითაც კი), ძირითადად, შსს-ს სტრუქტურები: განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველო, სოდ-ი, კუდ-ი და სპეცდანიშნულების რაზმები გამოიყვანა.

მიტინგის ძალისმიერი გზით დაშლის შემდეგ (ჯერ რუსთაველის პროსპექტზე, შემდეგ კი რიყეზე) ამ ადგილებში მართლაც გამოჩნდნენ საარმიო სატვირთო ავტომობილები და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა.

მაგრამ მათ მომიტინგეთა დაშლამ მონაწილეობა არ მიუღიათ (თუმცა არის ეჭვი, რომ შეიარაღებული ძალების სპეცდანიშნულების ბრიგადის რამდენიმე წევრი შეიძლება მონაწილეობდა მიტინგ-

რა სვლილებებია ავღანეთში ომის უმცროსი თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში



უმცროსი თავდაცვის
ეროვნული აკადემიაში

სამხედრო განათლებაში ძირითადი ცვლილებებია მოსალოდნელი. არ არის გამოირიცხული, სისტემა ძველ მოდელს დაუბრუნდეს. ავღანეთში ომში გამოვლენილმა ნაყოფანებმა ნათელი გახადა, თუ რა რეფორმებია გასატარებელი სისტემაში. არის მნიშვნელოვანი სიახლეები, მათ შორის ერთ-ერთი სამხედრო ექიმის ინსტიტუტის აღდგენა. ამ და მომავალში აკადემიაში ჩაბარების მსურველთათვის საინტერესო საკითხებზე ვესაუბრეთ თავდაცვის ეროვნული აკადემიის ახალ უფროს პოლკოვნიკ როინ ფაილოძეს, რომელმაც ამ თანამდებობაზე პოლკოვნიკი ტარიელ ლონდარიძე 2008 წლის 11 სექტემბერს შეცვალა. მანამდე იგი თავდაცვის ეროვნული აკადემიის უფროსის მოადგილე გახლდათ.

— თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ბოლო მისაღები გამოცდები 2009 წლის იანვარში ჩატარდა. ცვლილებები მისაღებ გამოცდებში არ ყოფილა და, საუარაუდოდ, არც მომდევნოში იქნება. საბუთების შემოტანის შემდეგ, მსურველები სამედიცინო შემოწმებას თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალში გადიან, დამაკმაყოფილებელი პასუხის შემთხვევაში დაიშვებიან უნარ-ჩვევებისა და ფიზიკური მომზადების ტესტირებაზე. სწავლა ამჯერად 9 თებერვალს დაიწყო.

— შარშანდელთან შედარებით შემცირებული ხომ არ იყო აკადემიაში ჩაბარების მსურველთა რიცხვი?

— დიდი განსხვავება არ ყოფილა. პირიქით, სამოქალაქო პირები ამჯერად უფრო მოტივირებული მოვიდნენ. განცხადება შემოიტანა 900-მდე აბიტურიენტმა, კომისია გაიარა 600-მა და სულ მთლიან 250 სამხედრო მოსამსახურე და სამოქალაქო პირი.

— თუ ვიცევა ყურადღება, რომელი ფაქტორები აქვს დამთავრებული აბიტურიენტს?

— ეს მხოლოდ იმ აბიტურიენტებს ეხება, რომლებიც სამხედრო-საკავრო



პოლკოვნიკი
როინ
ფაილოძე

მიმართულებაზე აბარებენ. მათ უნდა ჰქონდეთ ტექნიკური განათლება, რათა გაუადვილდეთ ტექნიკის ექსპლუატაცია. სხვა მიმართულებებზე პრობლემა არ არის. არ აქვს მნიშვნელობა, რა ფაკულტეტი აქვთ დამთავრებული.

— სხვადასხვა მიმართულებაზე განაწილება მსმენელთა სურვილის შესაბამისად ხდება?

— მსმენელები გადიან სწავლების სამ ძირითად ეტაპს, რომლის დროსაც ვაკვირდებით მათ შესაძლებლობებსა და უნარ-ჩვევებს, თუ აღმოაჩნდებათ ტექნი-

ის დაშლაში). სამხედროებმა დაცვის ქვეშ აიღეს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები დედაქალაქის ცენტრში.

ეს იყო სამართებლის პირზე არმიის გავლა, რადგან არსებობდა იმის საშიშროება, რომ ისიც ჩაერთოთ მომიტინგეთა დაშლაში. მით უმეტეს, რომ მომიტინგეთა უმრავლესობა ერთმანეთისგან ვერ არჩევდა შს-ს სპეცრაზმელებსა და შეიარაღებული ძალების სამხედროებს.

2009 წლის 9 აპრილს შეიძლება ახალი განსაცდელის წინაშე დავდეთ, — დაპირისპირებულმა პოლიტიკურმა ძალებმა სცადონ არმიის გადაბირება.

შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებს კონსტიტუციით ეკრძალებათ რომელიმე პარტიის წევრობა და ეს აბსოლუტურად გამართლებულია.

არმია აპოლიტიკური უნდა იყოს, მის ამოცანას უნდა წარმოადგენდეს გარეშე მტრის შეჩერება (თუმცა უკვე ძნელია გარეშე მტერი ვუწოდოთ იმ რუს ოკუპანტებს, რომლებიც საქართველოში საოკუპაციო ბაზებს აშენებენ) და არა დედაქალაქში პოლიტიკური პარტიების მებრძოლ რაზმებად გადაქცევა. არმიის პოლიტიკური მიზნით გამოყენება და მისი საშუალებით დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების დამარცხება სამოქალაქო ომის დაწყების წინა პირობა იქნება...

რას ნიშნავს ძმთაშვილები სამოქალაქო ომი, უკვე ვიცით და მისი გამოვლენის სურვილი არავის აქვს. არმიის დანიშნულება არ არის არც ოპოზიციური მიტინგების დაშლა და არც ხელისუფლების ძალით ჩამოგდება, შეიარაღებულ ძალებს სხვა, უფრო საჭირო ფუნქცია აკისრია.

ამასთან, სამხედროებმა იციან ავტომატის ხმარება და რუხინის ხელკეტს ნაკლებად გამოიყენებენ. თუკი ვინმე გადაწვევს და შეიარაღებულ საარმიო დანაყოფებს მიტინგის დასაშლელად გამოიყენებს, ეს სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასი იქნება.

რა დასაძალია და, ავღანეთში ომის შემდეგ, ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა გამო, საქართველოს მოსახლეობაში ქართული არმიის (პირველ რიგში კი მისი მეთაურობის) ავტორიტეტი ნამდვილად არ გაზრდილა.

ისე არ ვქნათ, რომ არმია საზოგადოებას დაუპირისპიროთ და საბოლოოდ დაეცეთ ქართველი მებრძოლის, როგორც სამშობლოს დამცველის, რეპუტაცია.

ირაკლი ალადაშვილი

კური აზროვნების უნარი, მაშინ არტილერიის, ჯავშანსატანკოს, კავშირგაბმულობის, ლოგისტიკის მიმართულებებზე ვუძეგბთ.

— რა სახის კურსები ფუნქციონირებს ამჟამად აკადემიაში?

— გვაქვს სახმელეთო ჯარების ოფიცერთა მოსამზადებელი შემდეგი კურსები: უმცროს ოფიცერთა ქვეითი, საარტილერიო, ლოგისტიკის, სამხედრო-საინჟინრო, კავშირგაბმულობის, ჯავშანსატანკო, საჯარისო დაზვერვისა და სამედიცინო უმცროს ოფიცერთა, კაპიტანის საკარიერო, მანერის, საარტილერიო, სამხედრო-საინჟინრო და ლოგისტიკის სპეციალობის კურსები.

არის სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერთა მოსამზადებელი კურსები, სადაც ფუნქციონირებს ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის უმცროს ოფიცერთა და სამხედრო-საჰაერო ძალების კაპიტანის საკარიერო კურსები. ასევე, ბატალიონის მეთაურთა და ბრიგადის შტაბის ოფიცრების მოსამზადებელი კურსები.

— უმცროს ოფიცერთა მოსამზადებელ კურსებზე რა კატეგორიის მსმენელებს იღებთ?

— დაიშვება აბიტურიენტთა 5 კატეგორია: 1. სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში და ხელშეკრულების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის (ბაკალავრიატის) დასრულების შემდეგ, აიღებენ ვალდებულებას, განსაზღვრული ვადით იმსახურონ ქართულ შეიარაღებულ ძალებში. პრეზიდენტის სპეციალური ბრძანებულების თანახმად, იმ წუთიდან, როცა სტუდენტი გააკეთებს განაცხადს, სახელმწიფო უფინანსებს სწავლის ხარჯებს; 2. სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქე, რომელსაც არ გაუვლია სამხედრო-სავალდებულო სამსახური და არ შესრულებია 27 წელი; 3. სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი უმაღლესი განათლების მქონე მოქალაქე 30 წლამდე; 4. უმაღლესი განათლების მქონე სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურე 27 წლამდე; 5. უმაღლესი განათლების მქონე საკონტრაქტო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურე (კაპრალი, სერჟანტი) 30 წლამდე.

— როგორც თქვით, აკადემიის ბაზაზე არის შტაბის ოფიცერთა და ბატალიონის მეთაურთა გადასამზადებელი კურსებიც, რა ხანგრძლივობისაა ეს კურსები და სავალდებულოა თუ არა იგი?

— ეს არის 13-კვირიანი სავალდებულო პროგრამა, რომელიც ნოემბერში ოფიცერთა სამხედრო განათლების კონცეფციის შესაბამისად ამოქმედდა. ამჟამად მიმდინარეობს სწავლების მეორე ეტაპი. ამ კურსს გადიან ბატალიონების, შტაბებისა და ბრიგადის შტაბების G-ის უფროსები.

თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ამ კურსების ბაზაზე იგეგმება საერთო-სამტაბო სამეთაურო კოლეჯის შექმნა, სადაც სწავლების ხანგრძლივობა, საჯაროდ, 1 წელი იქნება. ამ მიმართულებით დანხარებას გაგვიწვევენ NATO-ს პარტნიორი ქვეყნები. კოლეჯში მივიღებთ ყველა სამხედრო მოსამსახურეს, მინიმუმ მაიორის წოდებით. კოლეჯის დამთავრება უმაღლესი სამხედრო განათლების ტოლფასია. ივლისში დაიწყება ჩვენი ინსტრუქტორების გადამზადება და 2010 წლიდან უკვე რეალურად ავაიმქმედებთ კოლეჯს.

— პრაქტიკული მეცადინეობები სად მიმდინარეობს? როგორც ვიცით, აკადემიის ბაზაზე ჯერ კიდევ არ არის შესაფერისი პირობები.

— თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, აკადემია გადავიდა ისეთ ტერიტორიაზე, რომელიც ესაზღვრება კრწანისის სასწავლო ცენტრს, სადაც ტარდება საერთო-საჯარისო მომზადებასთან დაკავშირებული პრაქტიკული მეცადინეობები. ვგეგმავთ და ვატარებთ პრაქტიკულ მეცადინეობებს მიმართულებების მიხედვით სხვადასხვა სამხედრო ნაწილსა და სხვადასხვა პოლიგონზე. ძირითადად, ორფოლოს პოლიგონს, კრწანისისა და ვაზიანის სასწავლო ცენტრებს ვიყენებთ.

სამხედრო-საჰაერო ძალების კურსანტები პრაქტიკულ წვრთნებს ალექსევკისა და კოპიტნარის სასწავლო ბა-

ზებში გადიან.

— როგორც ცნობილი გახდა და თქვენც ბრძანით ზემოთ, აღდგა სამხედრო ექიმის ინსტიტუტი.

— დიახ. ჩვენ მივიღეთ უმაღლესი სამედიცინო სასწავლო დაწესებულებების კურსდამთავრებულები. კონკურსი სულ 27-მა ექიმმა გაიარა. ამჟამად ისინი გადიან საბრძოლო მომზადების საწვების კურსს, რომელიც 3 აპრილს დასრულდება. მერე კი მსმენელები გაივლიან სამხედრო-სამედიცინო ოფიცრის საკანდიდატო და ძირითად კურსებს, რომლის დასრულების შემდეგ მიენიჭებათ სამხედრო ექიმის წოდება. აკადემია წელს პირველად გამოუშვებს სამხედრო-სამედიცინო ოფიცერთა ძირითადი კურსის კურსდამთავრებულებს.

— შემდეგი მიღება როდის იქნება აკადემიაში, რამდენი იქნება კვოტა და რა აუცილებელი დოკუმენტები უნდა იქონიოს აბიტურიენტმა აკადემიაში საბუთების შემოტანისას?

— მომდევნო მისაღები გამოცდები ამა წლის ოქტომბერში ჩატარდება. კვოტები იმის მიხედვით განისაზღვრება, რა მოთხოვნები ექნება შეიარაღებულ ძალებს ოფიცრის ვაკანტურ თანამდებობებზე, რაც შეეხება აუცილებელ საბუთებს, ესენია: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, დიპლომის ასლი, ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №27 და ცნობა ნასამართლობის შესახებ. სხვა დეტალებს საბუთების შემოტანის შემდეგ გაარკვევენ.

— სტიპენდიებს თუ იღებენ კურსანტები?

— აკადემიაში 2 კატეგორიის მსმენელი სწავლობს: სამხედრო მოსამსახურეები, ანუ კაპრალები, და სერჟანტები და რეზერვის კაპრალები და სერჟანტები და სამოქალაქო პირები. სამხედრო მოსამსახურეებს უნარჩუნდებით ის ხელფასი, რაც მანამდე ჰქონდათ, ხოლო სამოქალაქო პირებსა და რეზერვის კაპრალებსა და სერჟანტებს 260-ლარიანი სტიპენდია ეძლევათ. კვება და ყველა სახის ეკიპირება, რა თქმა უნდა, უფასოა.

— ბატონო როინ, აკადემიის უფროსის მოადგილე იყავით და თქვენთვის ის პრობლემები და ამოცანები, რაც აკადემიის წინაშე იდგა, ცნობილი იყო. რა შეცვალეთ აკადემიის უფროსად მოსვლის შემდეგ, რა რეფორმები გაატარეთ? რუსეთ-საქართველოს ომმა, ალბათ, არაერთი ნაკლოვანება გამოავლინა.

— სისტემის განვითარებაში ძირითადი რეფორმები მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს ისე, როგორც ეს 2007

შეცდომის გასწორება

„არსენალის“ მკითხველს გვინდა ბოდიში მოვუხადოთ, იმ დასაწერიანი შეცდომის გამო, რომელიც ჟურნალის წინა ნომერში 1993 წლის 15-16 მარტის ბრძოლებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ფოტოზე გაკეთებულ წარწერას უკავშირდება.

ფოტოზე სეპარატისტთა მიერ დახვრეტილი ქართველი სამხედროები არიან აღბეჭდილი.

თემურ ჩაჩანიძე



წელს დაიგეგმა. მაშინ შეიქმნა გეგმა, რომლის მიხედვითაც წლების მიხედვით გაიწერა განვითარების ეტაპები.

რაც შეეხება აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდს, ჩვენ გადავხედეთ არსებულ სასწავლო პროგრამებს და შევიტანეთ ცვლილებები. შეეცვალეთ საათობრივი განაწილება თემების მიხედვით, გაუზარდეთ მომზადების დრო. მაგალითად, შეიცვალა უმცროს ოფიცერთა საწყისი მომზადების კურსი. სწავლის დასაწყისში კურსანტები ერთად გადიან საბრძოლო მომზადების საწყის 9-კვირიან კურსს, შემდეგ გადადიან ოფიცრის საკანდიდატო კურსზე, სადაც უკვე ორ მიმართულებად იყოფიან და სწავლება მიმდინარეობს სამხედრო და სამხედრო-საჰაერო ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსებზე. ეს უკვე სწავლების 20-კვირიანი ეტაპია. ამის შემდეგ გადიან ქვეითი ოფიცრის ძირითად კურსს. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მათი განაწილება სპეციალობების მიხედვით და გადიან სხვადასხვა სპეციალობაში ძირითადი მომზადების კურსს.

ასე რომ, საბრძოლო მოქმედებებში გამოუღებელი ნაკლოვანებების მიხედვით შევიტანეთ ძირითადი ცვლილება როგორც თემების საათობრივ განაწილე-

ბაში, ასევე მომზადების სისტემასა და მის ხანგრძლივობაში.

რაც შეეხება პროგრამულ ცვლილებებს, არის ცვლილებები კავშირგაბმულობის, თავდაცვის ორგანიზებისა და საჰაერო თავდაცვის მართვის საკითხებში.

არ შეიძლება, არ მოვისხენიო აკადემიასთან არსებული ენების შემსწავლელი ცენტრი. ჩვენთან 5 უცხო ენა ისწავლება: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული და რუსული. ეს არის 10-თვიანი კურსი, რომელსაც სურვილის მიხედვით გადიან საქართველოს შეიარაღებულ ჯარებში მომსახურე ოფიცრები. კაბრალეები და სერჟანტები. სხვადასხვა ენაში ვაშაბდებთ იმ კანდიდატებს, რომლებმაც შემდგომ მომზადება უნდა გააართონ უცხოეთში. ინგლისურ ენაში ამჟამად მომზადებას გადის 600-მდე სამხედრო მოსამსახურე. ენა ისწავლება როგორც აქ, ჩვენთან, აგრეთვე სხვადასხვა სამხედრო ნაწილში.

— რა შედეგის აკადემიის უახლოეს გეგმაში?

— დაგეგმილია ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც თავისთავად გამოიწვევს მარგი ქმედების კოეფიციენტის გაზრდას იმ მხრივ, რომ აკადემიაში ამოქმედდება ტექნიკური ვარჯიშების, კავ-

შირგაბმულობისა და საინჟინრო მომზადების სიმულაციის ცენტრები. რაც შეეხება შეიარაღებულ ძალებში მოქმედ სპეციალობების კურსების ჩამოყალიბებას, დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა კურსის შექმნა. 2009 წლის ოქტომბერში აუდიოქმედებთ კავშირგაბმულობის კაპიტნის საკარიერო, დაზვერვის კაპიტნის საკარიერო და პერსონალის მენეჯმენტის საკარიერო კურსებს.

— რამდენად შეესაბამება სიმართლეს, რომ თავდაცვის ეროვნული აკადემია სწავლების ძველ სისტემას, 41 პროგრამას უბრუნდება?

— ეს საკითხი კომპლექსურად უნდა განვიხილოთ აკადემიაში მოქმედი სისტემა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ოფიცერთა განათლების საერთო სისტემისა, რომელიც პირობითად ოთხწლიან და ერთწლიან სასწავლო პროგრამებად იყოფა. ოთხწლიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში მსმენელები იღებენ სამოქალაქო უმაღლეს განათლებას ბაკალავრიატის დონეზე და ეუფლებიან სამხედრო-პროფესიულ უნარჩვევებს. პირს ეძლევა საშუალება, გახდეს ლიდერი, ხოლო ერთწლიანი სასწავლო პროგრამის განმავლობაში მსმენელები იღებენ სამხედრო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას.

განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, როცა აკადემია გარემონტდება, შეექმნით შესაბამის ინფრასტრუქტურას და დაგეგმილია იმ პირობებს, რასაც განათლების და მეცნიერების სამინისტრო უყენებს უმაღლეს სასწავლებლებს აკრედიტაციის გასაფლად. ჩვენ ისევ დაუბრუნდებით სწავლების ძველ სისტემას, რომლის ფარგლებში სამხედრო სასწავლებელში უმაღლეს სამოქალაქო განათლებას იღებდნენ.

ენიმ მამუკაძე

„ლიბა“

სამკურნალო ბაერთიანება

სამსოპათოლოგია

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა



ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24



სროლეგი სიმონეთის პოლიგონზე

მესამე ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონი სასწავლო სროლებზე გავიდა. სიმონეთის პოლიგონზე ტანკისტებთან ერთად არტილერიისტებიც ვარჯიშობდნენ.

რუსულ-ქართული ომის დროს მესამე ბრიგადა ერთ-ერთი სამხედრო შენაერთი იყო, რომელმაც დაკისრებული ამოცანის ნაწილი შეასრულა. ბრიგადა პატარა ლიახვის ხეობას ამაგრებდა და ქართლის სიღრმისკენ ოკუპანტების

არტილერიისტები და ტანკისტები ერთად ისვრიან

ჯავშანტექნიკის სვლას აფერხებდა. მესამე ბრიგადა, რომელიც ქუთაისშია დისლოცირებული, პერმანენტულად გადიოდა და გადის გადაშვადების პროგრამებს, რომელიც NATO-ს სტანდარტების შესაბამისი ინსტრუქტაჟისა და წესდებების თანახმად ხორციელდება. საველე სწავლებებისათვის ბრიგადის

პირადი შემადგენლობა ყველაზე ახლომდებარე სიმონეთის პოლიგონს იყენებს, რომელიც საკმაოდ დიდ ფართობს მოიცავს, სადაც შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე სახის სწავლების გამართვა. სამომავლოდ იგეგმება პოლიგონის მეტად აღჭურვა და ახალი სასროლეთების დაგეგმარება. ამისათვის საფორტიფიკაციო სამუშაოებიც მალე დაიწყება, მანამდე კი სიმონეთის პოლიგონზე სწავლებები ყოველდღიურად მიმდინარეობს.

მესამე ბრიგადის ბაზიდან ჯავშანტექნიკა პოლიგონამდე სპეციალური გადაამტანი ტრანსპორტით მიდის, რადგან ბაზიდან პოლიგონამდე სამოქალაქო გზატკეცილია. მას შემდეგ, რაც ჯავშანტექნიკა გრუნტის გზამდე მივა, სპეციალური კოლონა პოლიგონისკენ გაემართება. არ შეიძლება, არ აღინიშნოს კოლონის სვლისას სამხედროების დისციპლინირებულობა და სისწრაფე. სამხედრო კოლონა დაცული უნდა იყოს ნებისმიერი გაუთვალისწინებელი შემთხვევისაგან. ჩვენი გადამღები ჯგუფი უშუალოდ შეესწრო კოლონის





უტები. მეთაურები ტექნიკასთან მოშორებით მდებარე პუნქტიდან აკვირდებოდნენ სროლის პროცესს და რადიოკავშირით კორექტივები შეჰქონდათ სწავლებაში. ასეთ სავარჯიშოებს დიდი მნიშვნელობა განსაკუთრებით მაშინ ეძლევა, როდესაც ახალი სამხედროები მოდიან ქვედანაყოფებში. BCT-პროგრამის გავლის შემდეგ აუცილებელია თითოეულმა სამხედრომ თავისი ადგილი მონახოს ბრიგადაში. სიმონეთის პოლიგონზე, გარდა ჯავშანსატან-კო სწავლებებისა, არტილერიისტივც ვარჯიშობდნენ. ამ შემთხვევაში მხოლოდ სამტაატო იარაღებით. ბრიგადის

პოლიგონამდე სვლას, ამ შემთხვევაში სიმონეთის პოლიგონზე მესამე ქვეითი ბრიგადის ჯავშანსატანკო ბატალიონის ქვეითთა საბრძოლო მანქანები და ჯავშანტრანსპორტიორები მიემართებოდნენ სასწავლო-საველე სავარჯიშოების შესასრულებლად. BTP-80-ებისა და БМП-1-ების ეკიპაჟები სიმონეთის პოლიგონზე მისვლისთანავე მეთაურების ბრძანების შესაბამის მოქმედებაზე გადავიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ შეიარაღებულ ძალებს, ჯერ-ჯერობით, არ აქვთ შესაძლებლობა, სპეციალურად დამონტაჟებულ მოძრავ სამიზნეებზე ივარჯიშონ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისეთი სამიზნეები, რომლებიც კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრშია დამონტაჟებული, სხვა პოლიგონებზეც მალე გამოჩნდება.



შეუქმებელივ ხორციელდებოდა. თითოეული ტექნიკის ეკიპაჟს ვვალდებოდა სწავლების პროცესში აქტიურად ჩართულიყო. ჯავშანტექნიკის სროლები იმითაა გამორჩეული, რომ უსაფრთხოების ნორმების დაცვა აუცილებელია. ამიტომ გადაამდგმა ჯგუფმაც მოიფრგეთ ჯავშანფილტები და ჩაფხ-


სარტილერიო დივიზიონს შეიარაღებაში D-30 ტიპის მისაბმელიანი პაუბიცები აქვს. დივიზიონი ხშირად მონაწილეობს საარტილერიო სწავლებებში, თუმცა არტილერიისტს მხოლოდ პაუბიცის ზუსტი სროლა არ უნდა შეეძლოს. იგი სამტაატო, ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღსაც კარგად უნდა ხმარობდეს. ბრიგადის არტილერიისტიები იმ ნორმატივებითა და მითითებების შესაბამისად ემზადებოდნენ საველე სწავლებისთვის, რომლებიც კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში ინსტრუქტორებმა გააცნეს.

ასე რომ, მესამე ქვეითი ბრიგადის სამხედროებმა ყველა სავარჯიშო წარმატებით შეასრულეს და დისლოკაციის ადგილს საღამო ხანს დაუბრუნდნენ. სწავლება კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს, მისი დამთავრების შემდეგ კი, როგორც წესი, სიმონეთის პოლიგონს მესამე ბრიგადის უკვე სხვა დანაყოფი მიაკითხავს საველე გადაშენების პროგრამის გასავლელად.

სხვადასხვა მანძილზე ქვეითთა საბრძოლო მანქანიდან ერთ სამიზნეზე სხვადასხვა რაოდენობის გასროლა ხდებოდა. სროლები თანამიმდევრულად და

თმის გაღანერგვის კლინიკა «თალიზი»

თმის გაღანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



გრაველნიანი გამოსდილება, სარიისი, გარანტირებული შედეგები

უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებაების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, ნარბაზისა და ნაწნავების გაღანერგვა

თმის გაღანერგვა სტრეტილდება 2-3 საათში უმჭირველად

გაღანერგვითი თვა ბუნებრივად იზრდება და არ სჭივია, კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.

მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

გიორგი თუხარელი
ტელეკომპანია
„საქართველო“

კავკასიური მოვლენების

ჩრდილო კავკასია



აზერბაიჯანის ავიაციის
ავიაგამანადგურებელი МиГ-29

რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდალმა, გენერალმა ვლადიმერ ბოლდირევმა განაცხადა, რომ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში დამთავრდა მე-4 და მე-7 სამხედრო ბაზის ფორმირება და ამჟამად კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი ბაზების პირადი შემადგენლობა, შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა შტატების მიხედვით სრულად შეივსო. გენერალ ბოლდირევის ცნობით, მიმდინარე წლის ზაფხულში ჩრდილო კავკასიაში რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების ოპერატიულ-სტრატეგიული მანევრების „კავკაზ-2009“-ს დროს ორივე ბაზის პირადი შემადგენლობა საკვლევ ტაქტიკურ სწავლებას გაივლის და საბრძოლო სროლებს შეასრულებს.

აზერბაიჯანი

ყარაბაღის გასწვრივ, ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე, კვლავინდებურად დაძაბული მდგომარეობაა. 12-13 მარტს დამით სროლისას ყარაბაღის თავდაცვის არმიის სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

● 2008 წლის მაისში სომხეთის არმიის სამხედრო მოსამსახურე პაირუნ სიმონიანი არმიაში გამეფებულ თვითნებობასა და ძალადობაზე პროტესტის ნიშნად აზერბაიჯანელთა მხარეს გადავიდა. სიმონიანმა სომხეთის მოქალაქეობაზე უარი თქვა და მესამე ქვეყნისათვის გადაცემის სურვილი გამოთქვა.

სომხეთი

სომხეთის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ აზერბაიჯანელთა ტყვეობაში მყოფი სომხეთის არმიის სამხედრო მოსამსახურეები სპეცსამსახურებისგან წამებასა და სპეციალურ ფსიქოლოგიურ-მორალურ ზეწოლას განიცდიან. ტყვეებს ცრუგანცხადებების გაკეთებას აიძულებენ და ახლობლებთან თუ მშობლებთან მიმოწერის საშუალებას არ აძლევენ.

სომხეთის თავდაცვის სამინისტრო აღნიშნავს, რომ სომხეთის ტყვეობაში

მყოფ აზერბაიჯანელ სამხედროებს ყოველთვის აქვთ აზრის თავისუფლად გამოხატვის, ნათესაებთან ურთიერთობისა და სამედიცინო დახმარების მიღების უფლება. იქვე მითითებულია, რომ ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებული აზერბაიჯანელი სამხედროები დენაშვილიწერებას განიცდიან და პატიმრობაში ხანგრძლივი დროით ყოფნა უწყვეტ.

განცხადების ბოლოს სომხეთი „წითელი ჯვრის“ საშუალებით სომხეთის მოქალაქე პაირუნ სიმონიანის შესახებ ინფორმაციას მოითხოვდა.

● თავდაცვის მინისტრმა სეირან ოვანიანმა აღსანიშნავად აღნიშნა შებენიანის (რეზიდენცია მოსკოვში აქვს) თქვა, რომ სომხეთი მზად არის კოალიციის ჯარებს სამხედრო ტვირთისა და პირადი შემადგენლობის ტრანსპორტირებისათვის საჰაერო სივრცე დაუთმოს.

კონფლიქტური რეგიონები

აფხაზეთი:

● 17-18 მარტს სეპარატისტული აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრომ სამეთაურო-სამშტაბო სამობილიზაციო სწავლება ჩაატარა თემაზე: სამხედრო მართვის ორგანიზების, შენაერთების, სამხედრო ნაწილებისა და სამხედრო კომისარიატების მშვიდობიანიდან სამხედრო მდგომარეობაში გადაყვანა მზადყოფნის უმაღლეს სამხედრო ხარისხში თანამიმდევრულად გადასვლის დროს.

სომხეთის არმია რუსეთის არმიის სტრატეგიული მოკავშირეა



პიროსილვა...



აფხაზ სეპარატისტთა ლიდერები ერთ-ერთი ცერემონიალის დროს

● 1-16 აპრილს წებელდის პოლიგონზე საველე წვრთნების დროს საბრძოლო სროლებში ივარჯიშებენ საარტილერიო ნაწილები, ქვედანაყოფები და სოხუმის უმაღლესი სამეთაურო სამხედრო სასწავლებლის კურსანტები. ამ სწავლებებზე აფხაზური ფორმირებები, ალბათ, გამოცდიან 2008 წელს კოდორის ხეობიდან ალაფად წამოღებულ **Д-30** ტიპის 122 მმ-იან პაუბიცებს, ნაღმსატყორცნებსა და სხვა ტექნიკას.

● მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში რუსეთსა და აფხაზეთის თავდაცვის სამინისტროთა შორის მოსალოდნელია შეთანხმების ხელმოწერა, რომელიც ორმხრივი სწავლებების ჩატარებას გულისხმობს. სეპარატისტული აფხაზეთის თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია მიმდინარე წელს სწავლებების ჩატარებას არ გამორიცხავს, ხოლო ცხინვალის კოკოითი ასეთ სწავლებას მიესალმა და მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

● აფხაზეთის ლიდერებმა 1993 წელს 16 მარტს სოხუმზე შეტევისას დაღუპული მებრძოლები გაიხსენეს და 1992-93 წლების კონფლიქტში დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს. ბოლო აფხაზური მონაცემებით, სოხუმზე წარუმატებელი შეტევის დროს აფხაზეთის არმიის 400 მებრძოლი დაიღუპა, 1000 დაიჭრა და 70 უკვალოდ დაიკარგა.

ცხინვალის რეგიონი:

სეპარატისტული ცხინვალის ლიდერი ედუარდ კოკოითი სამხედრო საქმეებს სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს. რამდენიმე ხნის წინ მოულოდნელი შემოწმება ჩაუტარა თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასაზღვრო სამსახურის თანამშრომლებს და კარგი სამსახურისათვის მადლობა გადაუხადა. დათვალიერა პოლიგონი, სადაც სწავლება მიმდინარეობდა.

ახალგორის რაიონი რუსებმა გადათხარეს და საარტილერიო დანადგარებით გაამაგრეს



კოკოითი განსაკუთრებულად დაინტერესებულია ცხინვალის რეგიონის საქართველოსგან იზოლაციით და შეიარაღებულ ფორმირებათა სამხედრო კადრების გაძლიერებით. შარშან 20 ახალგაზრდა სასწავლებლად რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში გაიგზავნა. მიმდინარეობს რუსი მესაზღვრეების გადაბირება და მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდ სამსახურს ე.წ. სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო ჯარებში სთავაზობენ.

● სრულად არის აღდგენილი ტრანსკავკასიური ავტომაგისტრალი, რომელიც რუსეთის 58-ე არმიამ 2008 წლის აგვისტოში საქართველოში აგრესიისათვის გამოიყენა. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე „როსავტოდორმა“ ფედერალური ბიუჯეტიდან 40 მილიონი რუბლის დაფინანსება მიიღო. გზის გენერალურ რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციას დაახლოებით 2 მილიარდი რუბლი, მილიან კეთილმოწყობას კი 20 მილიარდი რუბლი ესაჭიროება. გვერდის თანახმად, გაკეთდება 3 გვირაბი, საერთო სიგრძით 1800 მეტრი, აიგება 68 ზევესაწინააღმდეგო გალერეა, საერთო სიგრძით 6 კილომეტრი, 5 კილომეტრი სიგრძის ქვების შესაკავებელი კედელი, ღვარცოფის გამტარებელი 4 არხი და ერთ ზიდს რეკონსტრუქცია ჩაუტარდება. ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე მიმდისვლა ნოემბრიდან მაისამდე ზვავების, ღვარცოფებისა და ქვების ცვენის გამო შეზღუდულია და ყველაზე საშიშარ გზის 65-დან 93-ე კილომეტრი ითვლება. რეკონსტრუქციის შემდეგ გზა მთელი წელი გახსნილი იქნება.

თეიმურ ჩაჩანიძე

თურქული ნარმოების 122 მმ-იანი
ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა



აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობა კალას იკრებს

2005 წლის 16 დეკემბერს პრეზიდენტ ილჰამ ალიევის განკარგულებით სპეციალური მანქანათმშენებლობისა და კონვერსიის სახელმწიფო კომიტეტის ბაზაზე აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო შეიქმნა.

მაშინ სამინისტროში შექმავალ საწარმოთა დიდი ნაწილი არ მუშაობდა და სკეპტიკოსებს მიაჩნდათ, რომ ახალი სამინისტრო ფუნქციონირებას ვერ შეძლებდა.

მაგრამ სახელმწიფოს მხარდაჭერით ეროვნულმა თავდაცვითმა მრეწველობამ მოკლე დროში შესამჩნევ პროგრესს მიაღწია და დღეისათვის ორ ათეულამდე საწარმოს, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა თუ საკონსტრუქტორო ბიუროს აერთიანებს. მათ შორის არის: სამეცნიერო-საწარმოო წარმოება „იგლიმი“, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ქარხანა, განჯის მანქანათმშენებელი ქარხანა, ტერტერის ელექტრომექანიკური ქარხანა, ქარხანა „ავია-აგრეგატი“, ქარხანა „ოზონი“ და სხვ.

2009 წელს დაგეგმილია 435 დასახელების სამხედრო მნიშვნელობის

პროდუქციისა და მისთვის საჭირო სათავარი ნაწილების წარმოება. გამოშვებულ პროდუქციაში იქნება: ჯავშანტრანსპორტიორები, ოპტიკური სამიზნეები, ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები, საავიაციო სასწავლო ბომბები და სხვ.

აზერბაიჯანელ სპეციალისტთა აზრით, თანამედროვე ტექნოლოგიურ ხაზებზე დაშვადებული მაღალი ხარისხის პროდუქცია და იაფი მუშახელი ქვეყანას მსოფლიო ბაზარზე გასვლაში დაეხმარება.

სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაში ბაქო თანამშრომლობს ისეთ ქვეყნებთან, როგორცაა თურქეთი, უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი და სხვ. ბოლო დროს დაინტერესება ირანის მხრიდანაც გამოჩნდა.

ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორი თურქეთია და ერთ-ერთი დიდი პროექტი კომპანია Roketsan-თან ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების ერთობლივ წარმოებას შეეხება. მიმდინარე წლის მარტიდან სამეცნიერო-საწარმოო წარმოება „იგლიმი“ 107 მმ-იანი და 122 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემითა დანადგარე-

ბისათვის დეტალების დამზადებას შეუდგა, ხოლო რაკეტებს თურქეთი გამოუმშვენებს.

თურქული 122 მმ-იანი სისტემა T-122 „sakarya“ საბჭოთა „გრადის“ ჩინური ვერსიის გაგრძელებას წარმოადგენს, რომლის TR-122 ტიპის მოდერნიზებული რეაქტიული ჭურვი 10-დან 40 კმ-მდე მანძილზე დაფრინავს.

თურქეთის სამხედრო წარმოებაში Roketsan-ი ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპანიად ითვლება. კომპანიის საწარმოები ამზადებენ შვეულმფრენებისათვის განკუთვნილ 70 მმ-იან CIRIT-ის და 160 მმ-იან UMTAS-ის ტიპის უმართავ რეაქტიულ ჭურვებს, კომპონენტებს STINGER-ის ტიპის საზენიტო რაკეტებისათვის, კოოპერაციაშია სხვა კომპანიებთან სამხედრო თუ სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის წარმოებაში.

მარტიდან ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ერთ-ერთ საამქროში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კომპანია Paramount Grup-თან ერთობლივად ჯავშანავტომობილის „მატალორის“ აწვობა მიმდინარეობს.



„მატადორი“ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ჯავშანავტომობილად ითვლება და მისი ეკიპაჟი 2 კაცისაგან შედგება, ხოლო სადესანტო განყოფილება 12 მებრძოლს ან 5,0 ტონამდე ტვირთს იტევს.

ბაქოს გეგმებში შედის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან თანამშრომლობა ჯავშანტექნიკის, ცეცხლსასროლი იარაღის, ელექტრონიკისა და ღამის ხედვის ხელსაწყოების წარმოებაში.

2008 წლის დეკემბერში აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობის მინისტრის იავერ ჯამალოვის თქმით, სამინისტროს საწარმოთა პოტენციალი უპილოტო თვითმფრინავების წარმოებისათვის მომზადებულია, ხოლო გამოშვების დაწყება მიმდინარე წლისათვის არის მოსალოდნელი. გაურკვეველია აპარატების კონსტრუქციის წარმომავლობა — არის

ის აზერბაიჯანში შექმნილი თუ ლიცენზია სხვა ქვეყანაში იქნა ნაყიდი.

ყურადღების გარეშე არც დიდი ავიაცია რჩება. თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების წარმოებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები რუსეთთან, უკრაინასთან, თურქეთთან და ჩეხეთთან მიმდინარეობს. სავარაუდოდ 2016 წლიდან შვეულმფრენების აგებას დაიწყებენ.

რამდენიმე წელია წარმოება „გლიმსა“ და ქარხანა „ავია-აგრეგატი“ დაშლადებული კონდიციონერები, რადიატორები, მაღალი წნევის ბურთულიანი და ცილინდრული ბალონები, სამოქალაქო თვითმფრინავების სამზარეულოებისა და ბუფეტების მოწყობილობა, ტექნოლოგიური აღჭურვილობა და ინსტრუმენტები რუსეთისა და უკრაინის თვითმფრინავმშენებელ საწარმოებს მიეწოდება.

კიდევ ერთ თურქულ კომპანია Aselsan-თან მოლაპარაკებები T-72 ტიპის ტანკების მოდერნიზაციაზე წარმოებს. ტანკები ღამის ხედვის ხელსაწყოებითა და საბორტო კომპიუტერით უნდა აღიჭურვოს. უკვე დაწყებულია საბჭოთა წარმოების БМП-2-ისა და БТР-70M-ის მოდერნიზაცია.

გამორიცხული არ არის, რომ თურქეთმა პირველი ეროვნული ტანკის „ალთაის“ წარმოებაში აზერბაიჯანის თავდაცვითი მრეწველობის საწარმოთა პოტენციალი გამოიყენოს.

პაკისტანის ტექნოლოგიით ათვისებული საავიაციო ბომბების გამოშვება და გეგმაშია სატანკო და საარტილერიო საბრძოლო მასალათა წარმოება.

2007 წელს გაიხსნა ქარხანა „პიეკი“, რომლის მშენებლობა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს 1989 წელს დაიწყო და დიდხანს დაკონსერვებული იყო. უახლესი ამერიკული, გერმანული, ფრანგული თუ იტალიური მოწყობილობებით აღჭურვილი წარმოება ბელგიიდან და ჰოლანდიიდან შემოსულ ნედლეულზე მუშაობს და 40 სახის მიკროსქემას ამზადებს. აქვს თურქეთიდან მიღებული შეკვეთები.

საკუთარი სამხედრო მრეწველობის განვითარებით აზერბაიჯანის შეიარაღებული ძალები სხვა ქვეყნებზე ნაკლებად დამოკიდებული ხდება და პროდუქციის რაღაც ნაწილის სხვა ქვეყნებში ექსპორტის საშუალებაც ეძლევა.

თემურ ჩაჩანიძე



აზერბაიჯანის არმიის შეიარაღებაში „მატადორები“ გამოჩნდება



კომპანია ROKETSAN-ის 107 მმ-იანი ზალპური ცეცხლის სისტემა



მოკავშირეებს მხოლოდ მათი აღმოჩენა და განადგურება სჭირდებოდათ. ეს სათქმელად ადვილი, მაგრამ შესასრულებლად უადრესად რთული იყო. ამ დროისთვის ავღანეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ჩამოყალიბებული არ იყო, აშშ-ის მოკავშირე „ჩრდილოეთი ალიანსი“ ქაბულს აკონტროლებდა. ამერიკელების ძალები მოკავშირეებთან ერთად არასაკმარისი იყო ერთდროულად ქვეყნის ტერიტორიის გაკონტროლებისა და მთიანი რაიონების გაწმენდისათვის. საჭირო გახდა კონკრეტული რაიონების შერჩევა და მათი გაწმენდა მოჯავდეებისგან.

ამერიკელი სამხედრო მკვლევების არჩევანი შეჩერდა ხოსტა-გარდუზ-ურუნის სამკუთხედზე, სადაც, საგარაუდოდ, „ალ-ქაიდას“ ბაზა მდებარეობდა.


ოპერაცია „ანაკონდა“

2002 წლის მარტში ავღანეთში, შაპი-კოტის ხეობაში ჩატარებული სამხედრო ოპერაცია, კოდური სახელწოდებით „ანაკონდა“, „უდაბნოს ქარიშხლის“ შემდეგ იყო ამერიკელების ყველაზე მასშტაბური (და აშშ-ის ისტორიაში ზღვის დონიდან ყველაზე მაღალ სიმაღლეზე) და პირველი საბრძოლო მოქმედება XXI საუკუნეში.

ოპერაციის მსვლელობა, შედეგები და გაკვეთილები ამერიკელმა სამხედრო ექსპერტებმა გულდასმით შეისწავლეს და 2003 წელს, „ერაყის გათავისუფლების“ ოპერაციის მსვლელობისას, შეცდომების უმეტესობის გამეორება თავიდან აიცილეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ოპერაციის ჩატარებიდან 7 წელი გავიდა, ის მაინც არის სამხედრო ექსპერტების განხილვის საგანი როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური გამოცდილების გაზიარების მიზნით. ამ ოპერაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ძველი სამხედრო აქსიომა: როდესაც საწყისი საბრძოლო გეგმა იშლება, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს სწრაფად ცვლად საბრძოლო გარემოში საბრძოლო მოქმედებებთან ადაპტირების უნარი.

ტორა-ბორას რაიონში ორგანიზებული წინააღმდეგობის ჩახშობის შემდეგ, ავღანეთი, ფაქტობრივად, 90 დღეში გათავისუფლდა „თალიბანისგან“. ტერიტორიების დაფანტულმა ჯგუფებმა თავი შეაფარეს პაკისტანის საზღვრის მახლობლად მდებარე მთიან მასივებს.

ოპერაციაში ჩართეს 101-ე საჰაერო-საღესანტო (აერომობილური) დივიზიის მე-2 და მე-10 სამთო დივიზიის 1-ლი ბატალიონი (1200 კაცამდე), რეინჯერების 75-ე პოლკის ქვედანაყოფები, აშშ-ის, ავსტრალიის, გერმანიის, დანიის, კანადის, ნორვეგიის, საფრანგეთის სპ-





ეცდანიშნულების ჯგუფები (რამდენიმე ასეული კაცი) და მოკავშირე ავღანელთა საბრძოლო რაზმი (300 კაცამდე).

ოპერაციისთვის მზადება 2002 წლის თებერვალში დაიწყო. ოპერაციის სადაზვერვო უზრუნველყოფის პერიოდში ტაკურ-გარის უღელტეხილზე აღმოაჩინეს კარგად შენიღბული ბუნკერები, რომლებიც თოვლმა თითქმის შეუმჩნეველი გახადა. ჩანაფიქრის მიხედვით, ხეობის გარშემო უნდა შექმნილიყო ბლოკირების პოზიციების შიდა და გარე წრე, ე.წ. „გრდემლი“, ხოლო ავღანურ ძალებს დასავლეთიდან დაეწყოთ ხეობის გაწმენდა და მოჯაჰედების გამოძევება, ანუ ეთამაშათ „უროს“ როლი. ვინაიდან უღელტეხილის თხემიდან შესაძლებელი იყო ქედის ორივე მხარეს გაშლილი ხეობის გაკონტროლება თითქმის 15 კმ სიღრმემდე, ამიტომაც მისი დაკავება უმთავრეს ამოცანად დაისახა. დაიგეგმა შეუღლმფრენებით დესანტის გადასხმა ხეობის 8 მნიშვნელოვან უბანზე, შაკი-კოტიდან უკან დასახევი ყველა გზის მოჭრა და საჰაერო დარტყმებით მოწინააღმდეგის სრული განადგურება. ოპერაცია „ანაკონდას“ დაწყება განისაზღვრა თებერვლის ბოლოს, მაგრამ ცუდი მეტეოპირობების გამო 2 მარტისთვის გადაიტანეს.

ოპერაციის გეგმას, მიუხედავად იმისა, რომ ტიპური „გრდემლისა და უროს“ მეთოდი იყო, არ გააჩნდა ერთიანი ხედვა. ძირითადი სახმელეთო დარტყმა უნდა გაეწია 300-კაციან „აღმოსავლეთ ალიანსს“, რომელთაც სამკვირიანი ნაწილობრივი მომზადება ჰქონდათ გავლილი. მათი ამოცანა იყო დასავლეთიდან შესულიყვნენ ხეობაში, გამოეცალკეებინათ მშვიდობიანი მოსახლეობიდან მებრძოლები და აეძულებინათ ტერორისტები, დანებებულებიყვნენ ან დაეხიათ უკან, პაკისტანისკენ, სამხრეთი და აღმოსავლეთი მიმართულებით, სადაც მათ გასანადგურებლად ბლოკირების პოზიციებზე შეუღლმფრენებით გადაისროდნენ ამერიკელ სამხედროებს.

ოპერაციას ხელმძღვანელობდა აშშ-ის SZ-ის ცენტრალური სარდლობის შტაბიდან (ქ. ტამპა, ფლორიდა).

ოპერაცია თავიდანვე ხარვეზებით დაიწყო. რეალობა გეგმისგან აბსოლუტურად განსხვავებული აღმოჩნდა: ავღანურმა კოლონებმა ვერ მიაღწიეს მიზანს, ისინი მძლავრი ცეცხლით შეაჩერეს. მიუხედავად ამისა, ამერიკელები მაინც წავიდნენ თავიანთი ბლოკირებადი პოზიციებისკენ.

აერომობილური დესანტის გადასხ-



მა 2 მარტს, გამთენიისას დაიწყო სატრანსპორტო შეუღლმფრენები MH-47 „ჩინუკი“ ბაგრამის ავიაბაზიდან მოქმედებდნენ. დესანტირების ადგილამდე მიფრენას 90წთ დასჭირდა. გადმოსხმისთანავე, 101 საჰაერო-სადესანტო და მე-10 სამთო დივიზიის ქვედანაყოფები ბრძოლაში ჩაებნენ. მე-10 სამთო დივიზიის 87 პოლკის 1 ბატალიონის „ჩარლი“ ასეული (86 კაცი) მოხვდა მოჯაჰედების „სიკედლის ზონაში“. მოწინააღმდეგე დაელოდა ორივე შეუღლმფრენის დაჯდომას და მხოლოდ ამის მერე გახსნა ჯვარედინი ცეცხლი ყველა სახის იარაღით. ისროდნენ როგორც მცირეკალიბრიანი, ასევე 14,5-კალიბრიან ტყვიამფრქვევებსა და 82 მმ ნალმსატყორცებს. ბრძოლისას 28 ამერიკელი მებრძოლი დაიჭრა. ერთი MH-47 მოჯაჰედებმა გაანადგურეს, მეორემ შეძლო აფრენა, მაგრამ ძლიერი ცეცხლის გამო ვეღარ შეძლო შეუღლმფრენის გარეშე დარჩენილი დესანტის ბორტზე აყვანა, ამასთან, გადმოსხმის რაიონებში ძლიერი ცეცხლის გამო დესანტის მორე ტალღის შეუღლმფრენებმა ვერ მოახერხეს გეგმით გათვალისწინებული დახმარების გაწევა.

ასეული განადგურებისგან იხსნა B-52 სტრატეგიული ბომბდამშენის, AC-130 მოიერიშისა და AH-64 შეუღლმფრენების საცეცხლე დარტყმებმა. ავიაციის მოქმედებას კოორდინაციას უწევდა ასეულის შემადგენლობაში მყოფი ავსტრალიელი სპეციალური დანიშნულების ოპერაციების ოფიცერი, რომელიც არ აძლევდა მტერს ამერიკელებთან მიახლოების საშუალებას. ვეაკუაცია გამარჯვებით მხოლოდ საღამოს დასრულდა. 101-ე დივიზიის ბრიგადის მეთაური თავად გაფრინდა

ხეობაში, რათა უშუალოდ მიეღო მონაწილეობა ოპერაციაში, მაგრამ მისი ჯგუფის გადაყვანი ორივე შეუღლმფრენი ხმელეთიდან გახსნილ ინტენსიურ ცეცხლში მოექცა და მძიმე დაზიანებებით იძულებული გახდნენ, გასცლოდნენ საშიშ ადგილს.

ოპერაცია „ანაკონდას“ პირველ დღეს ავიაციამ პენჯშარის ხეობაში 80 ტბომბზე მეტი ჩამოყარა, მათ შორის 907 კგ-იანი თერმობარული ავიაბომბები.

დიდი როლი ითამაშეს AH-64 „აპაჩებმა“. 5 „აპაჩი“ უზრუნველყოფდა MH-47 „ჩინუკის“ საჰაერო დაფარვასა და ნათელი პერიოდის განმავლობაში უშუალო საავიაციო მხარდაჭერას. დამით ამ ამოცანას ასრულებდნენ AC-130-ები, რომელთა დღისით გამოყენებას ერიდებოდნენ ხმელეთიდან საზენიტო გადასატანი რაკეტების გაშვების საფრთხის გამო. „აპაჩები“ ხეობის გასწვრივ ბარაჟირებდნენ და სახმელეთო ძალების განაცხადების შესაბამისად დარტყმებს აყენებდნენ მოწინააღმდეგის სრული განადგურების მიზნით.

საბრძოლო თეატრისათვის
საინფორმაციო ცენტრი
თბილისი
ბ. ბერიძის ქ. 10



ანადგურებდნენ ეკიპაჟების მიერ აღ-
მოჩენილ მიზნებს. საპროლო შვეულმ-
ფრენების მოქმედებამ საშუალება მის-
ცა 101-ე საჰაერო-სადესანტო დივიზი-
ის ჯარისკაცებს, 81 მმ-იანი ნაღმსატყ-
ორცნების პოზიციები მოეწყოთ.

პირველ დღეს, 2 მარტს, მხოლოდ
სამმა რაზმმა შეძლო ქედის თხემამდე
მიღწევა. სწორედ მათ ითამაშეს გადამ-
წყვეტი როლი, ვინაიდან მათი პოზიციე-
ბიდან ეფექტიანად შეიძლებოდა სა-
ჰაერო მხარდაჭერის კოორდინირება.

ამერიკელი სამხედრო მაღალჩინო-
სნები მოგვიანებით მიხვდნენ, რომ ხე-
ობა თავისუფალი იყო მშვიდობიანი
მოსახლეობისგან, რაც საჰაერო მხ-
არდაჭერის უფრო ფართოდ გამოყენებ-
ის საშუალებას იძლეოდა. შესაბამისად,
გეგმა შეიცვალა და სამხრეთით მტრის
გაძევების ნაცვლად, სპეცდანიშნულე-
ბის ძალები და ავიაცია გადავიდა შეტ-
ევაზე.

გადაწყდა, SEAL-ის უფრო მეტი
ჯგუფი ჩაებათ ბრძოლაში. მიუხედავად
იმისა, რომ სახმელეთო ძალების სპე-
ციალური ოპერაციების მკვლევები დამ-
ატებით დროს ითხოვდნენ, SEAL-ის მე-

ბრძოლები ჩქარობდნენ ბრძოლაში ჩაბ-
მას, რის გამოც არ იქნა გათვალისწინებ-
ული, რამდენად მნიშვნელოვანი იყო მე-
ბრძოლთა საწყის პოზიციებზე სწორი
გადასხმა. 3-4 მარტის ღამით მე-10 სამ-
თო დივიზიის პირველი ჯგუფის დესან-
ტირების ზონაში (დესანტმა ამ დროის-
ათვის უკვე დატოვა რაიონი) 2 შვეულ-
მფრენით MH-47 აშშ-ის საზღვაო
ძალების SEAL-ის სპეციალური დანიშ-
ნულების ქვედანაყოფის მებრძოლები
გადაისროლეს. დესანტის გადასხმის
რაიონში შვეულმფრენები კარგად ორ-
განიზებულ ჩასაფრებაში მოყვნენ.
როგორც კი MH-47 დაეკიდა SEAL-ის
ქვედანაყოფის გადმოსასხმელად, მან-
ქანას მოულოდნელად ინტენსიური
ცეცხლი გაუხსნეს. „ჩინუკს“ ტანკსაწი-
ნააღმდეგო რეაქტიული ყუმბარსატყ-
ორცინი ზედიზედ სამჯერ ესროლეს, რის
გამოც მწყობრიდან გამოვიდა პიდრო-
სისტემა. მფრინავმა ენერგიული
მანევრით სცადა სროლის ზონიდან
აპარატის გამოყვანა, რომლის დროსაც
ერთ-ერთი სამხედრო ბორტიდან გადა-
ვარდა. დაზიანებული შვეულმფრენი იძუ-
ლებული გახდა, მოშორებით შეეს-

რულებინა ავარიული დაშვება. SEAL-ის
მართოდ დარჩენილმა სერჟანტმა საა-
ვარიო გადამცემი ჩართო და ტაბელური
იარაღით ცეცხლი გახსნა, მაგრამ მალე
მოკლეს. მეორე შვეულმფრენიც ცეცხ-
ლქვეშ მოყვა. ამ დროს დაიდგა
ბორტზე მყოფი ავიაკორექტირების
ოფიცერი, რამდენიმე სამხედრო კი დაი-
ჭრა. გადაწყდა უკან დახვევა და თვითმ-
ფრინავ AC-130-ის გამოძახება,
რომელმაც იერიში მიიტანა ტერორ-
ისტებზე. ორივე შვეულმფრენი ხეობა-
ში დაჯდა. დათვალიერების შემდეგ
ერთი ადგილზევე გაანადგურეს, მეორე
შვეულმფრენმა კი განადგურებული ტე-
ქნიკის ეკიპაჟი და მედესანტეები აიყ-
ვანა. უკვე ჰაერში შეიტყვეს, რომ ერთი
მებრძოლი აკლდათ. დესანტი უსა-
ფრთხო რაიონში გადავიდა, ხოლო
შვეულმფრენი დაკარგული ჯარიკაცის
მოსაძებნად გაბრუნდა.

ამავე დროს განგაშით გამოიძახეს
„რეინჯერების“ დაუყოვნებელი რეა-
გირების ჯგუფი, რომელიც ბაგრამის
ავიაცაზაში იყო დისლოცირებული. 23
რეინჯერი 2 MH-47-ით გაემართა სა-
ბრძოლო შეტაკების რაიონისკენ და ძიე-



**ყველა თაობის
საყვარელი გაზეთი
1934 წლიდან**

ბის ადგილზე 4 მარტის დღის 6 საათსა და 45 წუთზე მივიდნენ.

კომუნიკაციაში არსებული პრობლემების გამო გადაწყვიტეს, რომ SEAL-ის ჯგუფი ტაკურ-გარის მწვერვალზე უნდა ყოფილიყო. მწვერვალთან მიახლოებისას შვეულმფრენები კვლავ მოყვნენ ყუმბარსატყორცნებისა და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრეკვეების ცეცხლქვეშ, რის შედეგადაც ორი მფრინავი დაიჭრა და ერთი სერჟანტი დაიღუპა. უმართავი შვეულმფრენი მცირე სიმაღლიდან დაეცა მიწაზე, ამასთან, ერთი რეინჯერი შვეულმფრენში დაიღუპა, ორი მეტროლი კი მიწაზე გადმოხტომის შემდეგ ინტენსიურ ცეცხლში მოყვა და დაიღუპნენ.

გადარჩენილებმა გამოიძახეს საავიაციო მხარდაჭერა, ხოლო მეორე შვეულმფრენმა სიმაღლე აიღო და ბაზირების ადგილისაკენ გაემართა. 8 რეინჯერი რიცხვით ჭარბ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ჩაება და წინ წაწევაც კი შეძლეს, მაგრამ მალე ძლიერი ცეცხლის გამო შეჩერდნენ. ერთი მათგანი დაიღუპა, დანარჩენებმა კი წრიული თავდაცვა მოაწყვეს. ასლაც ისევ ავიაციას მოუწია აქტიურად ჩაბმამ ბრძოლაში. საავიაციო მხარდაჭერას აწარმოებდნენ თვითმფრინავები A-10, AC-130, B-1, B-52, F-15, F-16, F/A-18, AV-8B, „რაფალი“, „მირაჟი 2000“. ფრანგული „მირაჟ-2000“ გაფრენებს ასრულებდა ყირგიზეთიდან, მანასის ავიაბაზიდან.

შვეულმფრენების ეფექტიანად გამოყენებამ გადააწყვეტინა სარდლობას, დესანტის მხარდასაჭერად მოეზიდათ საზღვაო ქვეითთა შვეულმფრენებიც. 26 მარტის ჩათვლით მოიერიშე შვეულმფრენებმა 217 საბრძოლო გაფრენა შეასრულეს, გაუშვეს 28 ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა „ტოუ“, 4 „ჰელფაირი“, 450 70მ უმართავი რაკეტა და გახარჯეს 9300 20მ ქვემების ჭურვი. პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენდა მოწინააღმდეგის ნადმსატყორცნები. სატრანსპორტო შვეულმფრენებს შედესანტებისთვის ტვირთის მიწოდებისა და სხვა შვეულმფრენების საწვავით გასაწყობად იყენებდნენ. მათ შეასრულეს 191 გაფრენა, ჰაერში 257 საათი დაჰყვეს.

შედეგები:

დაგეგმილი როგორც სამდღიანი მსუბუქი სამხედრო ანტიპარტიზანული მოქმედება, ოპერაცია „ანაკონდა“ გადაიზარდა შეიღწილი უძძიმეს ბრძოლაში, რომელიც მხოლოდ 17 დღის შემ-



დგე გამოცხადდა ოფიციალურად დასრულებულად. აშშ-ის შეიარაღებული ძალების დანაკარგმა 8 დაღუპული და 50-ზე მეტი დაჭრილი შეადგინა. ათუელობით დაღუპული და დაჭრილი ჰყავდათ მოკავშირე ავღანელებსაც. განადგურდა 300-მდე მოჯაკაფდი. ოპერაციამ, რომლის ამოცანაც იყო მოწინააღმდეგის შეიარაღებული ფორმირებების განადგურება, ვერ მიაღწია სრულ მიზანს. ასეულობით ტერორისტმა მოახერხა პაკისტანში თავის შეფარება. ამერიკელთა მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა, რომ არა მეტროლოების ინდივიდუალური მაღალი კვალიფიკაცია და გამბედაობა, ასევე, ავიაციის გამოყენება.

„ალ-ქაიდას“ საბრძოლო რაზმების მსხვილი დაჯგუფება ვერ განადგურდა სრულად იმ შეცდომების გამო, რომელიც პენტაგონმა და ცენტრალური სარდლობის ხელმძღვანელობამ დაუშვეს. მართვის სტრუქტურა მოუქნელი იყო, ჯარებმა ვერ მიიღეს საჭირო ადეკვატური ძალა. უპირველესი შეცდომა მტრის ძალების განსაზღვრა იყო. ორი მოწინააღმდეგე — „თალიბანი“ და „ალ-ქაიდა“ მართალია მოკავშირეები იყვნენ, მაგრამ ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდებოდნენ. „თალიბანი“ წმინდა პუშტუნური მოძრაობაა, რომელიც იყენებს ავღანელების ისტორიულ და შესისხლხორცებულ ტაქტიკას. კერძოდ, ადგილმდებარეობის ხშირ ცვლას, სწრაფ უკან დახევას, ბრძოლის ველის დატოვებას იმ შემთხვევაში, თუკი არ გააჩნიათ გამარჯვების შანსი. თავის მხრივ, „ალ-ქაიდაში“ გაერთიანებულია ათასობით მეტროლი სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან.

ისინი ერთგულებენ ჯიჰადის იდეას. ამ ფანატიკოსებს სიკვდილის არ ეშინიათ. ვარაუდობდნენ, რომ „ალ-ქაიდა“ „თალიბანი“ აშკარად არ ჩაებმებოდა ბრძოლაში და შეეცდებოდა, ხელიდან დასხლტომოდა მოწინააღმდეგეს. ნაცვლად ამისა, ავღანეთში სამხედრო კამპანიის დაწყებისთანავე პირველმა მან მიიღო ბრძოლა.

ამერიკელი სამხედროები დარწმუნდნენ, რომ „ალ-ქაიდასთან“ ბრძოლა განსხვავებულ მიდგომას მოითხოვდა, მაგრამ შეზღუდულნი იყვნენ ადგილობრივი ძალების, აშშ-ის სპეცდანიშნულების ძალებისა და საჰაერო ძალის გამოყენების კონცეფციით. იმ დროისთვის, ჩრდილოეთი ალიანსი“ დაკავებული იყო ქაბულში კონტროლის დამყარებით. გარდა ამისა, ტაჯიკები და უზბეკები სულაც არ იყვნენ აღფრთოვანებული პუშტუნების მიწაზე შესვლით, სადაც მათ დამპყრობლებად მიიჩნევდნენ. შესაბამისად, ადგილობრივი ძალების გამოყენების მოდელის ჩამოსაყალიბებლად, საჭირო გახდა ადგილობრივი მეტროლოების შეკრება, რომელსაც „ალ-მოსაველეთი ალიანსი“ ეწოდა.

ოპერაცია დაზარალდა არაზუსტი სადაზვერეო მონაცემებითაც. მათ თანახმად, რაიონში დაახლოებით 250 მეტროლი იყო, მაშინ, როდესაც მათი რაოდენობა 1000-ზე მეტს აღწევდა. სამხედრო ხელმძღვანელებს ჰქონდათ მონაცემები 800-მდე სოფლის მცხოვრების შესახებ, მაშინ როდესაც იქ თითქმის არაფერი იყო. არსებული ინფორმაციით, მტრის მეტროლოები გაფანტული იყვნენ ხეობაში, სინამდვილეში კი გამ-



აგრებული იყვნენ ფორტიფიცირებულ სიმაღლეებზე, მათი პოზიციები კარგად იყო შენიღბული, ჰქონდათ ბომბსაწინააღმდეგო გადახურვა და საკვებისა და ტყვია-წამლის საკმარისი მარაგი. მოწინავე სათვალთვლო პუნქტების განლაგება საშუალებას აძლევდათ, ხეობაში შემოსული მოკავშირეების ძალები დროულად აღმოეჩინათ, შეეძლოთ კარგად განლაგებული ნაღმსატყორცნების ცეცხლის კორექტირებაც. შეცდომები იყო შეიარაღებამაც. არსებული ინფორმაციით, მტერს მხოლოდ ავტომატები ჰქონდა, სინამდვილეში კი მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღის გარდა, ჰქონია ნაღმსატყორცნები, დაზგის ყუმბარსატყორცნები და მსხვილი კალიბრის ტყვიამფრქვევები.

შეცდომები დაუშვეს დესანტის გადასახმელი მოედნების შერჩევის დროსაც. მოედნები ძალზე ახლოს იყო საბრძოლო მოქმედების რაიონებთან, ხოლო „ჩინუკები“, დიდი ზომების გამო, კარგ მიზანს წარმოადგენდა.

4 მარტის ოპერაციის ანალიზმა ცხადყო, რომ ადგილი ჰქონდა ინფორმაციის გაუონას. ჩასაფრება შესანიშნავად იყო ორგანიზებული, შერჩეული ჰქონდათ მომგებიანი პოზიციები ტყვიამფრქვევისა და ნაღმსატყორცნებისთვის, მოჯაჰედების ნაწილს ჰქონდა ღამის ხედვის სათვალეები, რამაც მისცათ საშუალება, ერთი MH-47 ღამითაც დაეზიანებინათ.

უნდა აღინიშნოს შეველმფრენთა ეკიპაჟების კარგი მომზადება. MH-47-ების საბრძოლო გაფრენის ხანგრძლივობა 15 სთ-ს აღწევდა. 5000მ სიმაღლეზე ფრენის გამო ეკიპაჟის წევრები იყენებდნენ ჟანგბადის მოწყობილობას. ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერ-

აციის დროს MH-47-მა მხოლოდ რადიოლოკაციური სადგურის მონაცემების გამოყენებით პირველად იფრინა ღრუბლებში.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ოპერაციის დროს დამყარდა უშორეს მანძილზე სნაიპერის მიერ მტრის განდგურების რეკორდი. კერძოდ, კანადელმა სნაიპერმა კაპრალმა რობ ფურლონგმა შორი მანძილის 50 კალიბრის (12,7 მმ) მაკ-მილანის შაშხანით (TAC-50) 2430 მეტრზე გაანადგურა მტრის მეტყვიამფრქვევე. წინა რეკორდი ეკუთვნოდა კარლოს ჰესკოკს, რომელიც მან 35 წლის წინ დაამყარა.

რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ ოპერაცია „ანაკონდადან“ და რა შეიძლება გაითვალისწინონ ავღანეთში სამხედრო მისიის შესრულებისას ქართველმა მებრძოლებმა:

შეისწავლე მოწინააღმდეგე. ეს თითქოსდა მარტვი ჭეშმარიტება ხშირად ავიწყდებათ მეთაურებს. მოწინააღმდეგე უნდა შეისწავლო სტრატეგიულად, ოპერატიულად და ტაქტიკურად, უნდა იცოდე მისი რაოდენობა, შეიარაღება და შესაძლო მოქმედება;

შეაფასე მოკავშირე. მოკავშირე ავღანელი არ ნიშნავს, რომ ყველა მათგანი იბრძოლებს თავდადებით, განსაკუთრებით უცხო ტერიტორიაზე, ღამისა და შეზღუდული ხედვის პირობებში;

გულისყურით შეარჩიე ტაქტიკური ჯგუფების შემადგენლობა. თუნდაც ერთი ბრიგადის შემადგენლობის ნაწილებითა და ქვედანაყოფებით ტაქტიკური ჯგუფების ჩამოყალიბება არ იძლევა მათი ეფექტიანად ურთიერთქმედების გარანტიას. სამხედრო ქვედანაყოფები შედგება ცოცხალი ადამიანებისაგან და არა ლეგოს ფიგურებისგან;

გულდასმით შეისწავლე გარემო. არარეგულარულ ფორმირებებთან ბრძოლისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადგილმდებარეობის კარგ ცოდნას;

ზედმეტად ნუ ენდობი საჰაერო დაზვერვას. რთული რელიეფის პირობებში, უპილოტო საფრენმა აპარატებმა და ჯაშუშ-თანამგზავრებმა ვერ უზრუნველყვენ რთულ რელიეფზე ფარულად განლაგებული ყველა საცეცხლე წერტილის აღმოჩენა;

მხოლოდ საჰაერო ძალები ვერ წყვეტს ყველა პრობლემას. ეს განსაკუთრებით ეხება რთული რელიეფის პირობებს. კარგად ჩასანგრებულ, მოტივირებულ, გამოცდილ მტერთან საბრძოლველად მხოლოდ საჰაერო დარტყმები საკმარისი არ არის (გაითვალისწინე საკუთარი საარტილერიო მხარდაჭერაც). ძალზე ნიშანდობლივი და საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ცენტრალური სარდლობის ხელმძღვანელმა, გენერალმა ტომი ფრენკსმა განაცხადა: „სამწუხაროდ, ჩვენი მაღალტექნოლოგიური სისტემები ყოველთვის ვერ ჯობნის მოწინააღმდეგის ბრძოლის პრიმიტიულ მეთოდებსა და საშუალებებს“;

რეალურად შეაფასე საკუთარი ძალები. ოპერაციაში მონაწილე სპეციალური დანიშნულების №11 ტაქტიკურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა საჰაერო ძალების ბრიგადის გენერალი გრეგორ ტრებონი, C-141-ის ყოფილი მფრინავი, რომელსაც არ გააჩნდა სახმელეთო ბრძოლის გამოცდილება. ტაკურ-გართან ოპერაციის ყველაზე გადაწყვეტ მომენტში ის ხმელეთზე ბრძოლასა და სავეაკუაციო მოქმედებებს ხელმძღვანელობდა ომანის მახლობლად განლაგებული შტაბიდან. მან ასევე ფართოდ გამოიყენა საზღვაო ძალების სპეციალური დანიშნულების SEAL-ის ჯგუფები, რომელთაც ხმელეთზე (მით უმეტეს, მაღალი მთის პირობებში) ბრძოლის გამოცდილება არ გააჩნდათ;

მებრძოლი უნდა ემზადებოდეს კონკრეტული რეალობის მიხედვით. საბრძოლო გარემოსთან მიახლოებული წვრთნები სამხედროს სიცოცხლეს იცავს. მებრძოლი უნდა სწავლობდეს მხოლოდ იმას, რაც გამოადგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხის დროს გააკეთებს იმას, რაც იცის და არა იმას, რაც სჭირდება.

*ბრიგადის გენერალი
პასტანგ კაპანაძე*




ვერტიკალური აფრენა-დაფრენის შესაძლებლობის მქონე საფრენი აპარატის შექმნის იდეას ჯერ კიდევ შვეულმფრენში შეესაბოროცი. ანალოგიური შესაძლებლობების მქონე თვითმფრინავის შექმნა კი სხვადასხვა ტექნიკური პრობლემებით იყო განპირობებული და საქმე მხოლოდ გასული საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში დაიძრა. თუმცა რეალური პროტოტიპების შექმნას ორი ათწლეული დასჭირდა.

1944 წლის გაზაფხულის დამდეგს მესამე რაიხის უმაღლესი სარდლობისთვის ნათელი გახდა, რომ არსებული ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებით ვეღარ შეძლებდნენ მოკავშირეთა ბომბდამშენებისგან მსხვილი სამრეწველო ობიექტების დაცვას. ვითარება იმდენად რთული იყო, რომ ბომბდამშენების გადასაჭვრად საკმაოდ ამბიციური პროექტებიც კი განიხილებოდა, რომელთაგან ერთ-ერთს ერის ბაჰენის ვერტიკალური აფრენის რაკეტულძრავიანი გამანადგურებელი წარმოადგენდა.

ეს პროექტი ბაჰენმა ჯერ კიდევ 1939 წელს წარმოადგინა, მაგრამ მაშინ ის არარეალურად მიიჩნეოდა. ომის პირობებიდან გამომდინარე, ერთჯერადი დანიშნულების Ba.349 Natter-ი მაქსიმალური სიმარტივითა და ხისგან იყო შესრულებული. შეიარაღების სახით, თვითმფრინავის ცხვირა ნაწილში ექვსკუთხედ კონტეინერში 24 73მმ-იანი S-217-ის ტიპის უმართავი რაკეტა თავსდებოდა. მეორე ვარიანტის მიხედვით კი ოთხკუთხედი კონტეინერში — 33 55მმ-იანი რაკეტა.

ჩანაფიქრის თანახმად, Natter-ს გერმანია მოკავშირეთა ბომბდამშენებისგან უნდა დაეცვა



ვერტიკალური



გარღვევა

ფრენისას ცხვირა ნაწილი სპეციალური პლასტიკური გარსშემოდენით იხურებოდა, რომელსაც მფრინავი რაკეტების გასროლის წინ აგებდა.


შემუშავებული სქემის მიხედვით, ბორტზე არსებული სარაკეტო შეიარაღება ერთი ბომბდამშენის გასანადგურებლად იყო განკუთვნილი და ის ზალპით მოქმედებდა. დარჩენილი კინეტიკური ენერჯია მფრინავს სიმაღლის ასაღებად უნდა გამოეყენებინა და პლანირებით შემდგომ სამიზნეზე ტარანით უნდა წასულიყო. უშუალოდ შეჯახების წინ მფრინავი პარაშუტით ხტებოდა. ამ დროს შემდგომი გამოყენებისთვის რაკეტულძრავიანი თვითმფრინავის კულა ნაწილიც პარაშუტით ეშვებოდა.

სტარტისთვის Ba.349 Natter-ს 25მ-იან ვერტიკალურ ფერმაზე ამარაგებდნენ. ძლიერი ძრავას წყალობით წუთში აპარატი 11400მ-ის სიმაღლეზე აღიოდა. პირველი სტარტი 1944 წლის 18 დე-

კემბერს შედგა, მაგრამ წარმატებას მეორე ცდაზე მიაღწიეს.

სულ 36 Natter-ის აგება მოეწყო. აქედან 25-ის გამოცდა მოხერხდა, მათგან 7-ის პილოტირებად ვარიანტში. 1945 წლის აპრილში 10 თვითმფრინავისგან შემდგარი ჯგუფი შტუტგარტთან განათავსეს, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის საშუალება მათ მოკავშირის ტანკებმა არ მისცეს და ყველა თვითმფრინავი ადგილზე გერმანელებმავე გაანადგურეს.

რეაქტიული ძრავას გამოიყენებდა და 50-იან წლებში რეაქტიული ავიაციის სწრაფმა განვითარებამ ერთიორად გაზარდა საბრძოლო თვითმფრინავების შესაძლებლობები. ახალ ჩქაროსნულ მანქანებს სამოქმედო უკვე ბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენილიკებიანი აეროდრომები ესაჭიროებოდათ. სამხედრო-საჰაერო ძალების დამრტყმელი პოტენციალი ბილიკების გამართულობაზე



ვიზუალური მსგავსების გარდა, Pogo-ს ერთნაირი პრობლემები

Salmon-სა და X-13-ის პრობლემები

იყო დამოკიდებული. ეს დამოკიდებულება ძალიან დიდ საფრთხეს ქმნიდა იმ დროს, როდესაც საბრძოლო მოქმედებების წარმოება დიდი და საშუალო სიშორის ზუსტი სარაკეტო იარაღის გამოყენებასაც ითვალისწინებდა, რომლითაც პირველ რიგში აეროდრომების განადგურება იგეგმებოდა.

შექმნილი ვითარებიდან არსებობდა მხოლოდ ერთი გამოსავალი, — საჭირო იყო ვერტიკალური აფრენა-დაფრენის გამანადგურებლის შექმნა, რომელსაც ასაფრენად თავის გაბარიტებზე ოდნავ დიდი მოედანი დასჭირდებოდა.

1953 წელს აშშ-ის სამხედრო-სა-ჰაერო ძალებმა ფირმებს Lockheed-სა და Convair-ს ვერტიკალური აფრენა-დაფრენის თვითმფრინავის შექმნა შეუკვეთა. ამასთან, ძალური დანადგარის სახით ორივე ფირმის ქმნილებაზე: Lockheed XFV-1 Salmon-ი და Convair XFV-1 Pogo — ტურბოროხანნიანი ძრავა უნდა გამოყენებულიყო, რის გამოც ორივე ფირმამ თანადერძულხრანნიანი Allison XT 40-ის ტიპის ძრავა გამოიყენა. გარდა ამისა, ორივე თვითმფრინავი მსგავსი კონსტრუქციული სქემის მიხედვით იყო შესრულებული. კონსტრუქტორების ჩანაფიქრის თანახმად, ორივე თვითმფრინავს აფრენა-დაფრენა კუდზე უნდა შეესრულებინა. ამისთვის XFV-1-ის შემთხვევაში შასი ერთნაირი გაქანის მქონე ჯვარისებრ კუდის ფრთასხმულობაზე მაგრდებოდა. „უკულო“ სქემის მიხედვით შექმნილ XFV-1-ზე კი შასის ჯვარედინი ფორმის ფრთისა და ფრთასხმულობის კონსოლების ბოლოებზე ამარებდნენ.

პირველი აფრენა 1954 წლის 16 ივნისს Salmon-მა შეასრულა, თუმცა ის ჰორიზონტალური იყო და პროექტის დახურვამდე შესრულებული 32 საცდელი გაფრენისას ვერც ერთხელ ვერ მოხ-

ერხდა მისი ვერტიკალურად აფრენა. Pogo-ს მეტად გაუმართლა და 1954 წლის 4 ნოემბერს აეროდრომზე მოწვეული სამხედროები და ჟურნალისტები საოცარი სანახაობის მომსწრენი გახდნენ: 20-25მ-ის სიმაღლეზე ვერტიკალურად აფრენილი თვითმფრინავი მდორედ ჰორიზონტალურ ფრენაში გადავიდა და აეროდრომის თავზე რამდენიმე წრის შესრულების შემდეგ მიწაზე კვლავ ვერტიკალურად დაეშვა. ეს, ერთი შეხედვით, მარტივი ფრენა მფრინავისგან დიდ ოსტატობასა და ყურადღებას მოითხოვდა. წარმატების მიუხედავად, 1956 წლის აგვისტოში პროექტი დაიხურა. იმ დროისთვის არსებული გამანადგურებლები უკვე ზებეგერთი სიჩქარით დაფრინავდნენ და მათთან შედარებით Pogo მოძველებული იყო.

იმ პერიოდისთვის X-13 ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური პროექტი იყო



მიუხედავად ამისა, აშშ-ში ვერტიკალური აფრენა-დაფრენის თვითმფრინავების ბუმი დაიწყო. 1950 წელს ფირმა Ryan-მა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტს ვერტიკალური აფრენა-დაფრენის შედარებით პატარა რეაქტიული საგემბანო გამანადგურებლის შექმნა შესთავაზა, რომელსაც X-13 Vertijet -ი ეწოდა. მის უნიკალურობას შასის არარსებობა განაპირობებდა. აფრენა-დაფრენა ვერტიკალურად დაყენებული პლატფორმიდან უნდა მომხდარიყო. აფრენისას, პლატფორმიდან მოშორების შემდეგ, მფრინავს თვითმფრინავი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადაჰყავდა. დაჯდომისას ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფ X-13-ის მფრინავს ფიუზელაჟის ცხვირა ნაწილში არსებული კავი პლატფორმაზე გაჭიმული ნახევარი დიუმის სისქის გვარლისთვის უნდა გამოეღო.

თვითმფრინავის მშენებლობა 1955 წლის ბოლოს დასრულდა. პირველი ჰორიზონტალური აფრენა მან 10 დეკემბერს შეასრულა, კონსტრუქტორებმა არ გარისკეს პირველივე ვერტიკალური სტარტი. შემდგომი წლის 28 მაისს კი მფრინავ-გამომცდელმა პიტერ ჟერარდმა X-13-ით პირველი ვერტიკალური სტარტი აიღო. რამდენიმე საცდელი გაფრენის შემდეგ, პირველად რეაქტიულ ავიაციაში, ჟერარდმა ვერტიკალური სტარტის აღების შემდეგ თვითმფრინავი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში გადაიყვანა და აეროდრომზე დაუბრუნებლად დაეშვა. ეს ისტორიული მოვლენა 1956 წლის 28 ნოემბერს მოხდა. შემდგომი წლის 28 ივნისს ჩატარებულ საპრეზენტაციო ფრენას 3000 სამხედრო და ჟურნალისტი ესწრებოდა. X-13 უპრობლემოდ ჯდებოდა პლატფორმაზე და გადადიოდა ვერტიკალური მდგომარეობიდან ჰორიზონტალურში ან პირიქით. დემონსტრაციის კულმინაციად მისი პენტაგონთან გადაფრენა და ავტოსადგომზე დაჯდომა გახდა. სხვათა შორის, დღემდე X-13 მსოფლიოში ერთადერთი რეაქტიული თვითმფრინავია, რომელმაც ამ შენობასთან საშტატო დაჯდომა შეასრულა.

მიუხედავად ამისა, სამხედროებმა შეწყვიტეს X-13-ის პროგრამის და მასთან ერთად ფიუზელაჟის ვერტიკალური მდგომარეობის მქონე თვითმფრინავების პროექტების ფინანსირება. მიზეზი კი ყველასათვის ერთი იყო, — გართულებული პილოტირება. შემდგომ X-13-ს ინტენსიურად დაატარებდნენ სხვადასხვა გამოყენებაზე, მაგრამ მისი დაინტერესება მალე განელდა და 1960 წელს თვითმფრინავი, თავისი პლატფორმიდან, აშშ-ის ნაციონალურ აეროკოსმოსურ მუზეუმს გადასცეს.



გერმანული Do.31 დღემდე ვერტიკალური აფრენა-დაფრენის ერთადერთ სატვირთო თვითმფრინავად რჩება



საბრძოლო თვითმფრინავების გარდა, ვერტიკალური აფრენა-დაფრენის სქემის მორგებას კონსტრუქტორები სხვა სახის თვითმფრინავებზეც ცდილობდნენ. 60-იანი წლების დასაწყისში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს დაკვეთით ფირმა Dornier Flugzeugwerke-მა ვერტიკალური აფრენის ტექნიკურ სატრანსპორტო თვითმფრინავზე დაიწყო მუშაობა. Do.31-ის ძალური დანადგარი ფრთის ქვეშ განთავსებული ცვლადი წვეის ვექტორის მქონე ორი რეაქტიული ამწევ-სამარშო Rolls-Royce Pegasus-ისა და ფრთის კიდურა ნაწილებზე არსებულ გონდოლებში ოთხ-ოთხი ამწევი Rolls-Royce RB162-4D-ს ტიპის ძრავებისგან შედგებოდა.

1967 წლის 10 თებერვალს Do.31-მა პირველი აფრენა შეასრულა, მაგრამ რადგან იმ პერიოდისთვის თვითმფრინავი მხოლოდ ამწევ-სამარშო ძრავებით იყო აღჭურვილი, აფრენა ჰორიზონტალური იყო. იმავე წლის 22 ნოემბერს ვერტიკალური აფრენაც შესრულდა. 1969 წელს ლე-ბურჟეს ავიასალონზე თვითმფრინავმა დიდი ფურორი გამოიწვია. მისი მაქსიმალური ასაფრენი მასა 27.422კგ-ს შეადგენდა და 36 სრულად აღჭურვილი ჯარისკაცის წაყვანა შეეძლო.

1970 წლის აპრილში თვითმფრინავის გამოცდების პროგრამა დაიხურა, თუმცა მანამდე Do.31-მა თავის კლასში რამდენიმე მსოფლიო რეკორდი დაამყარა. პროგრამის დახურვის მიზეზად თვითმფრინავის შედარებით დაბალი ტვირთამწეობა და ფრენის მანძილი (1800კმ) დასახელდა. დღეისთვის არსებული სამი პროტოტიპიდან ერთადერთი ეგზემ-

პლარის ნახვა მიუნხენის ტექნიკურ მუზეუმშია შესაძლებელი.

1960 წელს NATO-მ ვერტიკალური აფრენა-დაფრენის გამანადგურებელ-ბომბდამშენზე კონკურსი გამოაცხადა. კონკურსში ექვსი პროექტი მონაწილეობდა, აშკარა უპირატესობით მხოლოდ ორი — ფრანგული — Mirage V და გერმანული VJ-101C გამოირჩეოდა.

გერმანული კონცერნ EWR-Sud-ის VJ-101C იმ პერიოდისთვის საკმაოდ ინოვაციურ პროექტთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. წაყენებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კონსტრუქტორებმა არჩევანი შერეული სქემის ძალურ დანადგარზე შეაჩერეს, — Rolls-Royce RB-145R-ის ტიპის ორი რეაქტიული ამწევი ძრავა მფრინავის კაბინის უკან თავსდება. ამავე ტიპის ორ-ორი ამწევ-სამარშო ძრავა კი ფრთის კიდურა ნაწილებზე არსებულ გონდოლებში, რომლებიც, თავის მხრივ, შეეული აფრენა-


დაფრენისთვის, ვერტიკალურად ტრი-ალდებოდნენ.

VJ-101C პირველად 1962 წლის გაზაფხულზე აფრინდა, ერთი წლის შემდეგ კი ვერტიკალური აფრენა შესრულდა. 1964 წელს თვითმფრინავის პირველმა გამოცდილმა ნიმუშმა კატასტროფა განიცადა. ამასობაში NATO-ს ამ თვითმფრინავის მიმართ ინტერესიც გაუნელდა, მაგრამ EWR-Sud-ი 1971 წლამდე განაგრძობდა მასზე მუშაობას.

რაც შეეხება ფრანგულ Mirage-ს, მასზე ფირმა Dassault-მა მუშაობა 1960 წლის მეორე ნახევარში დაიწყო. ახალი თვითმფრინავის შექმნამდე, რომელიც ერთი სამარშო და რვა ამწევი ძრავით უნდა აღჭურვილიყო, ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით Dassault-მა ექსპერიმენტული თვითმფრინავი Balzac-ი შექმნა, რომელზეც იმ დროისთვის არსებული Rolls-Royce RB.108-ის ტიპის რვა ამწევი ძრავა განათავსეს (ისინი

დომოდედოვოს ალღუმზე ჩვენების მიუხედავად, ЯК-36-ზე მუშაობა, მისი არასრულყოფილების გამო, მალევე შეჩერდა





Mirage III-V ვერტიკალური აფრენა-დაფრენის პირველი და უკანასკნელი ფრანგული თვითმფრინავი იყო

წყვილ-წყვილად სამარშო ძრავას ორივე მხარეს დააყენეს). შემდგომში მისი გამრცდისას მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, სერიულ გამანადგურებელ Mirage IIIC-ის ბაზაზე ვერტიკალური აფრენის Mirage III-V შეიქმნა, რომელიც პირველად 1965 წლის 12 თებერვალს აფრინდა. ორივე თვითმფრინავის შემთხვევაში აფრენა-დაფრენისა და გადასვლით რეჟიმებზე მართვა ჭკაულური საჭეებით ხდებოდა. 1966 წლის 24 მარტს თვითმფრინავი ფრენის ვერტიკალური რეჟიმიდან პორიზონტალურში გადავიდა. მალე ზებეკრითი სიჩქარეც განავითარა, მაგრამ 1966 წლის 28 მარტს საფრანგეთის მთავრობამ თვითმფრინავის სერიულ წარმოებაზე უარი თქვა, თუმცა პროტოტიპების გამოცდა და პროგრამის ფინანსირება არ შეწყვეტილა. ზუსტად რვა თვის შემდეგ კი კატასტროფა Mirage III-V-ის პირველმა საცდელმა ნიმუშმა განიცადა და ფრანგული ვერტიკალური აფრენის თვითმფრინავის შექმნის პროგრამა დაიხურა.

საბოლოოდ NATO-მ არჩევანი, ბრიტანული ფირმა Hawker Siddeley-ის პროექტზე შეაჩერა, რომლის მიხედვით შესრულებული ექსპერიმენტული P-1127 პირველად 1960 წლის 24 ნოემბერს აფრინდა. სწორედ ეს თვითმფრინავი გახ-

და დღეისთვის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ვერტიკალური აფრენის თვითმფრინავი Harrier-ის პროტოტიპი, რომლის სერიული წარმოებაც 1967 წელს დაიწყო. მისი ძალური დანადგარი Rolls-Royce Pegasus-ის ტიპის ერთი რეაქტიული ძრავასგან შედგება, რომელსაც ორი წვეილი მბრუნავი საქმენის გამოყენების წყალობით ცვლადი წვეის ვექტორის სისტემა აქვს.

თვითმფრინავის პირველ მოდიფიკაციებს GR.1 და GR.3 ვარიანტები წარმოადგენდნენ, რომლებიც მხოლოდ დიდი ბრიტანეთის შეიარაღებაში იყვნენ. მოგვიანებით, 1979 წელს, სამეფო ავიაციის ფლოტის შესაიარაღებლად, ფირმა British Aerospace-მა საგემბანო მოდიფიკაცია Sea Harrier შექმნა. მან საბრძოლო ნათლობა 1982 წელს ფოლკლენდის კუნძულებისთვის არგენტინასა და დიდ ბრიტანეთს შორის საბრძოლო დაპირისპირებაში მიიღო. მაშინ ამ უკანასკნელმა ათი Sea Harrier-ი დაკარგა. დღეისთვის თვითმფრინავის ეს ვარიანტი დიდი ბრიტანეთისა და ინდოეთის საზღვაო ძალების შეიარაღებაშია.

Harrier-ი იმდენად პერსპექტიული და უნივერსალური თვითმფრინავი გამოვიდა (ყველა მოდიფიკაციას როგორც

„ჰაერი-ჰაერი“, ასევე „ჰაერი-მიწა“ კლასის შეიარაღების ტარება შეუძლია), რომ მისი წარმოების სურვილი აშშ-საც გაუჩნდა და ოთხი ფირმის შრომის წყალობით (McDonnell Douglas, British Aerospace, Boeing, BAE Systems) 1978 წლის 9 ნოემბერს ჰაერში ბრიტანულ-ამერიკული AV-8B Harrier II აფრინდა, რომელიც დღეისთვის იტალიისა და ესპანეთის საზღვაო ფლოტებისა და აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის შეიარაღებაშია.

თვითმფრინავის შემდგომ მოდიფიკაციად ბრიტანულ BAE Systems-ისა და ამერიკულ McDonnell Douglas-ის შექმნილი მოდიფიკაციები GR.5 (1985 წელი), GR.7 (1992) და GR.9 (2002) გახდა, რომელიც მხოლოდ ბრიტანეთის შეიარაღებაშია.

მოგვიანებით ვერტიკალური აფრენა-დაფრენის თვითმფრინავებზე მუშაობა საბჭოთა კავშირამაც დაიწყო. საბჭოეთს აშშ-ის მხარედი ატომური წყალქვეშა ფლოტისთვის საკადრისი პასუხი უნდა გაეცა, რისთვისაც წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო კრეისერების მშენებლობა დაიწყო, რომლებიც ამავე დანიშნულების შეუქმნადრებელი იყვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ ეს არასაკმარისი აღმოჩნდა. საჭირო იყო ვერტიკალური აფრენის საგემბანო თვითმფრინავის შექმნა. იმ პერიოდისთვის ამ ტიპის თვითმფრინავების შექმნაში ყველაზე წარმატებული იაკოვლევის საკონსტრუქტორო ბიურო აღმოჩნდა, რომელსაც მალევე დაეწალა ასეთი თვითმფრინავის შექმნა.

ძალური დანადგარის სახით ЯК-36-ზე ცვლადი წვეის ვექტორის მქონე P27-300-ის ტიპის ორი რეაქტიული ამწვე-სამარშო ძრავა გამოიყენებოდა. დაკიდებისა და გადასვლის რეჟიმებზე თვითმფრინავის სამართავად ჭკაულური საჭეები გამოიყენებოდა, რომელიც თვითმფრინ-

კატაპულტირების ავტომატური სისტემის მიუხედავად, რომელმაც 19 მფრინავი გადაარჩინა, ЯК-38 ძალზე არასრულყოფილ და არასაიმედო თვითმფრინავად ითვლება



ნავის კულა და ცხვირა ნაწილში წინ-წაწულ ძელზე განათავსეს.

1964 წლის 27 ივლისს ЯК-36-მა პირველი პორიზონტალური აფრენა შეასრულა. ტექნიკური ხარვეზების გამო კი პირველი ვერტიკალური აფრენა მხოლოდ 1966 წლის 7 თებერვალს შედგა. პრესტიჟის ასამაღლებლად, ერთი წლის შემდეგ, ЯК-36-ი მოსკოვში, დომოდედოვოს აეროპორტში გამართულ ავიამოუზე აჩვენეს. თავიდან ხომალდებზე ექსპლუატაციის მეთოდიკის დასამუშაებლად 10-15 მანქანის გამოშვება იგეგმებოდა, მაგრამ მიხერული სასარგებლო დატვირთვით განპირობებული ამ თვითმფრინავის არაპერსპექტიულობა იმდენად აშკარა იყო, რომ მის ბაზაზე ახალი თვითმფრინავის შექმნა გადაწყდა. დღეისთვის ЯК-36-ის ერთადერთი პროტოტიპის ნახვა მოსკოვში, მონინოს საავიაციო მუზეუმში შეიძლება.

ЯК-36-ის პროექტის მარცხის შემდეგ, 1967 წლიდან, იაკოვლევის საკონსტრუქტორო ბიურომ ვერტიკალური აფრენა-დაფრენის ახალ თვითმფრინავ ЯК-36М-ზე დაიწყო მუშაობა. ძალური დანადგარის შერჩეული სქემის თანახმად, თვითმფრინავი მფრინავის კაბინის უკან განთავსებული РД-36-35ФВ-ის ტიპის ორი და ერთი Р-27В-300-ის ტიპის ამწვე-სამარშო ძრავებით აღიჭურვებოდა. ამ უკანასკნელს ცვალებადი წვევის ვექტორის მქონე ორი საქმენი ჰქონდა. თავდაცვის სამინისტროს გეგმის თანახმად, ახალი თვითმფრინავი 1143-ის პროექტის ავიამზიდ კრეისერებზე უნდა განთავსებულიყო (Киев, Минск, Новороссийск).

თვითმფრინავი, რომელსაც ЯК-38 ეწოდა, პირველად 1970 წლის 2 დეკემბერს აფრინდა. ერთი წლის შემდეგ კი ვერტიკალური აფრენა და პორიზონტალურ რეჟიმში გადასვლა შესრულდა.

ამწვეი ძრავების დამზადების შემთხვევაში, BBA-14 მსოფლიოში ვერტიკალური აფრენის ყველაზე დიდი თვითმფრინავი იქნებოდა



თვითმფრინავის უნიკალურ მხარეს მისი ავტომატური კატაპულტირების სისტემა წარმოადგენს. მისი დანიშნულებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ძრავას მწეობრიდან გამოსვლის შემთხვევაშიც, განსაკუთრებით კი დაკიდების რეჟიმზე, თვითმფრინავი იმდენად სწრაფად ვარდება, რომ ადამიანი ვერ ასწრებს რეაგირებას. ამიტომაც ЯК-38-ზე ეს ფუნქცია ავტომატიკას დააკისრეს, მაგრამ 1976 წელს ავტომატიკამ შეცდომით იმუშავა — სერიული მანქანის შემოწმებისას 70მ-ის სიმაღლეზე ავტომატიკამ მფრინავ-გამომცდელის კატაპულტირება მოახდინა, გადასვლით რეჟიმზე მყოფმა თვითმფრინავმა კი განაგრძო სიმაღლის აღება. ამასობაში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის რადარებზე უცნობი სამიხნე გამოჩნდა, რომელიც კავშირზე არ გამოდიოდა და მისი ჩამოგდება გადაწყდა, თუმც სწავის გამოლევის შემდეგ „უბილოტო“ თვითმფრინავი თავისით ჩამოვარდა. ამის შემდეგ მფრინავების დამოკიდებულება ამ სისტემის მიმართ მკვეთრად შეიცვალა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ ავტომატიკამ მფრინავის სიცოცხლე იხსნა — კატაპულტირება მიწასთან შეჯახებამდე 0,2წმ-ით ადრე მოხდა.

1972 წელს ЯК-38-მა ნახსაწინააღმ-

დეგო კრეისერ Москва-ზე პირველი დაჯდომა შეასრულა. მალე თვითმფრინავი შეიარაღებამდე მიიღეს, მაგრამ სამხრეთ განედებში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მაღალი ტემპერატურის გამო შეუიარაღებელი თვითმფრინავიც კი ვერტიკალურად ვერ ფრინდებოდა. თავის დროზე, ინგლისელები Harrier-ზე ანალოგიურ პრობლემას წააწყდნენ და ვითარებიდან შემოკლებული აფრენის მეთოდიკის გამოყენებით გამოვიდნენ. მალევე ЯК-38-ის მფრინავებმა აფრენის ახალი მეთოდიკის დამუშავება დაიწყეს.

გამოცდების ფარგლებში, 1980 წელს რეალურ საბრძოლო პირობებში, თვითმფრინავის შესაძლებლობების დასადგენად ოთხი ЯК-38 ავღანეთში გაიგზავნა, სადაც ერთი მანქანა არასაბრძოლო პირობებში დაიკარგა, მაგრამ თვითმფრინავს სხვა პრობლემებიც ბლომად ჰქონდა. 231 გამოშვებული ЯК-38-დან 83-მმა კატასტროფა განიცადა, რის გამოც მფრინავების უნდობლობა ამ მანქანისადმი ძალზე გაიზარდა და 1991 წელს ის მოხსნეს შეიარაღებიდან.

ЯК-ის პროექტების გარდა, ამერიკულ წყაღქვეშა ნაევთან საბრძოლველად საბჭოთა კავშირში გაცვლებით ამბიციური პროექტი მუშავდ-

ასაკის მიუხედავად, უნივერსალურობის წყალობით მოდერნიზებული Harrier-ები დღესაც შესანიშნავად ართმევენ თავს მათ წინაშე დასახულ ამოცანებს



რომ არა საბჭოთა კავშირის დაშლა, ЯК-141 ვერტიკალური აფრენის პირველი სერიული ზებგერითი თვითმფრინავი იქნებოდა



ბოდა. 50-იანი წლების ბოლოს წარმოშობით იტალიელმა ავიაკონსტრუქტორმა რობერტო ბარტინიმ საზღვაო ბაზირების ვერტიკალური აფრენის დაფრენის ამფიბია BVA-14-ზე (Вертикально взлетающая амфибия) დაიწყო მუშაობა. აპარატს საკმაოდ უცნაური იერი ჰქონდა. ფიუზელაჟი, მასში განლაგებული ეკიპაჟის კაბინით, ცენტროპლანის ნაწილს წარმოადგენდა, რომლის გვერდებზეც წყალზე დასაჯდომად განკუთვნილი გასაბერი ტიფტეების ნაკვეთურები იყო.

BVA-14 D-30M-ის ტიპის ორი სამარშო (6800კგძალა) ძრავების ცენტროპლანზე მაგრდებოდა, 12 ამწვევი

РД36-35ПР-ის ტიპის ძრავა (4400კგძალა) კი უშუალოდ ცენტროპლანში თავსდებოდა.

თვითმფრინავის მშენებლობა 1965 წელს დაიწყო. თავდაპირველად, სამი საცდელი ნიმუშის აგება იგეგმებოდა. პირველი 1M კონსტრუქციის, აეროდინამიკური სქემისა და სისტემების დასახვეწად იყო განკუთვნილი და ამიტომაც მასზე მხოლოდ სამარშო ძრავები დააყენეს.

პირველი BBA-14 ჰაერში 1972 წლის 4 სექტემბერს აფრინდა. სხვათა შორის, თვითმფრინავი ტაგანროგის საავიაციო ქარხანაში აშენდა, რომელიც გიორგი ბერიევის (ბერიაშვილი) საკონსტრუქ-

ტორი ბიუროს დღესაც ეკუთვნის. საფრენოსნო გამოცდების დასრულების შემდეგ, გასაბერი ტიფტეების გამოსაცდელად საზღვაო გამოცდები დაიწყო. თუმცა იმ პერიოდისთვის სამხედროების ინტერესი ამ თვითმფრინავისადმი განუღწა. მალე ნათელი გახდა, რომ მეორე საცდელი ნიმუშისთვის (2M) განკუთვნილ ამწვე ძრავებს არაფერი დააშადებდა. ამიტომაც ბარტინიმ BBA-14-ზე ცხვირა ნაწილში ორი დამატებითი ძრავის დაყენება და მისი ეკრანოპლან 14M1П-ად გადაკეთება გადაწყვიტა, მაგრამ 1974 წელს გენერალური კონსტრუქტორის გარდაცვალების შემდეგ, 1975 წელს, პროექტიც დაიხურა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ეს უნიკალური აპარატი (ფრენის მანძილი — 2450კმ, საბრძოლო დატვირთვა — 2000კგ) მონინოს საავიაციო მუზეუმს გადასცეს.

ჰორიზონტალური აფრენის თვითმფრინავებთან შედარებით, აფრენისთვის საჭირო მცირე ადგილის საჭიროების წყალობით, ვერტიკალური აფრენის თვითმფრინავი აშკარა უპირატესობით გამოირჩევა. თუმცა ამავდროულად ის გართულებული პილოტირებით (განსაკუთრებით ჩამოკიდებისა და გადასვლის რეჟიმებზე) და ვერტიკალური აფრენისას



დაცვის პოლიცია გთავაზობთ ბინებისა და ოფისების დაცვას სიგნალიზაციით

ჩვენი მომსახურების უპირატესობები:

- ჩვენ ვიცავთ ობიექტებს მსოფლიო ლიდერი კომპანიების AES IntelliNet-ის და Honeywell-ის მიერ წარმოებული დაცვის საგანგაშო სიგნალიზაციის უახლესი და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.
- დასაცავი ობიექტი 24 საათის განმავლობაში ჩართულია დაცვის პოლიციის ცენტრალური დაკვირვების პულტზე და განგაშის შემთხვევაში დაკავების ჯგუფი გადის ობიექტზე.

როგორ უნდა დაგვიკავშირდეთ:

- დარეკეთ საინფორმაციო სამსახურის ნომერზე - 0-25 და 24 საათის განმავლობაში მიიღეთ ამომწურავი ინფორმაცია ჩვენი მომსახურების შესახებ, ან
- მოგემართეთ განცხადებები მისმართზე: ქ. თბილისი, ბუღაძემტის ქ. №6, ხოლო რეგიონებში - დაცვის პოლიციის რეგიონალურ სამმართველოებში, ან შეავსეთ ელექტრონული განაცხადი ჩვენს ვებ-გვერდზე www.spd.ge



თუ გამოცდებს ხელი არაფერმა შეუშალა, 2011 წლისთვის F-35-ს შეიარაღებაში მიიღებენ



მცირე საბრძოლო დატვირთვით ხასიათდება. გარდა ამისა, მანამდე შექმნილ ამ ტიპის თვითმფრინავებს კიდევ ერთი დიდი ნაკლი ჰქონდათ — ფრენის ბგერადელი სიჩქარე. ეს აშკარა ფოლკლენდის კუნძულების კონფლიქტის შემდეგ გახდა, როდესაც ბრიტანულ Harrier-ებს გაუჭირდათ არგენტინის შეიარაღებაში არსებულ ზებგერით Super Etendard-ებთან გამკლავება.

საბჭოთა კავშირში ეს პრობლემა უნდა გადაჭრილიყო ახალი საგემბანო Як-141-ით, რომელზე მუშაობაც 1978 წლიდან დაიწყო. გვეგის თანახმად, ის 1143.4 (Баку) და 1143.5 (Тбилиси) პროექტის ავიაშიდ კრეისერებზე უნდა განთავსებულიყო. ახალი თვითმფრინავის შექმნისას გადაწყდა Як-38-ზე აპრობირებული ძალური დანადგარის სქემის გამოყენება და Як-141 ერთი P-79-ის ტიპის ამწევ-სამარშო (15500კგ-ძალა ფორსაჟზე) და PD-41-ის ტიპის ორი ამწევი ძრავით (4100კგძალა) აღჭურვეს.

თვითმფრინავის პირველი გამოცდილი ნიმუში (სულ ოთხი ცალი აშენდა) 1987 წლის 9 მარტს აფრინდა. რამდენიმე თვეში კი ვერტიკალური აფრენა და ჰორიზონტალურ რეჟიმში გადასვლა შესრულდა.

გამოცდის მეორე ეტაპის ფარგლებში, მალე თვითმფრინავი ავიაშიდ-კრეისერზე გადაიყვანეს, სადაც ერთ-ერთი საცდელი გაფრენისას, გადაჭარბებული ვერტიკალური სიჩქარით დაჯდომისას, კატასტროფა თვითმფრინავის მეორე გამოცდილმა ნიმუშმა განიცადა.

პროექტის პერსპექტიულობის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის დაშლამ Як-141-ის პროექტის განვითარებას და მის სერიულ წარმოებას წერტილი დაუსვა. ოფიციალურ მიზეზად კი მომხდარი კატასტროფა და თვითმფრინავის არასრულყოფილება დასახელდა.

90-იანი წლების დასაწყისში ვერ-

ტიკალური აფრენის ზებგერით თვითმფრინავზე მუშაობა აშშ-მაც დაიწყო. 1992 წელს ქვეყნის თავდაცვის სამინისტრომ, საგემბანო და საზღვაო ქვეითთა კორპუსის შეიარაღებაში არსებული Harrier-ებისა და ნაწილობრივ F/A-18-ის შესაცვლელად ახალი თვითმფრინავის ძებნა დაიწყო. 1996 წელს კი პროგრამა JSF-ის ფარგლებში (Joint Strike Fighter), მჭიდრო თაობის ახალ მრავალმიზნობრივ გამანადგურებელზე კონკურსი გამოცხადდა, რომლის პირობების თანახმად, მომავალ თვითმფრინავს ვერტიკალური აფრენაც უნდა შესძლებოდა. კონკურსში მონაწილეობის სურვილი Lockheed Martin-მა, Boeing-მა და McDonnell Douglas-მა გამოთქვეს. თუმცა ამ უკანასკნელის პროექტზე თავიდანვე უარი ითქვა. მალე თავისი Sea Harrier-ების შესაცვლელად JSF-ის პროექტში მონაწილეობის სურვილი დიდმა ბრიტანეთმაც გამოთქვა.

კონკურსის ფარგლებში ამ უკანასკნელმა გამანადგურებელ X-35-ის სამი ვარიანტი წარმოადგინა: ჰორიზონტალური აფრენის X-35A აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის, აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსისთვის; დიდი ბრიტანეთის ფლოტისთვის და სამხედრო-საჰაერო ძალების განკუთვნილი ვერტიკალური აფრენის X-35B და აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის განკუთვნილი ჰორიზონტალური აფრენის X-35C.

რაც შეეხება Boeing-ის პროექტს, მისი X-32 სამ ვარიანტად იქმნებოდა. მისი პირველი აფრენა 2006 წლის სექტემბერში შედგა. ორივე კონკურსანტი „სტელსის“ ტექნოლოგიების მიხედვით იყო შექმნილი და შესაბამისად, შეიარაღება შეიდანაკეთებებში თავსდებოდა. X-32-ის ინოვაციური იერის მიუხედავად, ვერტიკალური აფრენის მხრივ X-35 უფრო სრულყოფილი იყო. თვითმფრინავზე ამწევი ძრავების განთავსების ნაცვლად, კონსტრუქტორებმა ერთი ძლიერი Pratt &

Whitney F135-ის ტიპის რეაქტიული ამწე-სამარშო ძრავა გამოიყენეს (არსებობს ცნობები, რომ მრავალსექციური მბრუნავი საქშენის კონსტრუქცია ამერიკელებმა რუსებისგან იყიდეს), რომელიც ლილვის საშუალებით მფრინავის კაბინის უკან განთავსებულ ძლიერ ვენტოლატორს დაუკავშირეს. X-32-ზე კი ვერტიკალური აფრენა მბრუნავი საქშენების საშუალებით წვეის ვექტორის ცვლილებით ხდებოდა.

საბოლოოდ, 2006 წლის 26 ოქტომბერს, კონკურსის ფინალისტად Lockheed Martin-ის X-35 დასახელდა, რომელმაც პირველი აფრენა ამავე წლის 15 დეკემბერს შეასრულა. მალე თვითმფრინავმა ოფიციალური სახელწოდება F-35 Lightning II მიიღო.

თვითმფრინავის პროექტის ფინანსირებას ერთდროულად რამდენიმე ქვეყანა ახდენს: აშშ-დიდი ბრიტანეთი — 2,5 მილიარდი დოლარი, იტალია — 1 მილიარდი, ჰოლანდია — 0,8 მილიარდი, კანადა — 440 მილიონი, თურქეთი — 175 მილიონი, ავსტრალია — 144 მილიონი, ნორვეგია — 122 მილიონი და დანია 110 მილიონი.

დღემდე თვითმფრინავის შექმნის პროგრამაზე 40 მილიარდამდე დახარჯული. თვითმფრინავის შექმნისას მაქსიმალურად გამოიყენეს F-22-ის დამზადებისას გამოყენებული ტექნოლოგიები. თავად თვითმფრინავის სამივე მოდიფიკაცია კი 70-90%-ზეა უნიფიცირებული, რისი წყალობითაც, შექმნელების განცხადებით, ერთი სერიული F-35-ის ღირებულება 83 მილიონის ფარგლებში მოიქცევა.

დღეისთვის თვითმფრინავის გამოცდა საქმალ ინტენსიურად მიმდინარეობს (სულ აგებულია 13 საცდელი ნიმუში). და თუ ხელი არაფერმა შეუშალა, F-35-ს შეიარაღებაში 2011 წლისთვის მიიღებენ.

თეიმურ კულუზაშვილი



ანსენალი

საქართველოს
ანსენალი



Elite

ქართული ბიზნესთვითმფრინავები



თითქმის ყველა საერთაშორისო ავიასალონზე, თანამედროვე სამხედრო თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების გვერდით, არაერთი ადმინისტრაციული და ბიზნესკლასის თვითმფრინავის ნახვა შეიძლება. ბოლო წლებში ახალი მოდელების რიცხვი სწრაფად მატულობს. უკანასკნელი 8-10 წლის განმავლობაში დამკვიდრებული ტენდენციის თანახმად, ბიზნესკლასის თვითმფრინავის ყოლა ისეთივე პრესტიჟული საქმეა, როგორც 25-30 წლის წინ Rollse-Royce Phantom-ისა.

ჩვენში ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ თბილისში 1941 წელს დაარსებული 31-ე საავიაციო ქარხანა (დღეს ს/ს „თამ“-ი „თბილავიამშენი“), რომელიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ძირითადად, მოიერიშე Cy-25-ის წარმოებითაა ცნობილი (მისი მაღალი საბრძოლო პოტენციალისა და სიცოცხლისუნარიანობაზე „არსენალში“ არაერთხელ დაწერილა), ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში სამოქალაქო თვითმფრინავის სერიული წარმოების ათვისებას ცდილობდა. იაკოვლევის საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნილ მსუბუქ ექვსადგილიან ადმინისტრაციულ თვითმფრინავს ЯК-58-ზე ქარხანამ მუშაობა 1989-90 წლებში დაიწყო. საბჭოთა კავშირის დაშლისა და იმ პერიოდში საქართველოში არსებული მძიმე ვითარების მიუხედავად, მუშაობა არ შეჩერებულა და 1993 წელს თვითმფრინავი პირველად აფრინდა ჰაერში. თვითმფრინავის ერთ-ერთი გამოცდილი ნიმუში საფრანგეთში, ლე-ბურჟეს ავიასალონზეც ჩაიტანეს. მაგრამ იმდროინდელმა ეკონომიკურმა პირობებმა მაინც იმოქმედა პროექტზე. ამას თვითმფრინავის კატასტროფებიც დაემატა, რომელთა დროსაც ორი მფრინავ-გამომცდელი დაიღუპა და 1998 წელს თბილისის საავიაციო ქარხანაში ЯК-58-ზე მუშაობა შეჩერდა — სამოქალაქო თვითმფრინ-

ავის წარმოების პირველი ცდა უშედეგოდ დასრულდა. თუმცა მალე ქარხანას ახალი შანსი მიეცა.

ახალი პროექტების ძიებაში, 2000 წელს, „თამ“-ი დაუკავშირდა ერთ-ერთ ამერიკულ კომპანიას, რომელიც იმ პერიოდში კომპოზიციური მასალებისგან მსუბუქი ბიზნესკლასის თვითმფრინავის წარმოების დაწყებას გეგმავდა. კომპანიასთან ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყო და 2002 წლის სექტემბერში აშშ-ში ქართველი სპეციალისტების ჯგუფი გაიგზავნა. მიღწეული შეთანხმების თანახმად, „თამ“-მა ამერიკული თვითმფრინავის წარმოების სრული უფლება და მისი ორგანიზებისთვის საჭირო ყველა ატრიბუტი შეიძინა.

იმ პერიოდისთვის, როდესაც „თამ“-ის შემოსავლის უმეტეს ნაწილს მოიერიშე Cy-25-ისა და შვეულმფრენების კაპიტალური რემონტი წარმოადგენდა, კომპანიისთვის ეს პროექტი ძალზე მომგებიანი იყო. ამასთან, ქარხანას ამ პროექტში მონაწილეობით კომპოზიციურ მასალებთან მუშაობის უდიდესი გამოცდილების მიღება შეეძლო, რომელიც მანამდე, პრაქტიკულად არ გააჩნდა. ამავე დროს თბილისში თვითმფრინავის კომპოზიციური დეტალების საწარმოებლად სპეციალური უბნებისა და პერსონალის მომზადება დაიწყო.

აშშ-დან დაბრუნებულმა „თამ“-ის სპეციალისტებმა თან გაამზადებული

1993 წლის შემდეგ TAM JET-ის პროექტი „თამ“-ის პირველი დიდი წარმატება იყო





დაშლილი თვითმფრინავის ასაწყობად საჭირო ორი სრული კომპლექტი (მათ შორის, ძრავებიც) და თვითმფრინავის დეტალების გამოსაწყობებლად საჭირო ლუკვები და სამწყობრო სამარჯვები ჩამოიტანეს.

მალე დაშლილი თვითმფრინავებიდან პირველი გამოცდილი ნიმუშის აწყობა დაიწყო, მაგრამ აწყობისას მის კონსტრუქციაში ზოგიერთი უზუსტობა და საავიაციო ნორმებთან შეუსაბამობები აღმოჩნდა, რომელთა გამოსწორებამაც „თამ“-ის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქტორებს მოუწიათ. მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისთვის ეს დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. სწორედ მაშინ დაარქვეს თვითმფრინავს TAM JET. პარალელურად კონსტრუქტორთა ნაწილი უკვე შემდგომი წარმოებისთვის საჭირო მუშანახაზებს ადგენდა.

TAM JET-ის პირველი გამოცდილი ნიმუშის აწყობა 2004 წლის ბოლოსა და 2005 წლის დამდეგს დასრულდა. მალევე დაიწყო მისი სახმელეთო გამოცდა, რომელთა ფარგლებშიც გამოცდას თვითმფრინავის ყველა სისტემა და მათი შემადგენელი კომპონენტები გადიოდ-

აფრენა შეასრულა. აეროდრომის თავზე რამდენიმე წრის შესრულების შემდეგ თვითმფრინავი მიწაზე დაჯდა — 1993 წელს აფრენილი Як-58-ის შემდეგ, 11-12 წლის განმავლობაში, ეს „თამ“-ის პირველი ახალი თვითმფრინავი და პირველი დიდი წარმატება იყო — აეროდრომზე მყოფი ქარხნის თანამშრომლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ამ პირველი აფრენით TAM JET-ის საფრენოსნო გამოცდების პროგრამა დაიწყო. სხვათა შორის, პირველი გაფრენისას აეროდრომზე რამდენიმე ქართველი ბიზნესმენიც იმყოფებოდა, რომლებმაც თვითმფრინავს საკმაოდ მაღალი შეფასება მისცეს.

შემდგომი საცდელი გაფრენაც სკიმ ჰოლმა შეასრულა, რის შემდეგაც თვითმფრინავი ჰაერში უკვე ქართველ მფრინავ-გამომცდელებს: ზურაბ ლომიძესა და ზურაბ ხოშტარიას აჰყავდათ.

მალევე საცდელი ფრენების ფარგლებში დაიწყო

ბორეაქტიული ძრავა გამოყენებული. თვითმფრინავის ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 7600მ-ია. ეკონომიური ძრავების წყალობით კი, მაქსიმალური დატვირთვის შემთხვევაში, 650კმ/სთ-ის ტოლი კრეისერული სიჩქარით ფრენისას თვითმფრინავის ფრენის სიშორე 2500კმ-ს შეადგენს.

მაგრამ მალე თვითმფრინავს რამდენიმე ნაკლი გამოუჩნდა, ყველაზე პრობლემატური საკითხი კი ის იყო, რომ თვითმფრინავი ვერ პასუხობდა სასერტიფიკაციო მოთხოვნებს, რის გამოც „თამ“-მა მის მოდერნიზაციაზე დაიწყო მუშაობა. თვითმფრინავის დანიშნულების, მგზავრების რაოდენობისა და ძალური დანადგარის შენარჩუნებისა, მოდერნიზაციის ფარგლებში თვითმფრინავის პლანერ-

მომცრო ზომების მიუხედავად, TAM JET-ი მაღალი საფრენოსნო მახასიათებლებითა და კომფორტული სალონით გამოირჩევა



TAM JET-ის გადაფრენები მარნეულის აეროდრომზე.

პარალელურად „თამ“-მა TAM JET-ის სარეკლამო კამპანია წამოიწყო. რაც შეეხება თავად თვითმფრინავს, მისი სიგრძე 9,33მ-ს, სიმაღლე 2,88მ-ს, ფრთის გაქანი კი 10,13მ-ს შეადგენს; ცარიელი თვითმფრინავის წონა 1528კგ-ს, ხოლო მაქსიმალური ასაფრენი — 2704კგ-ს უტოლდება. შედარებით პატარა გაბარიტების მიუხედავად, თვითმფრინავის სალონი საკმაოდ კომფორტულია და თვითმფრინავის ზომებიდან გამომდინარე, ფართობის სიმცირეს ამკარად არ უჩივის. თვითმფრინავი სამ მგზავრზეა გათვლილი და მას მხოლოდ ერთი პილოტი ემსახურება. ძალური დანადგარის სახით, TAM JET-ზე ამერიკული ფირმა Williams-ის მიერ წარმოებული FJ-33-ის ტიპის ორი ტურ-

მარადიკალური ცვლილებები განიცადა. მთლიანად შეიცვალა ფრთა, ფრთასხმულობა, მექანიზაციის საშუალებები, დაგრძელდა ფიუზელაჟი. გაუმჯობესდა მთელი რიგი სისტემები. შეიცვალა შასი და ავიონიკა. კონსტრუქციულ ცვლილებებთან ერთად გაუმჯობესდა თვითმფრინავის საფრენოსნო შესაძლებლობები.

თვითმფრინავის მოდერნიზებულ ვარიანტზე მუშაობა და ზემოთ ჩამოთვლილი სიახლეების შეტანა მხოლოდ „თამ“-ის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქტორების მიერ, თანამედროვე კომპიუტერული სისტემებისა და პროგრამების გამოყენებით ხდებოდა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება და არც ისე შორეულ მომავალში ჩვენ ახალი TAM JET-ის ხილვის შესაძლებლობა გვექნება.

რაც შეეხება თვითმფრინავის პირველ პროტოტიპს, მთლიანობაში მან 16

ნენ. მალევე ქარხნის აეროდრომზე თვითმფრინავის გარბენები დაიწყო, რომელთა დროსაც, 2005 წლის მარტში, მფრინავ-გამომცდელმა გოჩა შინგაზრდილოვმა სულ რამდენიმე წამის განმავლობაში TAM JET-ი 30-50მ-ის სიმაღლეზე ასწია. მაგრამ ტექნიკური ხარვეზების გამო თვითმფრინავის პირველი აფრენა რამდენიმე თვით გადაიდო.

2005 წლის 25 ივლისს TAM JET-მა, რომელსაც ამერიკელი მფრინავ-გამომცდელი სკიმ ჰოლმმა მართავდა, ქარხნის აეროდრომიდან პირველი

ქართველი კონსტრუქტორების მიერ შექმნილი Elite-ი პირველი ქართული ბიზნესთვითმფრინავია (ოშკოსის ავიაშოუ 2007 წელი).



საცდელი გაფრენა შეასრულა (აქედან 2 ამერიკელმა, 14 კი – ქართველმა მფრინავ-გამომცდელმა), რომელთა დროსაც მიღებული მონაცემები მისი მოდერნიზებული ვარიანტის შექმნას დაედო საფუძვლად. ამავე მიზანს ემსახურა ამერიკიდან ჩამოტანილი დაშლილი TAM JET-ის მეორე კომპლექტი, რომელიც ახალი თვითმფრინავის კონსტრუქციული თავისებურებების დასამუშავებლად, მაკეტად გამოიყენება.

მაგრამ ჯერ კიდევ TAM JET-ის პირველ აფრენამდე „თამ“-მა ბიზნესკლასის თვითმფრინავის ახალ პროექტზე დაიწყო მუშაობა.

სხვადასხვა სახის ავიაგამოყენებზე „თამ“-ის პროდუქციის, მათ შორის TAM JET-ის რეკლამირებისას, თბილისის საავიაციო ქარხნით ამერიკული კომპანია Epic Aircraft-ი დაინტერესდა და კომპანიის პრეზიდენტმა რიკ შრამეკმა თბილისში ჩამოსვლის სურვილი გამოთქვა. იმ პერიოდისთვის აშშ-ში უკვე დაფრინავდა Epic Aircraft-ის მიერ შექმნილი 6-7-ადგილიანი კომპოზიციური მასალებისგან შესრულებული ტურბოპროპულსორი თვითმფრინავი Epic-ი.

შრამეკმა ქართულ მხარეს მისი კომპოზიციური დეტალების წარმოება შესთავაზა. მოლაპარაკებების ფარგლებში, უკვე ამერიკაში ყოფნისას, „თამ“-ის გენერალურმა დირექტორმა პანტიკო თორდიამ შრამეკს Epic-ის ცალკეული დეტალების ნაცვლად, მის ბაზაზე Taxi Jet-ის კონცეფციით (საჰაერო ტაქსი) ახალი რეაქტიული თვითმფრინავის ერთობლივი შექმნა და წარმოება შესთავაზა, რომელიც ამაღროულად მსოფლიო ბაზარზე ბიზნესკლასის თვითმფრინავებშიც შეძლებდნენ გასვლას. თანხმობამაც დიდხანს არ დააყოვნა. ამასთან, კომპოზიციური მასალებისგან დამზადებული თვითმფრინავის დაპროექტების გამოცდილების მიღების გარდა, ამ პროექტში მონაწილეობით, „თამ“-ს ამერიკელი პარტნიორი კომპანიის შექმნის საშუალებაც ეძლეოდა.

შეთანხმების თანახმად, მომავალი რეაქტიული თვითმფრინავი „თამ“-ის კონსტრუქტორებს ტურბოპროპულსორი Epic-ის ბაზაზე უნდა დაეპროექტებინათ, ოღონდ ყველა სამუშაო აშშ-ში, ორეონის შტატში, ქალაქ ბენდში, Epic Aircraft-ის საწარმოში უნდა ჩატარებულიყო.

2004 წლის აგვისტოში აშშ-ში ქართველი კონსტრუქტორებისგან შემდგარი პირველი ჯგუფი გაემგზავრა. შემდგომი ორწლიანხვედრის განმავლობაში (ეს პერიოდი ქარხნის მაღალკვალიფიციური მუშა პერსონალის მონაწილეობით თვითმფრინავის პირველი საცდელი ნიმუშის მშენებლობასაც მოიცავდა) „თამ“-ის 12 კონსტრუქტორისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც საჭიროებიდან გამომდინარე, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ერთმანეთს ენაცვლებოდა, ახალ ორძრავიან რეაქტიულ თვითმფრინავზე მუშაობდა, რომელსაც მალე შესაფერისი სახელი – Elite-ი უწოდეს.

მიუხედავად იმისა, რომ Elite-ი უკვე არსებული თვითმფრინავის ბაზაზე იქმნებოდა, პროექტირების პროცესში საბაზო ვარიანტად არჩეულმა Epic-მა რადიკალური ცვლილებები განიცადა. მთლიანად შეიცვალა კულის ფრთასხმულობისა და ფიუზელაჟის ცხვირის ნაწილის კონსტრუქცია, რაც ტურბოპროპულსორი ძრავის დემონტაჟით იყო განპირობებული. შეიცვალა ფრთის ადგილმდებარეობა. თვითმფრინავის კუდა ნაწილში ორი რეაქტიული ძრავის დაყენების საჭიროებიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ფიუზელაჟის ამ ნაწილის ძალური ანაკრეფის გაძლიერება. ამდენი ცვლილებისა და პროექტირების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მიუხედავად, მაღალი პროფესიონალიზმისა და დიდი გამოცდილების წყალობით, „თამ“-ის კონსტრუქტორებმა წარმატებით გაართვეს თავი დასახულ ამოცანას და მართლაც შესანიშნავი თვითმფრინავი დააპროექტეს.

პლანების დაპროექტების გარდა, Elite-ზე დაყენებული შასიც „თამ“-ის კონსტრუქტორებმა შექმნეს და მის საწარმოებში დამზადდა.

სამუშაოს დასრულებასთან ერთად, კონსტრუქტორებმა ეტაპობრივად საქართველოში დაბრუნება დაიწყეს.

Elite-ის, როგორც ბიზნესთვითმფრინავის დანიშნულებიდან გამომდინარე, პროექტირებისას განსაკუთრებული ყურადღება მის სალონს ექცეოდა



ქალაქ ბენდში კი Elite-ის პირველი აფრენისთვის მომზადება დაიწყო და სახმელეთო გამოცდების შემდეგ, 2007 წლის 7 ივნისს, თვითმფრინავი პირველად აფრინდა ჰაერში. მიუხედავად იმისა, რომ Elite-ი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეიქმნა, მისი არსებობა „თამ“-ის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს კონსტრუქტორების დამსახურებაა და ამიტომაც პირველ ქართულ რეაქტიულ ბიზნესკლასის თვითმფრინავად შეიძლება ჩათვალოს.

პირველი შედეგიანი გაფრენის შემდეგ, Elite-ის საფრენოსნო გამოცდა დაიწყო. 2007 ივლისის ბოლოს კი თვითმფრინავი აშშ-ის ქალაქ ოშკოში გამართულ ავიაშოუს სტუმრობდა. შემდგომ თვითმფრინავმა კანადაში საფრენოსნო ვარჯისინობის სერტიფიკატი მიიღო. რაც შეეხება თვად თვითმფრინავს, მისი სიგრძე 12,6მ-ი, სიმაღლე 3,77მ-ი, ფრთის გაქანი კი 13.41მ-ს შეადგენს. ცარიელი Elite-ი 1814კგ-ს იწონის, მისი მაქსიმალური ასაფრენი მასა კი 3492კგ-ს უტოლდება. არც ისე დიდი გაბარიტების მიუხედავად, თვითმფრინავის საკმაოდ კომფორტული სალონი 6-7 მგზავრზეა გათვლილი, მისი ეკიპაჟი კი ერთი ან ორი მფრინავისგან შედგება. ძალური დანადგარის სახით, თვითმფრინავზე ფირმა Williams-ის FJ-33-4A-ს ტიპის ორი ტურბოპროპელსი დრავაა გამოყენებული. თვითმფრინავის კრეისერული სიჩქარე 760კმ/სთ-ს შეადგენს, ფრენის სიმძვიდე კი 2590კმ-ია.

კომპანია Epic Aircraft-თან დადებული შეთანხმების თანახმად, თვითმფრინავზე დაყვანილი სამუშაოები თბილისშიც უნდა ჩატარებულიყო. 2008 წლის ზაფხულში ქალაქ ბენდიდან აფრენილი Elite-ი ატლანტიკის ოკეანის გადმოფრენითა და შეიდი შუალედური დაჯდომით (უმოკლესი მანძილით თბილისიდან ბენ-



ასე გამოიყურება ახალი TAM JET-ი, რომელზეც „თამ“-ის კონსტრუქტორები ამჟამად მუშაობენ

დამდე 10400კმ-ია) 16 ივნისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაეშვა. მის შტურვალთან ამერიკელი პილოტები ისხდნენ. იქიდან თვითმფრინავი „თამ“-ის აეროდრომზე გადაიყვანეს, სადაც უკვე ამერიკელი პილოტების ხელმძღვანელობით მასზე ქართველმა მფრინავებმა იფრინეს. სხვათა შორის, აზერბაიჯანში საქმიანი ვიზიტის ფარგლებში ორჯერ ამ თვითმფრინავით „თამ“-ის გენერალურმა დირექტორმა პანტიკო თორდიამაც იფრინა.

Elite-ზე თბილისში ჩატარებული სამუშაო (ნაწილობრივ ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს) მისი ზოგიერთი სისტემის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. თუმცა, რომ არა აგვისტოში დაწყებული რუსეთ-საქართველოს ომი, თვითმფრინავი უკვე მზად იქნებოდა სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის.

სხვათა შორის, TAM JET-მა და Elite-მაც მოწონება საქართველოს პრეზიდენტისგანაც დაიმსახურა (მაშინ პრეზიდენტს ამ უკანასკნელის სრულმასშტაბიანი მაკეტი წარუდგინეს), რომელიც

ქარხანას 2008 წლის გაზაფხულზე სტუმრობდა.

დღეს მსოფლიოში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარებისა და ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, ინტერესი ბიზნესკლასის თვითმფრინავების მიმართ არ განელებულა და Elite-ს გამოყენება ბიზნესმენების გარდა „საჰაერო ტაქსის“ სახით, VIP-პირების გადასაყვანად ავიაკომპანიებსაც შეუძლიათ.

ასე რომ, იმედი ვიქონიოთ, რომ მიმდინარე მოვლენები Elite-ს ექსპლუატაციის დაწყებას წინ არ აღუდგებიან და მალე ქართული ბიზნესთვითმფრინავი რეგულარული ფრენების შესრულებას დაიწყებს.

P.S. სტატიის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის მადლობას მოვასწენებთ „თამ“-ის გენერალურ დირექტორ, ბატონ პანტიკო თორდიას, საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლებსა და უფროსს, ბატონ კონსტანტინე ჯაფარიძეს.

თამურ კულუზაშვილი

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დასაჯდომად Elite-მა დაახლოებით 16000კმ იფრინა და ატლანტიკის ოკეანეც გადმოლახა.



რუსული საღარაჯო ხომალდი გამოსვას გადის

11540 პროექტის მეორე ხომალდი „იაროსლავ მუდრი“ გამოცდების დასრულების შემდეგ 2009 წლის აპრილის ბოლოს ბალტიის ფლოტს შეემატება. ფრეგატის კლასის მრავალმხრივი დანიშნულების ხომალდს შეუძლია წყალქვეშა ნაგებობან ბრძოლა, საბრძოლო ხომალდებისა და გემების დაცვა, საზღვაო დესანტის უზრუნველყოფა, ზღვასა და ხმელეთზე დარტყმების მიყენება და სხვ.

შშენებლობა 1991 წელს დაიწყო, მაგრამ რამდენიმე წელს შეჩერებული იყო და 2002 წელს განახლდა. ხომალდის შეიარაღებამ თავდაპირველ პროექტთან შედარებით ცვლილებები განიცადა და ამჟამად აღჭურვილია: „კინჟალისა“ და „კორტიკის“ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით, რაკეტული ბომბსატყორცნით, ერთი 100 მმ-იანი ქვემჭიბია და შეუკუმფერნით. ხომალდსაწინააღმდეგო შეიარაღების შესახებ არაფერია ცნობილი.

„იაროსლავ მუდრის“ წყალქვეშა 4500 ტონაა, სიგრძე — 130 მეტრი, სიჩქარე — 30 კვანძი, ცურვის სისიჩქარე — 2900 მილი, ეკიპაჟი 210 კაცს ითვლის.

სერვის პირველი ხომალდი „ნეუსტრაშიმი“ მწყობრში 1993 წელს ჩადა. განიხილება მომდევნო — „ტუმანის“ დასრულების შესაძლებლობა.



ამერიკული ჯავშანბრანსპორტიორი RG-33



კომპანია BAE Systems-მა მოკლე დროში შექმნა და სერიულ წარმოებაში გაუშვა RG-33 ტიპის ჯავშანბრანსპორტიორები ორი სახის შასით — ბორბლების ფორმულით 4X4 და 6X6.

კორპუსი ჯავშანფურცლებისაგან არის შეკრული და ფსკერს V-ებური ფორმა აქვს მიცემული. ჯავშანი ორკაციან ეკიპაჟსა და 7-კაციან დესანტს ხელის ცეცხლსასროლი იარაღისაგან, ნაღმებისა თუ თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებისაგან იცავს.

სახურაზე დაყენებულია დისტანციურად მართვადი დანადგარი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევე M240-ით, შერეო მსხვილკალიბრიანი 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევე M2-იან და 40 მმ-იანი ავტომატური ყუმბარმტყორცნ MK19-ით არის აღჭურვილი.

შზადლება ჯავშანბრანსპორტიორის, სადაზვერეო, დაჯავშნული სამედიცინო, საინჟინრო დაზვერვისა და დაჯავშნული სარემონტო-სავეაკუაციო მოდულიკაცებია.

2009 წლის მარტისათვის ამერიკის სახმელეთო და საზღვაო ძვეითაა ჯარისათვის 2446 ჯავშანავტომობილი იყო დამზადებული და თითოეულს საშუალო ღირებულება 2 მილიონ დოლარამდე ადის.

მოდელი RG-33 (ბორბლების ფორმული 4X4) აღჭურვილია დიზელის ძრავით, რომელიც 110 კმ/სთ-ში სიჩქარით გადაადგილებას უზრუნველყოფს. სვლის მარაგი 1000 კილომეტრს აღწევს. საერთო წონა 17,5 ტონას შეადგენს და ავიატრანსპორტირებადია.




უსწავარი ჰისტოლოგები

ჩვენს ბობოქარ სამყაროში თითქმის ყველა ჩვენგანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. თვით ყველაზე შეძლებულ სოციალური წრის წარმომადგენლებსაც ეი, რომელთაც, ჩვეულებრივ, პირადი დაცვა ჰყავთ, უსაფრთხოებისათვის ბრძოლა თავად უწევთ. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო თავდაცვის საშუალება პისტოლეტია, მით უმეტეს, თუ რარიტეტულია.

ცნობისათვის: მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული რევოლვერი **Deluxe**-ის კლასის **Colt Paterson**-ი 222.250 გირვანჯა სტერლინგად გაიყიდა. მართალია, ის იარაღები, რომლებსაც ახლა გაგაცნობთ, გაცილებით ჩამოუვარდებიან რეკორდსმენს ღირებულებით, სამაგიეროდ, ყოველმხრივ აღემატებიან უჩვეულო და ორიგინალური ფორმით.




ორიგინალური პისტოლეტების ნუსხას ყველაზე პატარა — ბექდის ფორმის იარაღით ვხვდებით. ეს მშვენიერი ნაკეთობა ნებისმიერი მანდილოსნისა თუ მამაკაცის თითებს დაამშვენებს და ამავდროულად, უსაფრთხოების გარანტიაც იქნება. 1870 წელს ინგლისში დამზადებულ ამ ანტიკვარულ იარაღს თან ბუდე და შალითა მოჰყვება.




ყველზე ძველი, 1775 წელს შექმნილი პისტოლეტი, ფესვებით შორეულ ველურ დასავლეთს უკავშირდება. მას საკმაოდ უცნაური ფორმა აქვს. ერთი შეხედვით, შესაძლოა, ვერც კი მიხვდეთ, რას ჰგავს და ერთდროულად უამრავ ასოციაციას აღძრავს;



მართალია, კალამ-პისტოლეტით ვერავის გააკვირვებთ, სამაგიეროდ, მას მალულად შეიტანთ ყველგან, — ოფისში თუ საქმიან შესვენებაზე. და რაც მთავარია, მუდამ თქვენს ხელთაა და მზად არის მოქმედებისთვის.




აქ გამოსახულია ამერიკული შედევერი — ბოქლომის ფორმის პისტოლეტი. როგორც ჩანს, ოსტატები მოდელზე მუშაობისას ნაკეთობის პრაქტიკულობითა და რენტაბელურობით არ იყვნენ დაინტერესებული. მართალია, მფლობელის თანხლები პირები მისით დიდად ვერ მოიხიბლებიან, სამაგიეროდ, თავად დარჩება კმაყოფილი. 38-კალიბრიანი ეს პატარა „სათამაშო“ პატარა გასაღებით იმართება;



ხანდახან შეიარაღეთა ავადმყოფურ მიდრეკილებებს ჯვრის ფორმის იარაღი ააშკარავებს. საოცარია, ვის შეიძლება მოსვლოდა ამგვარი ფორმის იარაღის შექმნის იდეა? ჩანს, მისი ავტორი ირონიითა და ცინიზმით ეკიდებოდა ზნეობრივ ფასეულობებს;





პისტოლეტ-კალმის კონკურენტი — მილაკის ფორმის იარაღი, მართალია, ფუნქციური თვალსაზრისით სიაში მონიწივე სახეობას მნიშვნელოვნად ჩამორჩება, სამაგიეროდ, გაკვირვებას არ გამოიწვევს, თუკი სამშენებლო ბიზნესით დაკავებული კაცის აქსესუარებში მოხვდება;

ეს ხელჯოხი-პისტოლეტი შერლოკ ჰოლმის დაუძინებელი მტრის, პროფესორ მორიარტის არსენალსაც კი დაამშვენებდა...



პისტოლეტ-ჩიბუხი იოლად თავსდება ჯიბეში და, პრაქტიკულად, ეჭვს არ აღძრავს. მიუხედავად მცირე ზომებისა, 22-კალიბრიანი ჩიბუხი ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი არ დაგალაღატებთ;



ეს ნამდვილი მანიაკის იარაღია. კაუჭის ფორმის პისტოლეტი არა მხოლოდ მკვლელობის ჩასადენად, არამედ ადამიანის სანამებლადაც გამოდგება. მართალია, პატარაა, მაგრამ საკმაოდ მოუხერხებელია;



ჩვე
ბა
სა
პი
ტ
ნე



ამ სანთებელაზე, ალბათ, ყველა მწვეელი იოცნებებს. მართალია, უცნობია, რამდენად გამოსადეგია, როგორც სანთებელა, მაგრამ სავსებით სამართლიანად შეიძლება ამ ნივთის ბალისტიკური მონაცემებით თავის მოწონება;



მართალია, პინოქოს ზღაპრიდან მოგლენილი 22 კალიბრის გასაღები-პისტოლეტი არაპრაქტიკულია, მაგრამ მაინც ნებისმიერ კოლექციას დაამშვენებს. როგორც ჩანს, მისი შემქმნელი ნამდვილი ესთეტი იყო და ხელოვნების ნიმუშებს ამზადებდა;



ჩვენს სიას ყველაზე უჩვეულო და, ალბათ, ყველაზე პრაქტიკული იარაღი — საათი აგვირგვინებს. ეს 0,3-კალიბრიანი პისტოლეტი თავისი ძველებური იერით პატრონს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ ნებისმიერ წუთს გაფრთხილება სჭირდება.

ფრანგი კომანდოსები ვიეტნამში



კომანდოს-მაკიზარების რეგულარულ ნაწილს ეფექტიანი მოქმედებებისათვის თავის რიგებში ჰყავდა დაახლოებით 1000 შეიარაღებული და კარგად მომზადებული ადგილობრივი მცხოვრები.

ამ ქვედანაყოფების ორგანიზაციული სტრუქტურა სავსებით შეესაბამებოდა მათ სამხედრო-პოლიტიკურ ამოცანებს. ტრინკიე ხშირად შეახსენებდა ხოლმე GCMA-ს მეთაურებს, რომ ადგილობრივი მცხოვრებთაგან ფრთხილად შეერჩიათ კანდიდატები. უმრავლეს შემთხვევაში მეთაურთა თვისებების მქონე კანდიდატებს უმცროსი ოფიცრების მოსამზადებელ სკოლაში აგზავნიდნენ. რაც შეეხება GCMA-ს მუდმივ კადრებს, მათ ამოცანაში შედიოდა თავდაცვის სისტემების შექმნა, მაკის ახალწვეულთა მომზადება და ოპერაციის ჩასატარებელი ბაზის ორგანიზება.

ტონკინის GCMA-ს ყველაზე საუკეთესო მეომრებად მთიელი ტომის, მეოს წარმომადგენლები ითვლებოდნენ, რომლებიც დასავლეთ ტონკინის მთიანეთში სახლობდნენ. მათგან კარ-

გი მეომრები და მეთაურები დგებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო ლეიტენანტი ნუნგი, რომელსაც ტრინკიე მამაც ადამიანს უწოდებდა. ნუნგმა საოფიცრო სკოლა 1952 წლის მაისში დაამთავრა და წითელი მდინარის შესართავთან მცხოვრები მთიელებისაგან მაკის შენაერთების ფორმირება დაიწყო. მან არჩევანი შეაჩერა 40 გამორჩეულ მეომარზე. ახალი საგანგებო ქვედანაყოფის მომზადება ლეიტენანტმა ნუნგმა და მისმა მოადგილემ 1953 წლის დასაწყისში დაასრულეს. რაზმს „მაკი კარდამონი“ ეწოდა. იმავე წლის ივნისის ბოლოს ნუნგმა და მისმა რაზმელებმა კიდევ 600 მოხალისე შეარჩიეს, მათგან უმრავლესობა სოფელ პკონთხოს მცხოვრები იყო, ეს სოფელი ტონკინიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა და ახალი გათავისუფლებული იყო ვიეტნამელებისგან.

სექტემბრის ბოლოს ნუნგმა სადაზვერუო ქსელის აგენტებისაგან შეიტყო, რომ მოწინააღმდეგე სოფელ პკონთხოს დასაბრუნებლად ოპერაციის სამზადისს შეუდგა. ბატალიონები განალაგა

წითელი მდინარის ქვედა წელზე მდებარე ქალაქ ლაოკაიში, რომელიც პკონთხოდან 50 მილის მოშორებით მდებარეობდა. ნუნგმა კარგად შეაფასა ვითარება და გადაწყვიტა, დაესწრო მოწინააღმდეგისათვის და შეეცა პირდაპირ ლაოკაისათვის. ამისათვის საპაერო დესანტის შემეგობით სახმელეთო ოპერაციის ჩატარება გადაწყვიტა (სანამ მოწინააღმდეგე თავის გეგმას ხორცს შეასხამდა და შეტევაზე გადავიდოდა). ქალაქი ლაოკაი წითელი მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობდა. აქ ვიეტნამელებს მოწინავე სამეთაურო პუნქტები ჰქონდათ. ნუნგმა სწორედ ამ ადგილას ჩაიფიქრა მდინარის ფორსირება.

1953 წლის 5 ოქტომბრის ღამით მაკის ხუთასი კომანდოსი ლეიტენანტ ლიონგის მეთაურობით შეუმჩნევლად მივიდა სოფელ კოკლეუსთან და პოზიციები დაიკავა. დესანტის გადასხმა გათვალისწინებული იყო მოწინააღმდეგის საგარაუდო უკან დახვევის მიმართულებაზე.

გამთენიისას ნუნგმა და მისმა ორმოცმა კომანდოსმა, სამ თვითმფრინავ „დაკოტას“ დახმარებით, პარაშუტებით დესანტირება მოახდინეს კოკლეუს სამხრეთით, წინასწარ შერჩეულ ადგილზე. ხმელეთზე დაშვების შემდეგ მედესანტეებმა დათქმულ დროს შეტევა დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ ვიეტნამელთათვის შეტევა მოულოდნელი იყო, მაინც შეძლეს სახელდახელო კონტრშეტევის ორგანიზება, მაგრამ ნუნგის მებრძოლების მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდნენ და უკან დაიხიეს. დღის ბოლოსთვის ვიეტნამელები მთლიანად გაანადგურეს, მათი არტილერია და შეტევისათვის მზადყოფი ტანკები მოსპეს. ამ ოპერაციას წერტილი ნუნგის მეომრებმა დაუსვეს, — ააფეთქეს ლაოკაის ჩინეთთან შემაერთებული ხიდი, რითაც ვიეტნამელებს ამ რაიონში მომარაგების ერთადერთი გზა მოუსპეს. ლეიტენანტ ნუნგის ბრწყინვალე ოპერაციამ „მაკი კარდამონის“ რიგებში ათასობით მოხალისე მიიზიდა.

„ეასტორი“ მაკის გარეშე

ტონკინის GCAMA-ს შენაერთის მეთაურობის ვადა ტრინკიეს 1953 წლის მაისში ამოეწურა. მან პოდპოლკოვნიკის წოდება მიიღო, დაჯგუფების მეთაურად დაინიშნა და საიგონში, სამხედრო შტაბში გაემგზავრა. ტონკინის ქვედანაყოფების ხელმძღვანელობა საიმედო

ოფიცერს, კაპიტან როჟე ფურნიეს გადაულოცა, რომელიც მოგვიანებით გამოჩენილი მამაცობისათვის საომარო ჯურის ორდენით დააჯილდოეს.

ახლა ტურნიე უზარმაზარ ძალას ფლობდა. ლაოსიდან ცენტრალურ მთიანეთამდე პოდპოლკოვნიკს GCMA-ს 20 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი ემორჩილებოდა.

სამწუხაროდ, მოვლენები ისე არ ვითარდებოდა, როგორც ტრინკიესა და მის მკვებრებს სურდათ. სტრატეგიული ცვლილებები პირდაპირ შეეხო GCMA-ს. 1953 წლის დეკემბერში დაჯგუფებას სახელი შეუცვალეს და GMI-ი — შერეული ჯგუფი დაარქვეს. სახელის შეცვლამ შენაერთის საქმიანობის ხასიათიც შეცვალა. ტრინკიეს თავისი ავტორიტეტის გამოყენება დასჭირდა, რომ სარდლობა დაჯგუფების საჭიროებაში დაერწმუნებინა. ამასთან, ცვლილებებით დასუსტებული, ახლა უკვე GMI ვიეტნამელებთან ბრძოლას აგრძელებდა, რომლებსაც ტონკინის რაიონში პოზიციების გაძლიერება მოეწყო. ფრონტის ამ მონაკვეთზე სარდლობის ძირითადი ოპერატიული ყურადღება დენბენფუსსკენ იყო მიპყრობილი. GMI-ს ძალები ლაოსის ძირითადი გზატკეცილის გაყოლებაზე იყვნენ განლაგებული, რის გამოც GMI-ს ჯარისკაცებს ისტორიულ ბრძოლაში მოუწიათ მონაწილეობამ. თუმც ოპერაცია „კასტორში“, რომელსაც დენბენფუსის ბრძოლის ბედი უნდა გადაწყვიტა, მაკის ძალებს, რომლებსაც ოპერაციის შედეგზე ზეგავლენის მოხდენა შეეძლოთ, გადამწყვეტი როლი არ დაეკისრათ.

GMI-ის შენაერთები ამ ბრძოლაში, ძირითადად, სამანევრო მოქმედებებს მიმართუდნენ 316-ე ვიეტნამური დივიზიის წინააღმდეგ, პროვინციული ტრასა 41-ის გაყოლებაზე მოწინააღმდეგეს ბრძოლაში ითრევდნენ და ძირითად ძალებს ამორებდნენ, რომლებიც ამ დროს დენბენფუს ალყის შევიწროებას ცდილობდნენ.

1954 წლის იანვარ-აპრილში ვიეტნამელებმა იერიში მიიტანეს მაკის პოზიციებზე ტანუენის რაიონში, რამაც მომგერიებელთა მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა. შემდეგ საომარ მოქმედებებში მაკის შენაერთები, პრაქტიკულად, გადარჩენისთვის იბრძოდნენ.

მოგვიანებით ტრინკიე მოგონებებში წერდა: „ოპერაცია „კასტორი“ ერთი ადრე რომ დაწყებულიყო და მაკის

სრულყოფილად მიეღო მონაწილეობა, დენბენფუსს დრამა არ დატრიალდებოდა“.

ამის შემდეგ მაკის ისლა დარჩენოდა, ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქტი განეახლებინა.

ორწლიანი მუშაობის შედეგები

ორი წლის განმავლობაში ჩატარებული ოპერაციების შედეგად GCMA (GM)-მ სამი ფრანგი ოფიცერი დაკარგა, 2000 ჯარისკაცი და სერჟანტი კი დაიჭრა. თავის მხრივ, მათ გაანადგურეს და დაჭრეს დაახლოებით 3500 ჯარისკაცი და ოფიცერი, გადმოიბირეს დაახლოებით 1000 ვიეტნამელი. ხელში ჩაიგდეს 1185 ერთეული ავტომატური იარაღი, 248 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, 47 ნაღმსატყორცი, 160 ტონა სხვადასხვა საბრძოლო მასალა; მოსპვის 250 ტონა მატერიალური საშუალება, რომელსაც ვიეტნამელებს ჩინელი მოკავშირეები აწვდიდნენ. 1952 წლის



დეკემბრიდან 1954 წლის ივლისამდე მაკის კომანდოსებმა მხოლოდ ტონკინის რაიონში 25 დამოუკიდებელი ოპერაცია ჩაატარეს, რომლის დროსაც მოწინააღმდეგის ზურგში 1200 მეღესანტე გადასხეს.

პარიზის ტალახი

ჟენევის შეთანხმებამ მაკის ქვედან-აყოფებს უამრავი დაბრკოლება მოუტანა. ტრინკიე თავდაუზოგავად იბრძოდა მათ გადასალახავად. ერთხელ კაპიტანმა ფურნიემ შეატყობინა, რომ ტონკინის რაიონში მისმა კომანდოსებმა წითელი მდინარის განმათავისუფლებელი უმაღლესი კომიტეტი შექმნეს. მეოსა და სხვა ტომებს სურდათ, საფრანგეთის ხელისუფლებას მხარი დაეჭირა მათი ინიციატივისთვის თვითმმართველობისა და თავდაცვის საქმეში. ტრინკიემ მოიწონა ეს იდეა, რადგან მიაჩნდა, რომ მეოს ტომმა დაიმსახურა ეს უფლება, მაგრამ მალევე აღმოაჩინა, რომ პარიზში მის მეთაურებს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ ამ ადგილობრივი ინიციატივების შესახებ და ჟენევის ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ტრინკიეს ეკრძალებოდა ყოფილი თანამებრძოლების მხარდაჭერა.

მასაც და პარიზელ ბიუროკრატებსაც კარგად ესმოდათ, რომ ეს ღალატის ტოლფასი იყო — მაკის ვიეტნამელთაგან შურისძიება ელოდა. გულდაწყვეტილი ტრინკიე დაემორჩილა ბრძა-





ნებას და 1954 წლის ბოლოს GMI-ს ოპერაციები მთელ ქვეყანაში შეწყვიტა. 1955 წლის დასაწყისში მან დატოვა ინდოჩინეთი.

ალჟირიდან კატანგამდე

ინდოჩინეთში სამსახურის დამთავრების შემდეგ როჟე ტრინკიე საფრანგეთში დაბრუნდა. ის შეეცადა სამხედრო ხელმძღვანელობა დაერწმუნებინა, რომ სხვა რეგიონებში გამოიყენებინათ სპეციალური ოპერაციებისა და კონტრპარტიზანული ბრძოლისათვის გამიზნული რაზმები, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია. ამ დროს ფრანგი სამხედროების ყურადღება ალჟირისკენ იყო მიმართული. ინდოჩინეთის სხვა ვეტერანებთან ერთად ტრინკიეც ხელახლა გაიწვიეს ჯარში და მე-10 კოლონიური საპარაშუტო-სადესანტო დივიზიის ადიუტანტად დანიშნეს. ეს დივიზია ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ისლამისტ ტერორისტებს ებრძოდა. 1957 წელს ტრინკიე მსახურობდა ალჟირის მე-3 საპარაშუტო-სადესანტო პოლკში, რომლის ამოცანაც ავადსახსენებელ კვარტალ ციტადელში უსაფრთხოებისა და წესრიგის დამყარება იყო. ერთი წლის შემდეგ მან „ალჟირის სამხედრო კამპანიის“ მთავარსარდალ, გენერალ ჟაკ მასუსთან ერთად ჩამოაყალიბა „სამხედრო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამოქალაქო კომიტეტი“, რომელიც დაუნდობლად ანადგურებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის უჯრედებსა და მის ცალკეულ წევრს. სწორედ ტრინკიემ შეასრულა გადამწყვეტი

როლი 1958 წლის ხელისუფლებაში გენერალ დე გოლის დაბრუნებისა და მე-5 რესპუბლიკის დამყარების საქმეში.

1959-1960 წლებში ელ-მილის სამხედრო ოლქის სარდალი ტრინკიე მესამე კოლონიური საპარაშუტო-სადესანტო პოლკით კვლავ ებრძოდა ალჟირულ აჯანყებულებს. ომის დამთავრების შემდეგ ნიცის სამხედრო ოლქის ადიუტანტად დანიშნეს, მაგრამ საფრანგეთში პოლიტიკური რყევის დაწყების გამო სამხედრო სამსახურის დატოვებამ მოუწია, ბოლოს კი სამხედრო კარიერაც დაასრულა. მის 14 სამხედრო ჯილდოს შორის არის „მეწამული გული“ და საპატიო ლეგიონის ორდენი.

ტრინკიეს არ შეეძლო უსაქმოდ ყოფნა და მალე ახალი საქმე გაიჩინა, — კონგოს აუღიარებელი პრეზიდენტი მოის ჩომბე შეეცადა ფრანგი სამხედროების მიზიდვას, რომ წესრიგი დაემყარებინა თავის არმიასა და პოლიციაში. 1961 წლის იანვრის დასაწყისში ნიცაში დასასვენებლად მყოფმა ტრინკიემ ჩომბეს წერილი მიიღო, რომელშიც დიქტატორი მას კატანგის მთელი სახმელეთო ჯარების სარდლად დანიშვნას ჰპირდებოდა. სამი კვირის შემდეგ ტრინკიე ელიზაბეტპოლში ჩაფრინდა. მასთან ერთად კატანგში ჩავიდა ფრანგი ოფიცრების ჯგუფი, მათ შორის უცხოური ლეგიონის პირველი საპარაშუტო-სადესანტო პოლკის ყოფილი მეთაური, პოდპოლკოვნიკი ფოლკე. ტრინკიე ენერგიულად მოეკიდა საქმეს და ორი კვირის შემდეგ ჩომბეს წარუდგინა მოხსენება კატანგის სამხედრო-

სახმელეთო ძალების მდგომარეობის შესახებ. ამასთან, მოითხოვა ქვეყნის მთელ შეიარაღებულ ძალებზე სრული კონტროლი ხუთი წლის ვადით და, პრაქტიკულად, მთელი კონტროლი შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიარაღებულ ძალებზე. დიქტატორი ჩომბე მოულოდნელად დათანხმდა მის პირობებს და ტრინკიე სამხედრო სპეციალისტების შესაგროვებლად საფრანგეთში გაფრინდა, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ, — გაირკვა, რომ იმავეს, რაზეც ჩომბე ტრინკიეს დაეთანხმა, თურმე ბელგიელ პოლკოვნიკ ვეზერსაც ჰპირდებოდა (დიქტატორი ორმაგ თამაშს ეწეოდა). ინტრიგების შედეგად გამარჯვება ბელგიელებს დარჩათ და როცა ტრინკიე კატანგაში დაბრუნდა, ქვეყანაში არ შეუშვეს. მის ცდას, აღედგინა ადრინდელი ურთიერთობა, შედეგი არ მოჰყოლია და 1961 წლის აპრილში ტრინკიემ უარი თქვა ჩომბესთან თანამშრომლობაზე.

ამის შემდეგ ერთხანს DECE-ში მუშაობდა, საბოლოოდ კი მწერლობა და მასწავლებლობა დაიწყო. მან დაწერა 11 წიგნი, მათ შორის ერთ-ერთი საფუძვლად დაედო ამ სტატუსს. ტრინკიე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე წერდა და კითხულობდა ლექციებს, მოუწოდებდა დასავლეთის ქვეყნებსა და აშშ-ს გაერთიანებული ძალებით გაეწიათ წინააღმდეგობა საერთაშორისო ტერორიზმისათვის, რომელსაც საბჭოთა რუსეთი უჭერდა მხარს.

იგი 1986 წელს გარდაიცვალა.

P.S. სახელწოდება **Groupement de Commandos Mixtes Al roportes**-ი კაკაიტანმა დეოდატ პიუ მაუნტბრიუნმა მოიფიქრა, რომელიც ამ ქვედანაყოფში მსახურობდა. მეორე მსოფლიო ომის დროს მაუნტბრიუნი თავისუფალი საფრანგეთის საპარაშუტო შენაერთებში იბრძოდა. გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისთვის ის საპატიო ლეგიონის კომანდორის ხარისხში იქნა აღზევებული.

GCMA არ იყო საფრანგეთის რეგულარული ჯარების ბაზაზე შექმნილი და ამის გამო ემბლემა და განმასხვავებელი ნიშნები არ ჰქონდა. ტრინკიე მოგონებებში წერს, რომ სპეცრაზმელთა უმრავლესობა (ფრანგები და ევროპელები) პარაშუტისტთა კოლონიური შენაერთების წითელ ბერეტსა და საფრანგეთის საზღვაო ქვეითთა საპარაშუტო დესანტის (კოლონიურ ქვეითთა ადრინდელი ემბლემა) ემბლემას ატარებდა.

როგორ იქმნებოდა საქართველოს



კორვეტი „ბოგორინო“
ისევ დატურავს

საზღვაო ძალები

აგვისტოს ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და მოულოდნელი შედეგი სამხედრო-საზღვაო ძალების გაუქმება იყო. საქართველო საზღვაო სახელმწიფოდ ითვლება, მაგრამ ქვეყნის საზღვაო ინტერესების განვითარება რატომღაც ვაჭრობისა და თევზჭერის იქით არ მიდის.

ენტუზიანობითა და მონდობებით შექმნილი სამხედრო-საზღვაო სტრუქტურა თუ არ განვითარდა და ომის დროს ქვეყნის საზღვაო ინტერესების დაცვა ვერ შეძლო, ეს პირველ რიგში ისევ სახელმწიფოს არასწორი სამხედრო პოლიტიკის შედეგია.

თუნდაც ის რად ღირს, რომ საბჭოთა შავი ზღვის ფლოტი რუსეთმა და უკრაინამ ისე გაინაწილეს, რომ საქართველო არცეი გახსენებიათ. არადა, შავი ზღვის ფლოტის შენაერთები, ქვედანაყოფები, საფრენი აპარატები, ხომალდები და გემები საქართველოში 1992 წლის ბოლომდე იყვნენ.

საქართველოს სანაპირო ზოლის დაცვა-გაკონტროლების მოვალეობას ფოთში დისლოცირებული 184-ე საწყალოსნო რაიონის დაცვის ბრიგადა (ზოგჯერ 194-ე ბრიგადად მოიხსენიება) ასრულებდა.

ბრიგადაში შედიოდა: 181-ე წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო, 182-ე მტრალავი ხომალდების, 82-ე სასწავლო ხომალდებისა და 39-ე სადესანტო კატარღების დივიზიონები. ბრიგადის მცურავ საშუალებებს 1171-ე სანაპირო ბაზა და 61-ე უზრუნველყოფის საზღვაო და სარეიდო გემების ჯგუფი ემსახურებოდა.

სანაპირო ზოლში ხომალდებისა

და გემების უსაფრთხო ცურვას ფლოტის ჰიდროგრაფიული სამსახურის ფოთის 55-ე ჰიდრორაიონი უზრუნველყოფდა.

ფოთის მე-10 სასწავლო ცენტრი სოციალისტური და მეგობრული ქვეყნების სამხედრო მეზღვაურებს საბჭო-

თა პროექტების სარაკეტო და სატორპედო კატარღების ექსპლუატაციისათვის ამზადებდა.

მერიის აეროდრომზე 1989 წლის ოქტომბრამდე სამხედრო-საჰაერო ძალების 841-ე გამანადგურებელ-ბომბდამშენთა საავიაციო პოლკი ბაზირებდა,



საზღვაო ბუქსირი M5-304
ხევასტომპოლის რეიდზე

ასე გამოიყურებოდა ფოთის ბრიგადის საზღვაო მტრალავი БТ-241



რომელიც იმავე წლის ბოლოს შავი ზღვის ფლოტს თავისივე ტექნიკით — МиГ-23М ტიპის თვითმფრინავებით გადაეცა. 1991 წელს საავიაციო პოლკი 841-ე წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო შვეულმფრენთა პოლკად გადაკეთდა და მის შეიარაღებაში Ми-14 ტიპის ამფიბია-შვეულმფრენებმა დაიწვეს შესვლა.

ბათუმის, ფოთის, ოჩამჩირისა და სოხუმის რადიოტექნიკური კონტროლის პოსტები შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მცურავ საშუალებათა გადაადგილებას აკვირდებოდნენ.

მთელ ამ სისტემას უზრუნველყოფას უკეთებდა ფოთში განთავსებული საგარნიზონო ჰოსპიტალი, მექანიკური სახელოსნოები, საგზაო-საექსპლუატაციო უბანი, შეიარაღებისა და საზღვაო-საინჟინრო სამსახურები, საწყობები და სხვ.

ფოთის ბაზირებისათვის შავი ზღვის ფლოტის დაახლოებით 60-მდე მცურავი საშუალება იყენებდა, მაგრამ 1990-91 წლებისათვის დიდი ნაწილი უკვე მოძველებულად ითვლებოდა და ამიტომაც მისი ჩამოწერის პროცესი მიმდინარეობდა.

1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობა აღიღგინა. ქვეყნის სუვერენიტეტის მთავარი გარანტის — შეიარაღებული ძალების შესაქმნელად, 1991 წლის 9 სექტემბერს პრეზიდენტმა ზენაიდა კოსტაშვილმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ“, რითაც სამხედრო უწყების სტრუქტურაში სამხედრო-საზღვაო სამმართველოს ჩამოყალიბება იყო დაგეგმილი.

ოქტომბერში სამმართველოს უფ-

როსად დაინიშნა გამოცდილი სამხედრო მეზღვაური, I რანგის კაპიტანი, საბჭოთა ბალისტიკურრაკეტებიანი ატომური წყალქვეშა ნავ K-415-ის ყოფილი მეთაური ალექსანდრე ჯავახიშვილი. 1972 წელს ჯავახიშვილმა K-415 ჩრდილოეთის ფლოტის ბაზა გაჯიევიდან გამოიყვანა და ამოყვინთვის გარეშე გადაცურა ჩრდილოეთის ყინულოვანი, ატლანტიკის, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეები და კამჩატკაზე სამხედრო-საზღვაო ბაზა რიბაჩის მშვიდობიანად მიაღწია.

ახალდაწყებულ საქმეს პრობლემები არ აკლდა, მაგრამ განსაკუთრებით იგრძნობოდა საბრძოლო მცურავი საშუალებების არარსებობა და საშტაბო და წყალზედა საბრძოლო ხომალდის მეთაურის გამოცდილების მქონე ოფიცერთა ნაკლებობა.

საქართველოში 1991 წლის შემოდგომაზე დაწყებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა და მოვლენების სამხედრო დაპირისპირებაში გადაზრდამ შეიარაღებული ძალების ფორმირებას უამრავი სირთულე შეუქმნა.

მარტივი ვითარება არც ფოთში იყო. მდგომარეობას უკიდურესად დაბავდა თავდასხმები ბრიგადის ოფიცრებსა და მინიანებზე, ავტოტექნიკის გატაცება და საწყობების ძარცვა.

საყოველთაო განუკითხაობას რუსი სამხედროები კარგად იყენებდნენ და საბჭოთა არმიის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ერთი ნაწილი გაზიდეს, ხოლო მეორე კი გაყიდეს.

ძარცვას არც 184-ე ბრიგადა გადაურჩა. ფოთიდან მცურავი საშუალებების

გასვლა ამა თუ იმ საბაბით 1990 წელს დაიწყო და 1992 წლის გაზაფხულზე, როცა ქართველი სამხედროები სამხედრო-საზღვაო ბაზაში შევიდნენ, ბრიგადა შემადგენლობით, ფაქტობრივად, დივიზიონს უტოლდებოდა.

181-ე დივიზიონის ყველაზე ახალმა ხომალდებმა — კორვეტის კლასის МПК-207-მა (მწყობრში ჩადგა 1988 წელს) და МПК-217-მა (მწყობრში ჩადგა 1989 წელს) დოკირებისა და გარემონტების მიზეზით ფოთი 1991 წელს დატოვეს.

იმავე მიზეზით 1990-91 წლებში 182-ე დივიზიონის საზღვაო და საბაზო მტრალავი ხომალდები გავიდნენ და ფოთში დროებით სარეიდო მტრალავები — РТ-42 და РТ-249 რჩებოდნენ.

82-ე დივიზიონის შემადგენლობიდან 2 სატორპედო და 1 სარაკეტო-სასწავლო კატარდა, ხოლო ყულევში 39-ე დივიზიონის 9 პატარა სადესანტო კატარდა ჯერ კიდევ ადგილზე იყო.

1992 წლის 30 აპრილს ფოთში პირველი ეროვნული საზღვაო ფორმირების — შერეული საზღვაო ბრიგადის ჩამოყალიბება დაიწყო. ფორმირებას ბრიგადა კი ერქვა, მაგრამ მცურავი საშუალებები არ ჰყავდა.

ფოთიდან წაყვანილი ხომალდებისა და კატარდების უკან დასაბრუნებლად 1992 წლის 26-30 მაისს სევასტოპოლში შავი ზღვის ფლოტის სარდლობასთან მოსალაპარაკებლად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის მოადგილის პოლკოვნიკ თამაზ ცხაკაიას ხელმძღვანელობით იმყოფებოდა.

მოლაპარაკებები ზომალდების, სამხედრო ტექნიკისა და ქონების ეტაპობრივ გადმოცემას შეეხო. 28 მაისს პოლკოვნიკმა თამაზ ცხაკაიამ და შავი ზღვის ფლოტის შტაბის უფროსმა, ვიცე-ადმირალმა გიორგი გურინოვმა ხელი მოაწერეს 23-პუნქტიან შეთანხმებას, რომლის მე-2 პუნქტი ფოთში 184-ე ბრიგადისა და სხვა ნაწილების დისლოკაციის ძველ ადგილებში 6 წლით დაბრუნებას ითვალისწინებდა.

მაშინ ექვსი წელი საქართველოსათვის ეროვნული სამხედრო-საზღვაო ძალების ფორმირებისათვის საკმარისად ჩაითვალა.

შეთანხმება მოქმედებას რუსეთსა და საქართველოს შორის სამხედრო ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან იწყებდა, მაგრამ შავი ზღვის ფლოტის გარშემო მოვლენები საქართველოსათვის არასასურველ განვითარებას იღებდა.

იმ დროს, როცა საქართველოში შიდადაპირისპირება მწვავედებოდა, 1991 წლის 5 ოქტომბერს უკრაინის უმაღლესმა საბჭომ შავი ზღვის ფლოტი დაიქვემდებარა და ფლოტზე საკუთარი

უფლებების დასამტკიცებლად პირველი ნაბიჯი გადადგა.

1992 წლის 5 აპრილს უკრაინის პირველმა პრეზიდენტმა ლეონიდ კრავჩუკმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნის შესახებ.

იმავე წლის 23 ივნისს დაგომისის შეხვედრაზე რუსეთისა და უკრაინის პრეზიდენტებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ შავი ზღვის ფლოტის ბაზაზე უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალები და რუსეთის შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შეიქმნებოდა.

3 აგვისტოს კი ხელი მოეწერა 14-პუნქტიან შეთანხმებას რუსეთსა და უკრაინას შორის, რომლის პირველივე პუნქტში ჩაწერილია: „შავი ზღვის ფლოტი ექვემდებარება გაყოფას იმ მიზნით, რომ მომავალში მის ბაზაზე შეიქმნება რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი და უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალები“.

ამრიგად, საქართველო ფლოტის გაყოფას უკვე 1992 წელს ჩამოშორდა და აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებამ ეს საკითხი საბოლოოდ დაასამარა.

კონფლიქტს ძალიან მალე რუსეთის

უმაღლესი საბჭო გამოეხმაურა და 1992 წლის 25 სექტემბერს №2236 დადგენილება მიიღო, რომლის მე-4 მუხლი რუსეთის პრეზიდენტს რეკომენდაციას აძლევდა, რუსეთს აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირებამდე საქართველოსათვის შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკისა და საბრძოლო მასალების გადაცემა შეეწყვიტა.

რუსებთან შეთანხმების მისაღწევად კიდევ ერთი შეხვედრა 1992 წლის 13-20 ნოემბერს შედგა. იყო დაპირებები, თორემ შავი ზღვის ფლოტის სარდლობას ფოთიდან ევაკუაციის ბრძანება მიღებული ჰქონდა და გასვლისათვის მზადება გრძელდებოდა.

საქართველოს განკარგულებაში არსებული შეზღუდული საშუალებებით ევაკუაციისათვის ხელშესაშლელად ოქტომბრის ბოლოს პონტონით პორტის გასასვლელი გადაიკეტა, მაგრამ რუსებმა რამდენჯერმე გაისროლეს და შემდეგ სამხედრო ბუქსირებით პონტონი გაათრეს.

მეორეჯერ, 7 ნოემბერს, პორტის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გასასვლელში ბუქსირებმა ჩასაძირად გამზადებული ძველი სეინერი

გამმაგნიტებელი გემი CP-344 ჯერ ისევ „ცოცხალია“



ფოთის 184-ე ბრიგადის სასოფლო-სამეურნეო უბანების 1990 წლისთვის

მცურავე საშუალება	დასახელება ნომერი	პროექტი	მწეობრში ჩადგა	მდგომარეობა
კორვეტი	МПК-19	204	1965	ჩამოიწერა 1990 წელს, ჩაძირულია ფოთში
კორვეტი	МПК-68	204	1964	ჩამოიწერა 1990 წელს, ჩაძირულია ფოთში
კორვეტი	МПК-19	204	1965	ჩამოიწერა 1990 წელს, ჩაძირულია ფოთში
კორვეტი	МПК-207	1124ЭМТ	1988	დაცურავეს
კორვეტი	МПК-217	1124ЭМТ	1989	დაცურავეს
ტორპედმჭერი	ТЛ-384	368	*	გავიდა ფოთიდან
მეკავშირე კატარდა	КСВ-12	1367	*	გავიდა ფოთიდან
საბაზო მტრალაეი	БТ-241	1265М	1990	დაცურავეს
საბაზო მტრალაეი	БТ-202	1265	1976	გავიდა ფოთიდან, ჩამოიწერა 1996 წელს
საბაზო მტრალაეი	БТ-728	1265	1976	გავიდა ფოთიდან, ჩამოიწერა 1996 წელს
საზღვაო მტრალაეი	„ივან მასლოვი“	266	1967	გავიდა ფოთიდან, ჩამოიწერა 1996 წელს
საზღვაო მტრალაეი	„კახარსკი“	266	1966	გავიდა ფოთიდან, ჩამოიწერა 1996 წელს
სარეიდო მტრალაეი	РТ-42	1330	1982	გავიდა ფოთიდან
საბაზო მტრალაეი	РТ-249	1330	1990	გავიდა ფოთიდან
სადარაჯო ხომალდი	СКР-27	159	1962	გავიდა ფოთიდან
საარტილერიო კატარდა	АК-382	1400	1980	გავიდა ფოთიდან, ჩამოიწერა
მცურავეი ყაზარმა	ПКЗ-202	*	*	დაიწვა ფოთში
სატორპედო კატარდა	ТКА-94	206М	*	გავიდა ფოთიდან, ჩამოიწერა
სატორპედო კატარდა	ТКА-127 206ЭТ	1978	*	გავიდა ფოთიდან, ჩამოიწერა
სარაკეტო კატარდა	Р-370	205РЭ	*	გავიდა ფოთიდან, ჩამოიწერა
სადესანტო კატარდა	Д-393	1176	*	გავიდა ფოთიდან 1992 წელს
სადესანტო კატარდა	Д-304	1176	1979	გავიდა ფოთიდან 1992 წელს
სადესანტო კატარდა	Д-634	1176	*	გავიდა ფოთიდან 1992 წელს
სადესანტო კატარდა	Д-285	1176	*	გავიდა ფოთიდან 1992 წელს
სადესანტო კატარდა	Д-385	1176	*	გავიდა ფოთიდან 1992 წელს
სადესანტო კატარდა	Д-496	1176	*	გავიდა ფოთიდან 1992 წელს
სადესანტო კატარდა	Д-289	1176	*	გავიდა ფოთიდან 1992 წელს
სადესანტო კატარდა	Д-583	1176	*	საქართველოს დარჩა
სასწავლო გემი	УТС-292	*	*	საქართველოს დარჩა
სასწავლო გემი	УТС-384	*	*	ფოთშია ჩაძირული
შნურჩამწეობი	Ш-15	1253	*	ფოთშია ჩაძირული
შნურჩამწეობი	Ш-16	1253	*	ფოთში გაძარცვული დარჩა
შნურჩამწეობი	Ш-17	1253	*	ფოთში გაძარცვული დარჩა
სახანძრო კატარდა	ПЖК-61	364	*	ფოთში გაძარცვული დარჩა
სახანძრო კატარდა	ПЖК-47	364	*	გავიდა ფოთიდან, ჩამოიწერა
სარეიდო ბუქსირი	РБ-199	737К	1967	გავიდა ფოთიდან, ჩამოიწერა
სარეიდო ბუქსირი	РБ-193	737К	1970	დაცურავეს
გამშაგნიტებელი გემი	СР-344	17992	1986	დაცურავეს
სამხედრო ტანკერი	ВТН-99	1844	1975	დაცურავეს
მყვინთავთა კატარდა	РВК-367	1415	1960	დაცურავეს
სასწავლო გემი	„პორიზონტი“	860Б	*	ფოთიდან გავიდა, ჩამოიწერა
საზღვაო ბუქსირი	МБ-304	745	1977	დაცურავეს
მყვინთავთა საზღვაო ბოტი	ВМ-66	522	1954	დაცურავეს
ნაგეშემგროვებელი	МУС-92	1515	*	საქართველოს დარჩა, ჩამოიწერა
ენერგეტიკული გემი	ЭНС-4	*	*	გაძარცვული, ყულევეში დარჩა
მძებნელი კატარდა	ПСК	*	*	ფოთში კერძო ფირმაზე გაიყიდა
ბარჟა	МБСН	*	*	ფოთში კერძო ფირმაზე გაიყიდა
ბარჟა	МНН №1385000	*	1957	ფოთში კერძო ფირმაზე გაიყიდა
ბარჟა	МТБ №113150	*	1957	ფოთში კერძო ფირმაზე გაიყიდა
ბარჟა	БВН №159250	*	1958	საქართველოს დარჩა
ჰიდროგრაფიული კატარდა	БГК-1424	727М	*	საქართველოს დარჩა
ჰიდროგრაფიული კატარდა	БГК-1628	Г1415	*	გაურკვეველია
ჰიდროგრაფიული კატარდა	БГК-176	1896	*	საქართველოს დარჩა
ჰიდროგრაფიული კატარდა	МГК-1238	*	*	გაურკვეველია
ჰიდროგრაფიული კატარდა	МГК-647	*	*	გაურკვეველია
ჰიდროგრაფიული კატარდა	МГК-424	16830	*	საქართველოს დარჩა

დააყენეს. პორტის ჩაკეტვა სავაჭრო გემების მიმოსვლასაც შეაფერხებდა და რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ქარმა სეინერი ადგილიდან მოგლიჯა, გადაკეტვის მომდევნო მცდელობაზე უარი ითქვა.

რუსები სამხედრო მებრძოლები გადიოდნენ და გაკქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა. რაც ადგილზე რჩებოდა, მთლიანად ან ნაწილობრივ მწყობრიდან გამოჰყავდათ.

1992 წლის 25 დეკემბერს ფოთიდან გავიდა შავი ზღვის ფლოტის 184-ე ბრიგადის ბოლო მცურავი საშუალებები: კორვეტი МПК-207, შვიდი სადესანტო კატარლა, სახანძრო კატარლა ПЖК-47, სარეიდო ბუქსირი РБ-193, სამხედრო ტანკერი ВТН-99 და საზღვაო ბუქსირი МБ-304.

რუსებმა აგრეთვე გაიტანეს 3 ვაგონი საარტილერიო ჭურვი, 300 საზღვაო ნაღმი, სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების 3 ათასამდე ერთეული. დაუდასტურებელი ინფორმაციით, საზღვაო ნაღმები ყულეკში იქნა ჩაყრილი.

ფოთიდან გამოსული საზღვაო ქარავანი ნოვოროსიისკთან ძლიერ შტორმში მოყვა და სტიქიასთან ჭიდ-ილში სამი პატარა სადესანტო კატარლა ჩაიძირა.


ეროვნულ სამხედრო-საზღვაო ძალებს რუსებმა დაუტოვეს: სარემონტოდ ნაპირზე ამოტანილი 2 პატარა სადესანტო კატარლა, სამხედრო პორტში ჩაძირული ორი სასწავლო ხომალდი, ნაპირზე მიტოვებული და ჩამოწერილ-გაძარცვული 5 შნურჩამწყობი გემი, ენერგეტიკული არათვითმავალი გემი, ნაგავშემგროვებელი გემი, ორი პიდროგრაფიული კატარლა და ერთი 250-ტონიანი წყალჩამოსასხმელი ბარჯა.

გარდა ამისა, რუსმა სამხედროებმა მოასწრეს და კერძო პირებს მძებნელი კატარლა, ხოლო ფირმა „კოლხეთს“ სხვადასხვა ტვირთამწყობის 3 ბარჯა მიჰყიდეს.

შავი ფლოტის ავიატორებმა მერიის აეროდრომზე 7 დაზიანებულ-სარემონტო Ми-14ПЛ ტიპის შვეულმფრენი მი-ატოვეს.

ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის უვარგისი და გამოუსადეგარი ტექნიკით ბრძოლისუნარიანი სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნა ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა, რომლის გადაჭრის გზები არც მომდევნო პერიოდში გამოჩნდა და ამის შედეგი იყო მისი გაუქმების გადაწყვეტილება.

ბრიგადის ერთადერთ „გრიზზე“ მომზადებას უცხოელი მებრძოლები გადიოდნენ



ჩვენი დოსიე:

რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაში ფოთის 184-ე ბრიგადის მცურავ საშუალებათა ერთი ნაწილი რუსეთის დროშით სამსახურს განაგრძობს.

კორვეტები МПК-207 „პოლორინო“ და МПК-217 „ეისკი“ (პროექტი 1124ЭМТ) — წყალწვევა 1070 ტონა, სიგრძე 71,2 მეტრი, სიჩქარე 32 კვანძი, ცურვის სიშორე 2750 მილი 14 კვანძით, ეკიპაჟი — 89 კაცი; შეიარაღება: 1X1 76 მმ-იანი ქვემუხი, 1X6 30 მმ-იანი ავტომატი, 1X2 საზენიტო კომპლექსი ОСА, 2X2 533 მმ-იანი სატორპედო აპარატი, 1X12 რეაქტიული ბომბსატყორცნი; ორივე ხომალდი ნოვოროსიისკის 184-ე საწყალოსნო რაიონის დაცვის ბრიგადაში ირიცხება;

საბაზო მტრალაჟი БТ-241 „მინერალნიე ვოდი“ (პროექტი 1265М) — წყალწვევა 460 ტონა, სიგრძე 49 მეტრი, სიჩქარე 16 კვანძი, ცურვის სიშორე 1500 მილი 10 კვანძით, ეკიპაჟი — 39 კაცი; შეიარაღება: 2X6 30 მმ-იანი ავტომატი, 2X4 საზენიტო კომპლექსი; ირიცხება ნოვოროსიისკის 184-ე საწყალოსნო რაიონის დაცვის ბრიგადაში;

სამხედრო ტანკერი ВТН-99 (პროექტი 1844Д) — წყალწვევა 1127 ტონა, სიგრძე 54,3 მეტრი, სიჩქარე 10

კვანძი, ცურვის სიშორე 1500 მილი 10 კვანძით, ეკიპაჟი — 24 კაცი, შეუძლია 500 ტონა საწვავის ტრანსპორტირება;

გამამაგნიტებელი გემი СР-344 (პროექტი 17992) — წყალწვევა 1300 ტონა, სიგრძე 64,5 მეტრი, სიჩქარე 14 კვანძი, ცურვის სიშორე 2500 მილი 12 კვანძით, ეკიპაჟი — 45 კაცი;

მევინათავა საზღვაო ბოტი ВМ-66 (პროექტი 522) — წყალწვევა 116 ტონა, სიგრძე 28,4 მეტრი, სიჩქარე 12,5 კვანძი, ცურვის სიშორე 900 მილი 9 კვანძით, ეკიპაჟი — 15 კაცი;

სარეიდო ბუქსირები РБ-199 და РБ-193 (პროექტი 737К) — წყალწვევა 206 ტონა, სიგრძე 24,2 მეტრი, სიჩქარე 10 კვანძი, ეკიპაჟი — 4 კაცი;

სარეიდო მევინათავა კატარლა РВК-367 (პროექტი 1415) — წყალწვევა 54 ტონა, სიგრძე 21,2 მეტრი, სიჩქარე 11 მილი, ცურვის სიშორე 200 მილი 11 კვანძით, ეკიპაჟი — 8 კაცი;

საზღვაო ბუქსირი МБ-304 (პროექტი 745) — წყალწვევა 1512 ტონა, სიგრძე 58,3 მეტრი, სიჩქარე 14,5 კვანძი, ცურვის სიშორე 6200 მილი 13 კვანძით, ეკიპაჟი — 35 კაცი; ირიცხება 472-ე საზღვაო გემების უზრუნველყოფის დივიზიონში.

თემურ ჩაჩანიძე

ტანკები ქალაქებისათვის ბრძოლებში



ფოლკსტურმის რაზმების მთავარი იარაღი „პანცერფაუსტები“ იყო

ბელგოროდ-ხარკოვის სტრატეგიული ოპერაციის (1943 წლის აგვისტო) შემდეგ საბჭოთა არმიას დიდი დანაკარგის ასეთი დიდი მარცხენებელი არ ჰქონია.

ბერლინის დამცველი ვერმახტის ჯარისკაცები და ფოლკსტურმის მოლაშქრეები საბჭოთა ტანკებს მრავალფეროვანი საშუალებებით ებრძოდნენ. მათ შორის იყო „ფაუსტპატრონები“, „პანცერფაუსტები“, „პანცერშრეკები“, ხელყუმბარები, ცეცხლგამჩენსითხიანი ბოთლები და სხვ.

ერთჯერადი „პანცერფაუსტები“ და მრავალჯერადი „პანცერშრეკები“ კუმულაციური მუხტებით აღჭურვილ რეაქტიულ ჭურვებს ისროდნენ. მოხვედრისას ჭურვი ჯავშანს წვრილად ხვრეტდა და ტანკის შიგნით ჭარბი წნევის შექმნით ეიკიპაჟი მწყობრიდან გამოჰყავდა.

ყველაზე გავრცელებული „პანცერ-

უძველესი დროიდან ომების ერთ-ერთ მთავარ საშიშნეს ქალაქების აღება წარმოადგენდა, რაც დიდ ცოდნა-გამოცდილებას მოითხოვდა.

დროთა განმავლობაში ქალაქების ხასიათი ბევრად შეიცვალა: გაიზარდა ზომები, მრავალფეროვანი გახდა დაგეგმარება, მოიმატა სახლების სიმტკიცე და სართულიანობამ, გაფართოვდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, გაუმჯობესდა საგზაო ქსელი და სხვ. მაგრამ ქალაქებისათვის ბრძოლა ისევ სერიოზულ მიდგომასა და დაგეგმვას მოითხოვს.

წარსულის მაგალითები უჩვენებს, რომ წარმატება სხვადასხვა ფაქტორთან ერთად შტაბების, მეთაურებისა და ჯარისკაცების საბრძოლო მომზადებასა და საბრძოლო ტექნიკის, პირველ რიგში ჯავშანტექნიკის გონიერ და სწორ გამოყენებას მოაქვს.

სამხედრო ისტორია ქალაქების აღებაში ჯავშანტექნიკის მასიურებული გამოყენების მაგალითებით მაინცდამაინც მდიდარი არ არის. ამ მხრივ, ყველაზე მეტი გამოცდილება საბჭოთა არმიას დაუკოვდა, რომელმაც ჯავშანსატანკო ჯარები 1945 წელს ბერლინისა და 1956 წელს ბუდაპეშტის ასაღებად აქტიურად გამოიყენა.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს საბჭოთა არმიის მიერ ბერლინში ჩატარე-



სახელგანთქმული „პანცერფაუსტი“

ბულ სტრატეგიულ ოპერაციის (1945 წლის 16 აპრილი-8 მაისი) ფაშისტური გერმანიის კაპიტულაცია მოჰყვა. ქალაქს საბჭოთა არმიის 1 მილიონ 906 ათასზე მეტი სამხედრო 6250 ტანკითა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარით უტეკდა. 23-დღიან უძმიძეს ბრძოლებში გერმანელებმა საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო ნაწილების 1997 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი გაანადგურეს, ანუ დანაკარგმა დღეში საშუალოდ 87 ერთეულს მიაღწია.

ფაუსტი“ სამოც მეტრამდე მანძილზე 200 მმ სისქის ჯავშანს თვისუფლად ხვრეტდა. სახელგანთქმული საბჭოთა ტანკის T-34-ის შუბლის ჯავშნის სისქე 90 მმ-ს, ხოლო ყველაზე დაცული IS-2-ის 100-120 მმ-ს არ აღემატებოდა.

„პანცერფაუსტი“ გამოსაყენებლად იმდენად მარტივი იყო, რომ სპეციალურად ტანკებთან საბრძოლველად შექმნილი რაზმების ყველაზე გამოუცდილი მებრძოლების ხელშიც კი მრისხანე იარაღი ხდებოდა.

ოპერაციის დროს განადგურებული

საბჭოთა ტანკების 70% „პანცერ-ფაუსტებსა“ და სხვა მსგავს ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებზე მოდის.

კუმულაციური ჭურვებისაგან თავდასაცავად სარემონტო ბრიგადები ტანკებს თხელი ლითონის ფურცლებითაა ან ლითონის ბადეებისაგან კუსტარულად დამზადებულ დამცავ ეკრანებს უკეთებდნენ.

კუმულაციური ჭურვი დამცავ ეკრანს ამსხვრევდა, ეფექტს კარგავდა და ჯავშანზე ამომდნარ ორმოს ტოვებდა. დამცავ ეკრანებს უფრო მეტად აფეთქებები თუ შენობების ნანგრევები აზიანებდა და ჯავშანტექნიკის მწვობრიდან გამომავლის ალბათობა შესაძენევად მატულობდა.

ტანკის შიგნით ხელეუშარის ჩაგდების საფრთხის გამო ბრძოლისას ქუჩებში დია ლიუკით მოძრაობა აკრძალული იყო. ლიუკაბურულ ტანკში კუმულაციური ჭურვი მაქსიმალური ეფექტით მოქმედებდა და მოკლულდაჭრილების ამოსაყვანად სარემონტო ბრიგადებს ლიუკის ვაჭრა უხდებოდათ.

გერმანელთა საცეცხლე წერტილების წინააღმდეგ ტანკების წვეილი ან ორი წვეილი ერთმანეთთან შეთანხმებით მოქმედებდა. მაგალითად, ერთი მძიმე ტანკი IC-2 ცეცხლით ქუჩის მარჯვენა, ხოლო მეორე კი მარცხენა მხარეს ამუშაუებდა, ხოლო უკან მომავალი მეორე წვეილი საცეცხლე მხარდაჭერას უკეთებდა.

ტანკები მეავტომატეთა თანხლებით გადაადგილდებოდნენ და წინააღმდეგობის კერასთან შეხვედრისას ჩამოქვეითებული ჯარისკაცები სატანკო ეკიპაჟებთან ერთად მოქმედებას იწყებდნენ. „ფაუსტნიკებთან“ ბრძოლაში კარგ ეფექტს მსხვილკალიბრიანი სატანკო ტყვიამფრეკვეი D1AK იძლეოდა.

ჯერ კიდევ საბჭოთა ჯარების შესვლაამდე საავიაციო დაბომბვებისაგან ბერლინი საკმაოდ დანგრეული იყო და საბჭოთა ჯარები წინააღმდეგობის კერებს ყოველგვარი ცერომონიულობის გარეშე არტილერიისა და ტანკების ცეცხლით ანადგურებდნენ.

სრულიად განსხვავებული სიტუაცია იყო უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში, სადაც 1956 წელს მოსახლეობა კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ გამოვიდა.

საბჭოთა სარდლობა ფიქრობდა, რომ ტანკების სიძლიერით ბუდაპეშტის მოსახლეობას შეაშინებდა, მაგრამ იმედი პირველივე დღეს გაუცრუვდათ. 1956 წლის 24 ოქტომბერს ქალაქში შესულ



ბუდაპეშტი
1956 წელი

საბჭოთა მე-2 მექანიზებული დივიზიის ნაწილებს ბუდაპეშტელებმა ცეცხლისა და ქვების სეტყვა დაახვედრეს.

ქალაქის ცენტრისკენ დივიზიის 37-ე სატანკო და მე-4 მექანიზებული პოლკები მიიწვედნენ. ტანკისტები ქალაქს არ იცნობდნენ და ორიენტაცია უჭირდათ, ხოლო ქვეითები მხარდაჭერას თითქმის არ უკეთებდნენ.

ოპერაციაში მონაწილე ერთ-ერთი საბჭოთა სამხედროს ვადმოცემით, ტანკებს წინააღმდეგობას მცირერიცხოვანი, მობილური ჯგუფები უწევდნენ. ყველაზე ეფექტიან საშუალებად „მოლოტოვის კოქტილი“ ითვლებოდა. ბენზინით სავსე ბოთლი ტანკზე მოხვედრისას აფეთქებასა და ხანძარს იწვევდა.

უნგრულმა პატრიოტებმა პირველივე დღეს 2 ტანკი და ამდენივე ავტომობილი დაწვეს. კიდევ 2-მა ტანკმა და 4-მა ჯავ-

შანტრანსპორტიორმა დაზიანებები მიიღო. დანაკარგი ცოცხალ ძალაშიც იყო. მიუხედავად ამისა, ჯარების შეყვანა მაინც გრძელდებოდა და დღის ბოლოსათვის საბჭოთა სამხედროების რაოდენობამ 6 ათას კაცს, ხოლო ტექნიკამ 290 ტანკსა და 120 ჯავშანტრანსპორტიორს მიაღწია.

30 ოქტომბერს, გადაჯგუფების მიზნით, საბჭოთა არმია ბუდაპეშტიდან გამოვიდა და რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ უფრო დიდი ძალებით ქალაქის ოკუპაციას შეუდგა.

4 ნოემბერს ქალაქში საბჭოთა არმიის 31 ათასზე მეტი სამხედრო 1130 ტანკისა და თვითმავალი საარტილერიო დანადგარის, 380 ჯავშანტრანსპორტიორის, არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერით უნგრეთის დედაქალაქში შეიჭრა.

უნგრელი პატრიოტები სარდაფე-



კომუნური მოგლეჯილი
საბჭოთა ტანკი
ბუდაპეშტის ქუჩაში



ქალაქი გროზნო და დამწვარი რუსული ტანკი



ბიდან და სხენიდან ვიწრო ქუჩებში დაბალი სიჩქარით მოძრავ ჯავშანტექნიკას „მოლოტოვის კოქტეილს“, ხელყუმბარებს, ჩეპელის ქარხნებში დამზადებულ ტანკსაწინააღმდეგო „ფაუსტპატრონებსა“ და სხვა საშუალებებს ესროდნენ.

ხელყუმბარის ან ცეცხლგამჩენსით ხიანი ბოთლის ტანკის ძრავატრანსმისიის განყოფილებაზე დაცემა ხანძარს იწვევდა, ხოლო ჯავშანტრანსპორტიორზე კი შიგ მსხდომ ქვეითებს ანადგურებდა. მაშინდელ საბჭოთა БТР-152-ისა და БТР-40-ის ტიპის ჯავშანტრანსპორტიორთა სადესანტო განყოფილებას სახურავი არ ჰქონდა.

ოპერაციის დაწყების დღეს 33-ე მექანიზებულმა დივიზიამ ჯავშანტექნიკის 14 ერთეული (1 ИС-3, 12 Т-34/85, 1 СУ-100) და 9 ჯავშანტრანსპორტიორი (6 БТР-152 და 3 БТР-40) დაკარგა.

ქალაქიდან მოსახლეობის გამოყვანა-ევაკუაცია არ ჩატარებიათ და საბჭოთა სამხედროების საპასუხო, გადაამეტებულ ცეცხლს ხშირად მშვიდობიანი მოქალაქეები ეწირებოდნენ.

ოპერაცია 11 ნოემბერს დასრულდა. ერთ კვირაში საბჭოთა ჯარებს დაახლოებით 25 ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 20 ჯავშანტრანსპორტიორი, 60 ავტომობილი, 11 მოტოციკლეტი და სხვა ტექნიკა გამოაკლდა.

ბულაქუმტში საბჭოთა არმიამ პირველად გამოიყენა მაშინ შეიარაღებაში ახალმიღებული Т-54-ის ტიპის ტანკები და რამდენიმე ერთეული კიდევაც განადგურდა.

ქალაქების აღებაში მიღებული საბჭოთა არმიის გამოცდილება რუსეთის

ფედერალურმა არმიამ გროზნოზე იერიშის დროს გამოიყენა.

ჩენჭეთის დელაქალაქს ფედერალურმა ჯარებმა 1994 წლის 31 დეკემბერს ახალი წლის წინ შეუტოეს. 15 ათასი სამხედრო 200-მდე ტანკის, 500-ზე მეტი БМП/БТР-ის, რამდენიმე ასეული საარტილერიო სისტემისა და ავიაციის თანხლებით ქალაქისაკენ ოთხი მხრიდან დაიძრა. ფედერალების სატანკო ქვედანაყოფები Т-72Б1, Т-72Б (М), Т-80Б და Т-80 БВ ტიპის ტანკებით იყო აღჭურვილი.

რუსი გენერლები იოლო გამარჯვების მიღწევას ჯავშანტექნიკის დიდი უპირატესობის ხარჯზე აპირებდნენ, მაგრამ არმია იერიშისთვის მზად არ აღმოჩნდა.

ჯავშანსატანკო ქვედანაყოფებს ქალაქში მოქმედების ჩვევები და გამოცდილება აკლდა; მეთაურებს გროზნოს წვრილმასშტაბიანი ახალი რუკები არ ჰქონდათ და 1972 წელს გამოშვებულ მსხვილმასშტაბიან რუკებზე ორიენტაცია უჭირდათ; ტანკების ერთი ნაწილი კონტაქტური დინამიკური დაცვის გარეშე იყო ან ცარიელი დინამიური დაცვის ყუთები ეკეთა და სხვ.

ჩენჭეთის პრეზიდენტმა გენერალმა ჯოპარ დუდაევმა ქალაქის დაცვას კარგი ორგანიზება გაუკეთა და ფედერალებს პირველივე დღეებში დიდი დანაკარგი მიაყენა.

ჩასაფრებებში მოყოლილ ჯავშანკოლონებს ჩენჭები კლასიკური მეთოდით ანადგურებდნენ. მწვობრიდან გამოჰყავდათ მწვინავე და ბოლო ტანკი და შემდეგ შუაში დარჩენილ ტექნიკას უსწორებოდნენ.

შეზღუდულ სივრცეში მოხვედრილ და მანევრირების უნარმოკლებულ ტანკებს ჩენჭები ახლო მანძილიდან

ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს ერთდროულად რამდენიმე მხრიდან ესროდნენ და მწვობრიდან გამოჰყავდათ

ეკიპაჟები ტანკების დაცვის გასაძლიერებლად ჯავშანზე ხელთარსებულ საშუალებებს — ჭურვების ცარიელ ყუთებს, ლითონის ბადეებს თუ სათდარიგო ნაწილებს კიდებდნენ.

ოპერაციის დასაწყისში ჯავშანტექნიკა ქვეითების დაცვით იყო დაკავებული, მაგრამ დიდი დანაკარგის გამო შერეული ჯავშანჯგუფების შექმნა გახდა საჭირო. ჯგუფი ტანკებსა და ЗСУ-23-4 „მილკას“ ან БМП-2-ს აერთიანებდა და კონკრეტულ მოტომსროლელ ქვედანაყოფთან ერთად ამოცანის შესრულებამდე მოქმედებდა.

ბრძოლებში ჯავშანჯგუფები ორ მეთოდს იყენებდნენ: პირველ შემთხვევაში ერთი ტანკი ქვეით ნაწილებს საცეცხლე მხარდაჭერას უკეთებდა, ხოლო მეორე — ვითარებას აკვირდებოდა და საცეცხლე პოზიციებზე გამოსვლისათვის მზადყოფნას ინარჩუნებდა. ამ დროს „მილკას“ და БМП-2-ის საცეცხლე საშუალებები ტანკებს შენობების ზედა სართულებზე მყოფი ჩენჭი მებრძოლების ცეცხლისაგან იცავდა.

მეორე შემთხვევაში წინააღმდეგობის კერები მონაცვლეობით ორ-ორი ტანკის ცეცხლქვეშ მუდმივად იმყოფებოდა და აქტიური მოქმედების საშუალებას არ აძლევდა.

მოგვიანებით შერეულ ჯავშანჯგუფებზე უარი ითქვა. განსხვავება ტანკებისა და მსუბუქი ჯავშანტექნიკის დაცვის ხარისხში, მანევრულობასა თუ საცეცხლე შესაძლებლობებში საკმარის ეფექტს აღარ იძლეოდა.

როცა ჩენჭების წინააღმდეგობის დათრგუნვა აღარ მოხერხდა, რუსები ისევ ძველ და ნაცად მეთოდზე, შენობების სათითაოდ აღება-დაკავებაზე გადავიდნენ.

გროზნოსათვის ბრძოლებში ფედერალურმა ჯარებმა 49 ტანკი, 139 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 98 ჯავშანტრანსპორტიორი და 51 სხვადასხვა სახის დაჯავშნული საბრძოლო მანქანა დაკარგეს.

დიდი მსხვერპლის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლების მთავარი მიზანი — გროზნოს აღების ამოცანა — არმიამ შეასრულა, ხოლო ადამიანური და მატერიალური დანაკარგი აქ უკვე დიდ როლს აღარ თამაშობდა.

ქუჩის ბრძოლებში უამრავი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა, ქალაქი გროზნო რუსეთის არმიამ მეორე მსოფ-

ლიო ომისდროინდელ სტალინგრადს დაამსგავსა.

ჩეჩნეთის დედაქალაქისათვის ბრძოლებში მონაწილეობდა აფხაზეთში რუსეთის საოკუპაციო ჯარების შემადგენლობაში მყოფი 131-ე მოტომსროლელი ბრიგადა. ბრძოლებში ჩეჩენმა მებრძოლებმა ბრიგადა კარგად „დაამუშავეს“ – 26 ტანკიდან 20, 120 БМП-დან 102 და ექვსივე „ტუნგუსკა“ გაუნადგურეს.

გასული წლის აგვისტოში ცხინვალის დაკავებას საქართველოს არმია შეეცადა. მასშტაბებით ცხინვალი (მოსახლეობა 30 ათასი კაცი) გროზნოს ბევრად ჩამოუვარდება (მოსახლეობა 230 ათასი კაცი), რომ არაფერი ვთქვათ, ბერლინისა და ბუდაპეშტის მილიონიან მოსახლეზე.

ცხინვალის დაკავებაში ყველაზე დიდ სირთულეს ქალაქსა და შემოგარენში განთავსებული ე.წ. რუსეთის სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში შემავალი 135-ე მოტომსროლელი პოლკის ბატალიონი, ბატალიონ „ვოსტოკის“ ასეული და რუსეთის არმიის სხვა ქვედანაყოფები ქმნიდნენ.

ქალაქში შესასვლელად დაახლოებით 4-ათასიანი დაჯგუფება შეიქმნა, რომელიც რამდენიმე ათეული ტანკითა და „კობრას“ ტიპის ჯავშანავტომობილით გაძლიერდა. დაჯგუფების დიდ ნაწილს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები შეადგენდნენ, რომლებსაც საჯარისო ოპერაციებში მონაწილეობისა და ჯავშანტექნიკასთან ურთიერთქმედების გამოცდილება არ ჰქონდათ. ასეთი ცოდნით არც თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფები გამოირჩეოდნენ.

მოწინააღმდეგემ სწორად გათვალა ქართველი სამხედროების შესაძლო მოქმედების ტაქტიკა და ქალაქში შესულ ქვედანაყოფებს მომზადებული დახვდა.

აგვისტოს პირველ რიცხვებში ცხინვალის მოსახლეობის დიდი ნაწილი ვლადიკავკაზში გაიხიზნა. ამით მშვიდობიან მოსახლეობაში მრავალრიცხოვანი მსხვერპლის თავიდან აცილება მოხერხდა.

წინასწარ ქალაქში რამდენიმე ადგილზე იარაღისა და საბრძოლო მასალების საწყობები მომზადდა. ცენტრში სამთავრობო შენობებისა და სამშვიდობო ძალების გაერთიანებული შტაბის მახლობლად პოზიციები გამაგრდა.

8 აგვისტოს დილით ქვეითი ქვედანაყოფები ჯავშანტექნიკის თანხლებით



ცხინვალი:
გმირთა ქუჩაზე
დამწვარი ტანკი

ცხინვალში შეუფერხებლად შევიდნენ, მაგრამ ცენტრისკენ სელისას წინააღმდეგობა შეხვდათ და შეჩერდნენ.

მოვლენებმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ე.წ. რუსეთის სამშვიდობო ძალებთან კონფლიქტის თავიდან აცილება არ მოხერხდა და რუსი სამხედროები ქართულ ქვედანაყოფებთან ბრძოლაში ჩაებნენ.

იმევე დღის მეორე ნახევრიდან ჰაერში რუსული ავიაცია გამოჩნდა და მათინვე აქტიურ მოქმედებებზე გადავიდა, რითაც ცხინვალის ადების მცდელობას წერტილი დაუსვა.

მოიშალა ქართულ ქვედანაყოფებს შორის ურთიერთქმედება და მართვა. ამის გამო ქალაქში შეყვანილი ჯავშანტექნიკა ქვეითების გარეშე დარჩა,

ერთი ნაწილი მოწინააღმდეგემ ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით გაანადგურა.

მოსკოვისა და ვაგზლისპირა ქუჩების გადაკვეთაზე სამი ტანკია აფეთქებული, ხოლო ხარებოვისა და გმირთა ქუჩების გადაკვეთის ახლოს ორი ტანკია დამწვარი.

ცხინვალის ბრძოლებში კოკოთის ფორმირებებმა და რუსმა სამხედროებმა ქართული არმიის 5-6 ტანკი და 1 ჯავშანავტომობილი გაანადგურეს.

ქალაქის დაკავებისათვის მოუშნადებული ქვედანაყოფებით ოპერაციის დაწყება დიდი შეცდომა იყო, რომელიც ქვეყნისათვის ძალიან მძიმე შედეგით დასრულდა.

თემურ ჩაჩანიძე

ცხინვალი: მოსკოვისა და ვაგზლისპირა ქუჩების გადაკვეთაზე აფეთქებული ტანკები



არაღებულური იარაღი დემონსტრაციებს დასაუღელად

40 მმ-იანი
უპიკარული
ყუმბარსატყორცნი
GL-06 გამოიყენება
საბრძოლველად და
აკამოეკვინიებალი,
ცხეელსადენი
ყუმბარების
სასრულად...



როგორ უნდა დაიხვეწას თავი მუმილოზიანმა მომიზინებამ...

9 აპრილის მოახლოებასთან ერთად იზრდება დაძაბულობა და იმის შიში, რომ თბილისის ცენტრში ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს მხოლოდ ლოზუნგებით არ დაუპირისპირდებიან.

1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა კავშირის შინაგანმა ჯარებმა და შეიარაღებული ძალების საჰაერო-სადესანტო ჯარების დანაყოფებმა რუსთაველის პროსპექტზე მომიტინგეების დასაშლელად, ძირითადად, გამოიყენეს ორი ტიპის გაზი — ქლორაცეტოფენონი CN და CS-ი.

რუსი გენერლების მტკიცებით, მიტინგის დაშლისას გამოიყენეს 27 ხელყუმბარა CN (მათში ჩატუმბული იყო გაზი — ქლორაცეტოფენონი) და 3 ხელყუმბარა K-51-ი.

თუმცა სულაც არ არის გამორიცხული, რომ მაშინ სხვა გაზებიც (მათ შორის საბრძოლო გაზებიც და უფრო მეტი რაოდენობითაც) გამოიყენეს.

ცრემლსადენი გაზის გამოყენება მომიტინგეების დასაშლელად 18 წლის შემდეგაც გამოვლინდა, უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, როდესაც 2007 წლის 7 ნოემბერს პარლამენტის წინ პოლიციამ სხვადასხვა სპეცსამუალებასთან ერთად გამოიყენა ცრემლსადენი და საკვამლე ყუმბარები.

2009 წლის 9 აპრილისთვის კვლავ არსებობს საშიშროება, რომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის სიტყვიერი დაპირისპირება გადაიზრდება ძალისმიერ მოქმედებებში. ასეთ შემთხვევაში შსს, საუარაუდოდ, გამოიყენებს სპეცსამუალებების მთელ იმ სპექტრს, რაც 7 ნოემბერს გამოიყენა. კერძოდ, ძლიერი ბრანდსპოიტებით აღჭურვილ სახანძრო მანქანებს, მაღალი სიხშირის ტალღების გამომსხივებელ აკუსტიკურ იარაღს, რეზინის ტყვიებსა და ცრემლსადენი გაზის შემცველ ყუმბარების მსროულელ ყუმბარსატყორცნებს.

ერთ-ერთ ასეთ ორმაგი დანიშნულების თანამედროვე ყუმბარსატყორცნს შვეიცარიული საიარაღო ფირმის Brugg & Thomet-ის GL-06 ტიპის

ყუმბარსატყორცნი
GL-06



საპოლიციო
ყუმბარსატყორცი
LL-06



ჩვენი დონია: შეეცარიული ყუმბარსატყორცი **GL-06**-ის სიგრძე 590 მმ-ია, დაკეცილი კონდახით კი 385 მმ. იგი 2,05 კგ-ს იწონის. მასში თავსდება ერთი 40X46 მმ კალიბრის არალეტალური ან საბრძოლო ყუმბარა, რომელსაც 300 მ-მდე ისვრის.

ტყორცის შექმნა ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი ქვეყნის პოლიციამ დაუკვეთა მასობრივი არეულობის ჩასახშობად, კერძოდ კი მომიტინგეთა ლიდერების „წერტილოვანი“ დაზიანებისთვის.

შეეცარიული ყუმბარსატყორცი **GL-06** (მის პოლიციურ ვარიანტს **LL-06** ჰქვია) 40 მ-ის სიშორიდან რეზინის ან საღებავის შემცველი ტყვიებით ზუსტად ახვედრებს წინასწარ არჩეულ პირს მომიტინგეთა წინა რიგებში.

თავად ყუმბარსატყორცი შედარებით მარტივი სქემისაა. სანადირო თოფვით შუაზე ისხნება ლულაში ყუმბარის ჩასადებად და უკვე გასროლილი ყუმბარის პილზის საექსტრაქციოდ.

ყუმბარსატყორცის პლასტმასის კონდახი მარჯვნივ გვერდზე იკეცება (გასროლა დაკეცილი კონდახითაც შეიძლება).

უნივერსალური ყუმბარსატყორცი საბრძოლოს გარდა ისვრის არალეტალური დანიშნულების, მათ შორის რეზინის ტყვიებს, ცრემლსადენ, მსუთავ და საკვამლე ყუმბარებსაც

ჩვენი დონია: CS-ი აეროზოლის სახით გამოიყენება და მას პილზის სუნი აქვს. მართალია, მას მიაკუთვნებენ ცრემლსადენ გაზს, ოღონდ მცირე კონცენტრაციის გამოყენების დროს. თუკი CS-ის კონცენტრაცია დიდია, მაშინ იგი ცრემლსადენ-მსუთავი გაზის ფუნქციას იძენს. იგი ცრემლდენისა და სუნთქვის ორგანოების ხუთვის გარდა იწვევს კანის დაწვას, ზოგიერთ შემთხვევაში კი სასუნთქი კუნთებისა და გულის დამბლასაც და შესაბამისად სიკვდილს.

CS-ის გაზით დაზიანების ნიშნებია: ძლიერი წვა და ტკივილი თვალებსა და გულმკერდის არეში, ძლიერი ცრემლდენა, ქუთუთოების უნებლიე ხუჭვა, ცემინება, სისველე ცხვირიდან (ზოგჯერ სისხლგარეული).

CS-ის გაზის ჩახუნთქვიდან 15-20 წუთში ეს სიმპტომები იზრდება. თუკი ადამიანი მადროულად მოასწრო აირწინადის გაკეთება ან დატოვა ტერიტორია, ეს სიმპტომები 1-3 სთ-ის განმავლობაში ნელ-ნელა მინელდება.

40 მმ-იანი ყუმბარსატყორცი წარმოადგენს. იგი უნივერსალურია, რადგან შეუძლია ისროლოს როგორც არალეტალური, ისე საბრძოლო ყუმბარები.

შეეცარიულ ფორმას ამ ყუმბარსა-

საკვამლე ყუმბარების სროლის მომენტი



2007 წლის 7 ნოემბერს რუსთაველის პროსპექტზე მიტინგის დაშლისას პოლიციამ გამოიყენა FN303 ტიპის არალეტალური იარაღი, რომელიც პლასტიკურ და საღებავის შემცველ ტყვიებს ისროდა



FN303

ჩვენი დონია: ქლორაცეტოფენონი ძლიერ ცრემლდენას იწვევს, რადგან ალიზიანებს თვალებსა და საცრემლე ჯირკვალს. ის პირველი მსოფლიო ომის დროს შეიქმნა, როგორც მომწამლელი საბრძოლო გაზი, თუმცა ომში აღარ გამოუყენებიათ. მოგვიანებით ქლორაცეტოფენონი არალეტალური იარაღის კატეგორიას მიაკუთვნეს და მას ბევრი ქვეყნის პოლიცია იყენებს. თუმცა, ქლორაცეტოფენონის (მას სხვანაირად CN გაზსაც უწოდებენ) მაღალი დოზით გამოყენებას შეიძლება მოაყვეს გვერდითი ეფექტი, მაგალითად, ფილტვების მძიმე დაზიანება და თვით ლეტალური შედეგიც კი.

ლულის ზემოთ და ქვემოთ განთავსებულია Picatinny-ის ტიპის მიმართველები, რომელზეც ოპტიკური სამიზნის, ლაზერის სხივით მიზნის მაჩვენებლის, ტაქტიკური ფარნისა და წინა ხელის მოსაკიდის დამონტაჟება შეიძლება.
როგორც ფირმის წარმომადგენლები ამბობენ, ყუმბარსატყორცზე მიზნის ლაზერული სხივით მონიშვნის მოწყობილობის დაყენების შედეგად, ეს იარაღი უკვე ფსიქოლოგიურადაც მოქმედებს მომიტინგეებზე, რადგან რუხ-

ნის ტყვიების მოხვედრამდე მომიტინგეები თავიანთ სხეულებზე მოთამაშე ლაზერის წერტილებს ხედავენ...
„არსენალის“ რედაქცია იმედს იტოვებს, რომ არც 9 აპრილს და არც შემდგომ არც ხელისუფლება და არც ოპოზიცია ძალას არ გამოიყენებს.
ისე კი მიტინგის მონაწილეებს ვურჩევთ თან იქონიონ სოდის წყალსხნარიანი პლასტმასის ბოთლები. ხსნარში დასველებული ცხვირსახოცი შევება იქნება მათი თვალებისთვის, თუკი მართლაც გამოიყენებენ ცრემლსადენ გაზს.

სამედიცინო ნიღაბი კი დაიცავთ არალეტალური გაზების მსხუთავი ეფექტისგან.
თუმცა, რა თქმა უნდა, ცრემლსადენი და მსხუთავი გაზებისგან დაცვის საუკეთესო საშუალება გამართული აირწინაღია. ცუდი არ იქნებოდა, მომიტინგეებს თბილადაც ჩაეცვათ, რომ რუხინის ტყვიებისგან ნაკლებად დაზიანებულ იყვნენ, ყურსაცვამები კი აკუსტიკური ლოკატორებისგან გამოსხივებული მაღალი სიხშირეებისგან დაიცუდა...
ირაპალი ალადაშვილი



საქართველოს
საპატენტო
სამსახური

საპატენტო
სამსახური
ISSN 1987-5061
9 771987 506007



GL-06